ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2021 წელი, 2 მაისი, №4-5 (6532)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 80 თეთრი



## ქრისტე აღდგა! შეიმუსრა ჯოჯოხეთი და განქარდა სიკვდილი!

ქრისტე მაცხოვრის ჯვარცმა და აღდგომა კაცობრიობის ისტორიის უმთავრესი მოვლენაა. ქრისტეს აღდგომა არის ჩვენი უკვდავების დამტკიცება და მკვდართა მომავალი აღდგინების პირველსახე, ახალი სიცოცხლის დასაბამი და კაცობრიობის ორ ტირანზე – ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება.

როგორც აღდგომის ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: ქრისტე აღდგა! შეიმუსრა ჯოჯოხეთი და განქარდა სიკვდილი!

## გილოცავთ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აღდგომა ქრისტიანულ დღესასწაულთა გულისგულია. მის ირგვლივ განლაგებულია ყველა დანარჩენი დღესასწაული, ვით მზის დისკოს გარშემო – სხივთა ოქროს შარავანდი.

ამ უდიდესი დღესასწაულის ჩატარებაზე პანდემიის პირობებში, აღდგომის წინარე მოვლენებზე, სააღდგომო ტრადიციებზე, სააღდგომო წმინდა ცეცხლზე, ამ და სხვა თემებზე გვესაუბრება ყვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი.

**– მამაო, როგორ ემზადება მართლმადიდებელი ეკლესია და ქვეყანა აღდგომისათვის?**

– იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს, ქართველი მართლმადიდებლები, წელს, 2 მაისს, კორონავირუსის გლობალური ეპიდემიის კიდევ ერთი პიკის, მესამე ტალღის დროს ვიზეიმებთ. დღესაც, ცხარე კამათის საგანია, თუ ამ დროს, როგორ უნდა ჩატარდეს წირვა-ლოცვა ტაძრებში და რას გვავალდებულებს მორწმუნეებს პანდემიით გამოწვეული საგანგებო ვითარება.

უფლის შეწევნითა და უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, იმედია, რომ ამ აღდგომაზეც ტაძრები არ დაიკეტება და მორწმუნეებს საშუალება ექნებათ გაიზიარონ აღდგომის სიხარული.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე



## ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენის და მართვის მიზნით პროექტი განახლდა

კახეთის რეგიონში 7 წლამდე ასაკის ბავშვებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენის და მართვის მიზნით კვლევები დაიწყო. სახელმწიფო პროგრამა მესამე წელია მოქმედებს და კვლევების გარდა, იმ ბავშვებს, ვისაც სისხლში ტყვიის შემცველობა 5 მიკროდეცილიტრს აღემატება, სახელმწიფო მკურნალობის კურსითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფს.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი შიოშვილი გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალს“-ში კვლევის მიმდინარეობას სამედიცინო პერსონალთან ერთად დაესწრო.

„დღეიდან კახეთის რეგიონში, გურჯაანის „ჯეო ჰოსპილტალს“-ში 7 წლამდე ასაკის ბავშვებში მიმდინარეობს სისხლში ტყვიის კონცენტრაციის განსაზღვრა უფასოდ. რეგიონის მასშტაბით, მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, რომ შვილებს გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალსი“-ს ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში უფასოდ ჩაუტარონ აღნიშნული კვლევა და მიიღონ შესაბამისი მომსახურეობა. ამ ეტაპზე 14 ბავშვია რეგისტრირებული კვლევის ჩასატარებლად“ – აღნიშნა ირაკლი შიოშვილმა.

„ეს პროგრამა რამდენიმე წელია ხორციელდება. დღეიდან ვაგრძელებთ აღნიშნულ პროექტს. მოგეხსენებათ, რომ ტყვია არის ისეთი ელემენტი, რომლის სისხლში შემცველობა არანაირი კონცენტრაციით არ არის დასაშვები. ტყვიის შემცველობის ზრდა სისხლში იწვევს ბევრ პათოლოგიას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ტყვიის შემცველობას აღმოვაჩენთ ადრეულ ასაკში, სხვადასხვა დაავადებების პრევენციის მიზნით. დღეს, მოვიდნენ ჩაწერილი ბავშვები, რომელთაც გასულ წელს ჰქონდათ პრობლემა და წელს უკვე შესაძლებლობა ექნებათ, რომ საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან მედიკამენტური მკურნალობა უფასოდ მიიღონ“ – აღნიშნა დეა ცაბუტაშვილმა.

## შეხვედრა ახალგაზრდა კონკურსანტებთან



13 აპრილს, ყვარლის მუნიციპალიტეტში „ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის“ პროგრამის მე-3 ეტაპის ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა .

აღსანიშნავია, რომ წინა ეტაპთან შედარებით, პროექტით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა ბევრად მეტია და დღეს 33 ახალი კონკურსანტია.

პროექტი ყვარლის მუნიციპალიტეტში 2020 წლიდან მიმდინარეობს და დღემდე აღნიშნული მიმართულებით გამოყოფილმა თანხამ 350 000 ლარი შეადგინა.

ახალგაზრდა კონკუსანტებს განემარტათ ტრენინგის მნიშვნელობა, რომელიც უახლოეს პერიოდში ჩატარდება და ბიზნეს კონსულტანტი დაეხმარება მათ იდეების განსახორციელებელი გზების მოძიებასა და პროექტების ფორმირებაში.

## გამოაკელით ანზორ ერქომაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ქართულ კულტურას და იმდენად გაფერმკრთალდება ყველაფერი...



მსოფლიო გლობალურმა პანდემიამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე დაასრულა ფატალურად და მას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაც ვერ გადაურჩა. კოვიდინფექციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქართულ გენოციდს და ერის გამორჩენილ მოღვაწეებს შეუმოკლა სიცოცხლე. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომ 1 თებერვალს გარდაიცვალა საესტრადო მომღერალი და მსახიობი, ანსამბლ „ივერიას“ წევრი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, სახალხო არტისტი და თბილისის საპატიო მოქალაქე თეიმურაზ წიკლაური. საქართველოს მოსახლეობას ჭეშმარიტად გული დასწყვიტა საყვარელი მომღერლის ნაადრევად იმქვეყნიურ ცხოვრებაში გამგზავრებამ.

ჩვენდა სავალალოდ, ერთი თვეც არ გასულა და კიდევ ერთი შემზარავი ტრაგედიის მოწმე გახდა ქართული საზოგადოება. 31 მარტს გარდაიცვალა უძვირფასესი მაესტრო, ქართული კულტურისა და ფოლკლორის მამა, ერის უდიდესი მოღვაწე, საგუნდო დირიჟორი, ხალხური სიმღერების შემკრები, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისი საპატიო მოქალაქე ანზორ ერქომაიშვილი. უდიდესია მისი დამსახურება ერის წინაშე, ასეთი ადამიანები საუკუნეში ერთეულები იბადებიან. ბატონი ანზორი სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ქართული ფოლკლორის გადარჩენისა და განვითარებისათვის იბრძოდა.

დიდი ლოტბარის უდიდეს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, მან დატოვა გამორჩეული პლეადა ახალგაზრდების, რომლებიც აგრძელებენ მის მიერ დაწყებულ საქმეს და უანგაროდ ემსახურებიან ეროვნულ ინტერესებს. მათ შორისაა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ყვარლის საპატიო მოქალაქე, ფოლკლორულ ანსამბლ „ხეუროს“ ლოტბარი და ქართული ხალხური სიმღერის სპეციალიზირებული სკოლის დამფუძნებელი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის,

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

## სამდღიანი ტრენინგი ახალგაზრდებისთვის

მიმდინარე წლის 15,16,17 აპრილს, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში „ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის“ მე-3 ეტაპის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი, სადაც მოწვეული ბიზნეს კონსულტანტის დახმარებით მოხდა ახალგაზრდების იდეების სამართლებრივ ჩარჩოში გადატანა და ბიზნეს გეგმის სახით ჩამოყალიბება. შემდგომ ეტაპზე უკვე საკრებულოს სხდომაზე მოხდება მათი განხილვა – დაფინანსება.



# ქრისტე აღდგა! შეიმუსრა ჯოჯოხეთი და განქარდა სიკვდილი!

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე



სააღდგომო ლიტურგია ჩვენთან ჩატარდება გარკვეული წესების დაცვით. კერძოდ, მლოცველები ღვთისმსახურებას ეკლესიის ეზოში მოისმენენ, ვალდებულნი იქნებიან ატარონ პირბადეები და დაიცვან ერთმანეთს შორის ორმეტრიანი დისტანცია.

ტაძრის შემოსასვლელში ჩამოკიდებულია სანიტარული სითხით სავსე ჭურჭელი, რომ დავისხათ ხელებზე და დავიცვათ სანიტარული ზომები.

მოხუცები და რისკის ჯგუფში მყოფი სხვა პირები კი, სასურველია, რომ სახლში დარჩნენ, იქიდან ილოცონ, მოუსმინონ და მიადევნონ თვალი სააღდგომო ლიტურგიის ტრადიციას პირდაპირი ეთერით.

სააღდგომო კალათებიც, ეკლესიის მიმდებარე სატრაპეზო ოთახში იკურთხება. კურთხევის შემდეგ შეუძლიათ მორწმუნეებმა წაიღონ სახლში და იქ დაიმხსნილონ.

**– რას ნიშნავს აღდგომა და რა უძღვის წინ ამ დღესასწაულს?**

– აღდგომა ეს გახლავთ ქრისტიანთათვის ზეიმთა ზეიმი, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც მოძრავია და აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილს და 8 მაისს შორის ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. წელს ამ დღესასწაულს 2 მაისს ვზეიმობთ. ეს არის სიკვდილზე გამარჯვების ზეიმი.

უბრალო, მოკვდავ ადამიანს არ ძალუძს სიკვდილზე გამარჯვება. მაგრამ ის, რაც კაცთაგან შეუძლებელია, აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია ღმერთკაცისათვის. დიახ, ღმერთკაცმა – იესო ქრისტემ გაიმარჯვა სიკვდილზე თავისი მკვდრეთით აღდგომით.

ქრისტეს აღდგომის ფაქტი უდავოდ ამტკიცებს და უჩვენებს, რომ გარდაუვალობა სიკვდილი კი არაა, არამედ უკვდავება, არა სიკვდილის გამარჯვება, არამედ სიკვდილზე გამარჯვება!

როგორც წმინდა წერილი გვაუწყებს, იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: „მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები“. კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოვიდნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვა მენელსაცხებლე დედები მაცხოვრის საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისათვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა, როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: „მარიამ!“ მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის მოწაფეებთან და დააბარა, რომ ეთქვა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა“. მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა – ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

აღდგომილი მაცხოვარი, ორმოცი დღის განმავლობაში, არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ, წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისაგან.

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას წინ უძღვის 40 დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება, ზიარება, ვნების კვირა.

ქრისტიანთათვის ეს არის უდიდესი, არამიწიერი სიხარული, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც სინედრიონის ნებით ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. მხოლოდ IV საუკუნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანამედროვე სახე. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს.

დღესასწაულის შესახვედრად განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება.

ორშაბათს კი ვნების კვირეული იღებს სათავეს. ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. ეს კვირა იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ. ეს გლოვის დღეებია და ღვთისმსახურებაც ტაძარში სამგლოვიარო, შავი სამოსი აცვიათ.

მოსაგონებელი მოვლენების უდიდესი მნიშვნელობის გამო ვნების კვირის ყოველ დღეს დიდს ვუწოდებთ.

ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი იესო ქრისტეს მოწაფეებსა და ხალხთან უკანასკნელი საუბრების გახსენებას ეძღვნება. ამ დღეებში მსხვერპლშეწირვა არ ხდება და აღევლინება მხოლოდ პირველშეწირულ ძღვენთა ლიტურგია, რომელთა დროსაც სახარება სრულად იკითხება.

ვნების შვიდეულის ოთხშაბათიდან, პირველშეწირულის ლიტურგიის შემდეგ, წყდება მუხლთა დრეკა და დიდი მეტანიები. აღარ იკითხება ასევე ეფრემ ასურის ლოცვა „უფალო და მეუფეო“... და ფსალმუნთა კანონები. ფსალმუნების კითხვა განახლდება თომას კვირის მწუხრიდან.

### დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ლეღვის გახმობას იხსენებს. ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა – იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა. ამიტომაც ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ლეღვი ასევე ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესიაც დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს.

ლიტურგიაზე წასაკითხი სახარებით წმინდა ეკლესია ღვთისგან განდგომილი იუდეველების ბედსა და იესო ქრისტეს მიერ აღწერილ სამყაროს აღსასრულს გვახსენებს. დიდ და მრავალრიცხოვან განსაცდელთა, იერუსალიმის დანგრევისა და სამყაროს აღსასრულის ნიშნების აღწერით ეკლესია მორწმუნეებს ამქვეყნიურ ბოროტებაზე ამაღლების, სულგრძელობის, სიმშვიდის, მოთმინების, ლოცვისა და სულიერი სიფხიზლისკენ მოუწოდებს და მაცხოვრის მიერ სახარების მთელ ქვეყანაზე გავრცელებისა და რჩეულთა გულისთვის განსაცდელთა შეწყვეტის აღქმით ანუგეშებს (მთ. 24,14-22).

### დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისაკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისაკენ, განსაკუთრებით კი მოწყალებისაკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის, როცა გვეუბნება: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ (მთ. 25. 40).

### დიდი ოთხშაბათი

ეს იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა. ოთხშაბათის ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვანის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც, როგორც თავად მაცხოვრმა ბრძანა, იგი დასაფლველად მომამზადა.

აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს იმ დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, ხოლო იუდას ვერცხლისმოყვარეობას და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდ ოთხშაბათს წყდება დიდი მეტანიები, რომელთაც ეფრემ ასურის ლოცვის – „უფალო და მეუფეოს“... დროს ვასრულებთ. ამის შემდეგ პარასკევამდე, ამ ლოცვას მხოლოდ მონაზვნები ასრულებენ სენაკებში. ამგვარად, ეფრემ ასურის ლოცვა ყველიერის კვირის ოთხშაბათს იწყება და ვნების კვირის ოთხშაბათს სრულდება.

### დიდი ხუთშაბათი

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ დაცემას ვიხსენებთ. აღესრულება ბასილი დიდის წირვა, რომელიც სერობას იმის სამახსოვროდ უერთდება, რომ უფალმა ზიარების საიდუმლო სწორედ ამ დღეს, სერობის ჟამს დაადგინა. სერობაზე „რომელი ქერუბიმთას“ ნაცვლად იგალობება: „სერობასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო, ზიარებად შემოწყნარე“... სერობაზე მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები ფეხთბანის რიტუალს ატარებენ: როგორც მაცხოვარმა დაბანა ფეხები სერობის დაწყებამდე თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბანს ფეხებს მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს.

დიდი ხუთშაბათი იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხებების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრების კურთხევისას გამოიყენება).

დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე. წ. „თორმეტი სახარება“ ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, დაწყებული მოწაფეებთან მისი უკანასკნელი საუბრიდან საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფვლით და მისი საფლავისთვის მცველების მიჩენით. „თორმეტი სახარების“ კითხვისას მორწმუნენი ანთებული სანთლებით ხელში დგანან, რაც ერთი მხრივ, ჩვენი მხსნელის მიმართ მხურვალე სიყვარულის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი იმის ხსოვნა, რომ მაცხოვარს ღვთიური დიდება ვნების დროსაც არ დაუკარგავს. ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოჰკრავს, რიგით მერამდენე სახარებაც იკითხება.

მერვე სახარების შემდეგ იკითხება კანონი და იგალობება საგალობელი, რომელშიც ასახულია ის ეპიზოდი, როდესაც იესო ქრისტემ მის გვერდით ჯვარცმულ კეთილგონიერ ავაზაკს შეუნდო, რადგან ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ შეინანა. ეს საგალობელი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სრულდება.

თორმეტი სახარების მსახურების დასრულების შემდეგ მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჯვარცმასთან მიდიან, დიდი მეტანიით ემთხვევიან და ტაძარს ტოვებენ. ძველი ტრადიციის თანახმად, სანთელი, რომელიც თორმეტი სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავიღოთ შინ და შესასვლელი კარის თავზე სანთლის ალისაგან წარმოქმნილი კვამლით ჯვარი გამოვსახოთ. ამისთვის, რა თქმა უნდა, რაიმე ლამპარი უნდა მოვამზადოთ, რათა სანთლის შინ ჩაუქრობლად მიტანა შევძლოთ.

### დიდი პარასკევი

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღესრულება, რადგან ამ დღეს ცოდვებისაგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფეო ჟამნი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვნების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, შუადღისას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი „საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილზე, რომელზეც საფლავში მყოფი მაცხოვარია ამოქარგული, დააბრძანებენ გარდამოხსნას.

საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს. სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ლოცვის გალობისას შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოხსნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, „მამაოს ჩვენის“ გალობის შემდეგ კი ტროპრის „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი“... გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხევლიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ და „საფლავში“ დაასვენებენ. ამის შემდეგ სამღვდელოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება – მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

სერობის შემდეგ, საღამოს, შესაძლოა მწუხრიც, ე. წ. „ღვთისმშობლის გოდებაც“ აღევლინოს.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი მხოლოდ პურსა და წყალს იხმევს.

ძველი ტრადიციით, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი, ქრისტიანული ტრადიციით, ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფერად შეღებილ კვერცხს ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.

### დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორციით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება. ცისკარზე მღვდელმსახურები „წმიდაო ღმერთოს“ გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიაბრძანებენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და რომ თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი, ამ დროს იგალობება „მშვენიერმა იოსებ“...

იმ დროს, როცა გარდამოხსნას ისევ ტაძრის შუაგულში დაასვენებენ, ითქმება ეკვტენია და იკითხება საწინასწარმეტყველო ეზეკიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგომის შესახებ; სამოციქულო, რომელიც გვასწავლის, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი აღდგომაა ყოველი ჩვენგანის სულისათვის; სახარება, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ ჩააყენეს მცველები პილატეს თანხმობით მაცხოვრის საფლავთან, შესასვლელი ლოდით ჩარაზეს და ზედ ბეჭედი დაასვეს.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება მართლმადიდებლური ლიტურგიული ტრადიციის მწვერვალია. ეს არაა იესო ქრისტეს სიკვდილისა და დასაფლავების ისტორიული მოვლენების დრამატული გათამაშება ან სახარებისეული რიტუალური დადგმა. ეს ღვთისმსახურება ღრმა სულიერი წვდომაა მაცხოვრის იმ ქმედების მარადიულ არსში, რომლითაც მან კაცობრიობა იხსნა.

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია ანუ წირვა ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურობს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

მცირე შესავლისა და „ნათელი მხიარულის“ გალობის შემდეგ იკითხება 15 საწინასწარმეტყველო საკითხავი ძველი აღთქმიდან. ყოველ მათგანში ნაწინასწარმეტყველებია ღვთის მიერ სამყაროს ხსნა, რაც აღთქმული მესიის მოსვლით აღსრულდა.

სამყაროს შექმნისა (შესაქმეთა წიგნიდან) და ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლის შესახებ (გამოსვლათა წიგნიდან) საკითხავებთან ერთად იკითხება ნაწყვეტი ესაია, ეზეკიელ, იერემია, დანიელ და სოფონია წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მესიის ვნების, აღდგომისა და ამ გზით კაცობრიობის ხსნის შესახებ.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდელოების სამგლოვიარო შესამოსელი სადღესასწაულოთი იცვლება. ასევე იცვლება მთელ ტაძარში შავი ფერები ნათლით. ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლე ადრიან დილით, ჯერ კიდევ სიბნელეში, მაცხოვრის საფლავზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს ხარება იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

სადღესასწაულოდ შემოსილი დიაკვანი, როგორც ანგელოზი, გამოდის ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნის წინ, და სახარების კითხვით ხალხს მაცხოვრის აღდგომას ამცნობს. ამის შემდეგ წირვა ჩვეულებრივ გრძელდება, ოღონდ „ღირს არსის“ ნაცვლად იგალობება „ნუ მტირ მე, დედაო“...

წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ღამის თორმეტ საათამდე აღესრულება შუაღამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ, მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, ორმოცი დღე დაჰყო ამ ქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება. აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულია, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“ (ინ. 16,12).

### ბრწყინვალე შვიდეული

აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ კვირას ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე.

ბრწყინვალე შვიდეულში ყველა საეკლესიო წესს განსაკუთრებული ელფერი აქვს; წირვა-ლოცვა მხოლოდ ამ კვირისათვის დამახასიათებელი რიგით სრულდება, განსხვავებულია მიცვალებულის წესის აგება, ცვლილებაა ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებშიც; დილა-საღამოს ლოცვების ნაცვლად იკითხება „პასექის ჟამნი“.

**– როგორ უნდა ხვდებოდეს მართლმადიდებელი ქრისტიანი აღდგომას?**

– საქართველოში აღდგომა განსაკუთრებული ზარზეიმით აღინიშნება. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე, ჯვართან ერთად, კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ამ დღეს, ღამის 00:00 საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა-ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება. ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით: „ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად აღდგა!“

ამ დღეს ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისათვის. მწვანე ჯეჯილზე დალაგებული აუცილებელი წითელი კვერცხებისა და პასკის გარდა, მაგიდას ხორცისა და თევზისგან დამზადებული, სანელებლებით შეკაზმული კერძები, სალათები, საწებლები, ხაჭაპურები, ლობიანები და უამრავი სხვა ნუგბარი ამშვენებს, სიცოცხლის სადიდებელი ამ დღეს საქართველოში წითელი ღვინით ისმება – ესეც ქრისტეს სისხლის სიმბოლოდ.

აღდგომის დღესასწაულზე კვერცხების წითლად შეღებვის ტრადიცია მარიამ მაგდალინელს უკავშირდება. როდესაც იგი იმპერატორ ტიბერიუსთან წარდგა, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფერდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა ისიც აუწყა იმპერატორს, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი კი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისათვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრისათვის გამომ-

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

## გილოცავთ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

დასაწყისი მე-2 გვ.-ზე

ცხვარი პასკა კი მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს, რომ „მე ვარ პური – ზეცით გარდამოსრულიო“. მას ქრისტიანები მაცხოვრის აღდგომის რწმენის ნიშნად აცხობენ. სიმბოლურად იგი გოლგოთას აღნიშნავს, მთას, სადაც აწამეს და ჯვარს აცვეს ქრისტე.

სააღდგომო პასქა ფორმით არტოსს წააგავს, სადღესასწაულო პურს, რომელსაც ეკლესიაში აღდგომის დღეებში არიგებენ. თუმცა, მისგან განსხვავებით, საკმაოდ ტკბილი და ნოყიერია. სააღდგომო პასკაში აუცილებლად უნდა იყოს ბევრი ქიშმიში, სანელებლები და ცხიმი – ეს არის იმ დიდი დღესასწაულის ხორციელი გამოხატულება, რასაც კაცობრიობა აღდგომის ბრწყინვალე დღეებში განიცდის.

**– რატომ იკურთხება სააღდგომოდ არტოსი?**

– აღდგომის დღესასწაულისათვის საგანგებოდ აცხობენ პასქის ფორმის საფუვრიან პურს არტოსს, ჯვრის და ეკლის გვირგვინის ან აღმდგარი მაცხოვრის გამოსახულებით, რომელიც სააღდგომო მსახურებისას იკურთხება – „სადიდებლად და მოსაგონებლად უფალ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა“.

აღდგომის სადღესასწაულო მსახურების შემდეგ არტოსს (არტოსი ბერძნული სიტყვაა და პურს ნიშნავს) დააბრძანებენ ღია აღსავლის კარის წინ, მისთვის საგანგებოდ მომზადებულ მაგიდაზე. ასე რჩება მთელი ბრწყინვალე შვიდეულის სადღესასწაულო დღეებში. არტოსი განსაკუთრებული მადლით იმოსება. კვირაცხოვლობის, თომას კვირის შაბათს – ლოცვის დასრულების შემდეგ, იკითხება არტოსის განტეხვის ლოცვა. შემდეგ მას ანაწევრებენ და მორწმუნეებს ურიგებენ, რაც უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს. არტოსი უნდა მივიღოთ განსაკუთრებულ შემთხვევაში – სნეულების ან სხვა მძიმე განსაცდელის ჟამს, როგორც სულიერი წამალი.

არტოსი სათავეს მოციქულთა ხანიდან იღებს: ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ მოციქულები ნუგეშს მაცხოვრის მოგონებასა და გახსენებაში პოულობდნენ, იხსენებდნენ მის სიტყვებს: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, ერთად შეკრებისას ღრმა რწმენით განიცდიდნენ უფლის უხილავად მათთან თანამყოფობას, მაგრამ არ შეეძლოთ ხორციელი თვალით მისი ხილვა, ამიტომ ტრაპეზობისას პირველ ადგილს ყოველთვის უთმობდნენ უხილავად მყოფ მაცხოვარს. იმ ადგილის პირდაპირ კი მაგიდაზე პურის ნაჭერს დებდნენ, რათა ხილული თვალითაც შეეგრძნოთ უფლის მათთან მყოფობა. ტრაპეზის დასრულების შემდეგ, უფლისადმი მადლიერების გამოხატვის ნიშნად, პურის ამ ნაჭერს მაღლა სწევდნენ და ამბობდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ შემდგომში, როდესაც უფლის მოციქულები ქვეყნის სხვადასხვა მხარეს წავიდნენ სახარების საქადაგებლად, ამ წესს იქაც აღასრულებდნენ.

მოციქულთა მიერ დადგენილი პურის კურთხევის წესი მომდევნო საუკუნეებში წმინდა მამებმა აღდგომის დღესასწაულისათვის გამოიყენეს, რათა ეკლესიაში სამუდამოდ შემონახულიყო მოციქულთა წეს-ჩვეულება. როგორც მოციქულებს მოაგონებდა უფლისათვის განკუთვნილ ადგილზე დადებული პურის ნატეხი აღმდგარ მაცხოვარს, ასევე მოაგონებს მორწმუნეთ აღდგომის დღესასწაულზე მათ თვალწინ მყოფი არტოსი, რომ მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი უხილავად ჩვენთან იმყოფება.

**– რატომ უკავშირებს ბევრი ადამიანი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გარდაცვლილებს?**

– აღდგომა სრულიად კაცობრიობის დღესასწაულია. სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველმა საუკუნო სიკვდილისაგან ხსნა მოგვანიჭა, დაცემულნი აღგვადგინა. ესაია წინასწარმეტყველმა, აღდგომის წინასწარმეტყველმა, ამოთქვა ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთის შემუსვრა. პავლე მოციქულიც მასვე იმეორებს. წმ. წერილის დიდი ეგზეგეტი, წმ. იოანე ოქროპირი, სააღდგომო სიტყვაში წერს: „ჯოჯოხეთი რა შეემთხვა იტყვის, ქვეშე შენსა განმწარდა; განმწარდა, რამეთუ განქარდა, განმწარდა, რამეთუ მოიკიცხა; განმწარდა, რამეთუ მოიკლა; განმწარდა, რამეთუ დაიმხო; განმწარდა, რამეთუ შეიკრა; მოხუნა ხორცნი და ღმერთი იხილა შეიწყნარა ქვეყანამან და მოეგებნეს ცანი, მიიღო ხილული და დასცა უხილავი. სადა არს, სიკვდილო, საწერტელო შენი? სად არს ჯოჯოხეთო ძლევაი შენი? აღსდგა ქრისტე და დაირღვი შენ, აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაკნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს; აღსდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკვდართაგანილა არს საფლავსა შინა; აღსდგა ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა“. ამგვარად, აღდგომა მიცვალებულთა სასოებაცაა. საფლავებზე გასვლით მათ საყოველთაო აღდგომამდე ქრისტეს მიერ გამოხსნას ვახარებთ.

აღდგომა დღეს საფლავზე გასვლა მძიმე პირობებით გამოწვეულმა მიზეზებმა წარმოქმნა. ულმრთოობის დიდი დევნის დროს, ეკლესიას მოკლებული ქრისტიანი, თავის აღმსარებლურ სიხარულს დაუფარავად გარდასულებთან თუ გამოხატავდა. უტაძრო მდგომარეობამ, ღმრთისმსახურების დაკლებამ ადამიანებს საფლავზე გასვლისკენ უბიძგა. რაც შეეხება წითელი კვერცხის გაგორებას საფლავზე, აქ არანაირ რიტუალს არა აქვს ადგილი. ეს უბრალო ხალხური მისალოცი ჩვეულებაა, რაზეც ჯეროვანი ყურადღების გამახვილება საჭიროებას არ წარმოადგენს.

რადგანაც საფლავზე გასვლამ, აღდგომა დღეს, მასიური ხასიათი მიიღო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მოახდინა ლიტურგიული მცირე იკონომია (საეკლესიო კანონის გარკვეული სახით დასაშვები ცვლილება) და სასაფლაოზე გასვლის დღედ ბრწყინვალე ორშაბათი დაადგინა. ამით მან აღდგომის დღესასწაულს პირვანდელი და კუთვნილი იერი დაუბრუნა. ამ დღეს ქრისტიანები ცდილობენ საფლავთა კურთხევის მსახურების აღსრულებას. ზოგადად ამ დღედ დაწესებულია კვირაცხოვლობის მომდევნო სამშაბათი და ამ დღისთვის ამგვარი ფუნქციის დაბუნება, დროის ფაქტორია. ბოლოსდაბოლოს დადგება ის დღეც, როცა ქრისტიანული საზოგადოება, ეკლესიის სწავლებისამებრ განეწყობა და საფლავებზე გასვლა-კურთხევაც თომას სამშაბათს აღდგება.

ზოგადად მიცვალებულთა სულებზე ზრუნვა ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი სათნოებათაგანია, მაგრამ ქრისტიანს, ამ საკითხისადმი სწორი დამოკიდებულება უნდა გააჩნდეს და აღდგომასა და სხვა დღესასწაულებზე, საკლავი ზვარაკის და სხვადასხვა „სარიტუალო“ ძღვენთა საფლავზე მიტანა, მიცვალებულთა მსახურებად არ უნდა წარმოაჩინოს. ეს ერთგვარ ნეკროკულტად ინერგება და დასკვნით ნაწილში აღდგომის სასოება და სიხარული სრულიად დაიტევება-განქარდება. მის ნაცვლად ადამიანთა ფსიქოლოგიური სურათი წარმართულ უსასო-უნუგეშო მელანქოლიურ იერს ღებულობს და ეს კი სრულიად უცხოა ქრისტიანობისათვის.

**– რას გვეტყვით, წმინდა ცეცხლის გარდამოსვლაზე?**

– წმინდა ცეცხლის გარდამოსვლა ხდება იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავზე ყოველ წელიწადს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინა დღეს, შაბათს.

ორი ათასი წლის განმავლობაში, ქრისტიანები, რომლებიც ამ დიდებულ დღესასწაულს ხვდებიან მაცხოვრის საფლავზე, მოწმენი ხდებიან წმინდა ცეცხლის გარდამოსვლისა.

იერუსალიმის აღდგომის სახელობის ტაძარი – ეს არის არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც მოიცავს ქრისტეს ჯვარცმის ადგილს გოლგოთის მთაზე; როტუნდას – არქიტექტურულ სტრუქტურას უზარმაზარი გუმბათით; სამლოცველოს – რომელიც მდებარეობს იმ მღვიმის თავზე, სადაც იყო დასვენებული იესო ქრისტეს სხეული; საკათედრო ტაძარს იერუსალიმის პატრიარქისას; მიწისქვეშა ტაძარს; წმინდა ელენეს სახელობის ტაძარს და რამდენიმე პატარა სამლოცველოს. მაცხოვრის საფლავის ტაძრის ტერიტორიაზე არის რამოდენიმე მოქმედი მონასტერი, რომელიც მოიცავს ბევრ დამხმარე ნაგებობებს, გალერეას და ა. შ.

მთელი ქრისტიანობის არსებობის განმავლობაში ამ სასწაულის მოწმენი ხდებიან არა მარტო მართლმადიდებელი ქრისტიანები, არამედ კათოლიკები, გრიგორიანელები და სხვა ქრისტიანობის მიმდევრები.

მოციქულთა და წმინდა მამების ჩვენებების მიხედვით, პირველად წმინდა ცეცხლმა უფლის საფლავი გაანათა ჯერ კიდევ ქრისტეს აღდგომამდე. ამ სასწაულის მოწმე იყო მოციქული პეტრე. სააღდგომო ლიტონიობაზე კანდელს ზეთი დააკლდა და ამ დროს პატრიარქ ნარცისის კურთხევით, კანდელში სილოამის ემბაზის წყალი ჩაასხეს და სწორედ ამ დროს მოხდა სასწაული, ზეციდან გადმოსულმა ცეცხლმა ყველა კანდელი აანთო და მთელი ლიტონიობის განმავლობაში არ ჩამქრალა.

დაახლოებით ქრისტეს აღდგომამდე ერთი დღით ადრე იწყება საეკლესიო ცერემონიალი. იმისათვის, რომ ეს სასწაული იხილონ, მაცხოვრის საფლავთან ხალხი უკვე გროვდება წითელი პარასკევიდან.

შაბათს, დღის მეორე ნახევრიდან აქრობენ ყველა სანთელს და კანდელს. ზეთით სავსე კანდელს, ოღონდ ჩამქრალს, დებენ მაცხოვრის საფლავთან. დაახლოებით 13 საათზე იწყება ლიტონიობა. პატრიარქი შედის ტაძარში. ამ დროს ტაძრის სხვადასხვა მხრიდან სინათლის სხივები კრთის. მას შემდეგ, რაც წმინდა ცეცხლი გადმოდის და ანთებს კანდელს, საფლავის კარებს აღებენ და პატრიარქი ლოცავს იქ დამსწრე ქრისტიანებს და ურიგებს წმინდა ცეცხლს. თავიდან ეს ცეცხლი არ არის მხურვალე და იგი ხელს არ წვავს.

მოგვიანებით კი ზეციური ცეცხლით მთელს იერუსალიმში ანთებენ სანთლებს და კანდელებს. საქართველოდან წარსულ წარმომადგენლებსაც ჩამოაქვთ ეს წმინდა ცეცხლი. წმინდა ცეცხლს მომლოცველები გვიან ღამით ჩამოაბრძანებენ ხოლმე საქართველოში.

ზეციური ცეცხლი ყველასათვის ხელმისაწვდომია და მისი გარდამოსვლა ყოველი წლის აღდგომის წინა დღეს – დიდ შაბათს, საკვირველად ამტკიცებს მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტებასა და დიდებულებას, რადგანაც ის ზეციდან მხოლოდ მართლმადიდებელთა კანდელზე გადმოდის მაშინც კი, როდესაც გვერდით სხვა კონფესიის (სომხების, კათოლიკების, კოპტების) კანდელები დგას.

„მე ვარ აღდგომაი და ცხოვრებაი, – ბრძანებს მაცხოვარი, – რომელსა რწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე“ (ინ. 2, 25-26). უფლის ეს სიტყვები გვამშვიდებს ჩვენ მორწმუნეებს, სულიერად ვმხნევდებით და ვძლიერდებით, ვივსებით მკვდრეთით აღდგომის იმედითა და საუკუნო სიცოცხლის სიხარულით.

თუ ლაზარეს აღდგინებით მაცხოვარმა მოგვცა წინასახე თავისი მკვდრეთით აღდგომისა და გვიჩვენა, რომ სწორედ მას აქვს ხელმწიფება ადამიანთა სიცოცხლეზე, რომ იგია ჩვენი სიცოცხლის მომნიჭებელი, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომით კი – ჩვენ ვუბრუნდებით ჩვენს დასაბამს, ჩვენს სათავეებს – უკვდავებას და მარადიულ ცხოვრებას. ამიტომაც, სიხარულითა და რწმენით ვახარებთ ერთმანეთს – „ქრისტე აღდგა“. ამ ორი სიტყვით უკვე ყველაფერია ნათქვამი: ჩვენ შენდობილნი ვართ, ჩვენ მოგვეტევა და სიკვდილი უკვე აღარ გვაშინებს, რადგან იგი ჩვენთვის მარადიული სიცოცხლეა მხოლოდ.

**და ბოლოს, მე მინდა, რომ ეს არამიწიერი სიხარული – სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა, საკუთარი ლექსითაც მოგილოცოთ:**

აღდგომის ცისკარზე მზის
დისკო თამაშობს,
სხივებად ენთება და
ათბობს ჩვენს სიონს.
აღდგა ღმერთი და მარტო
არ დამაშთო
და მეც ვღაღადებ: აქსიოს! აქსიოს!

აღდგა ქრისტე და სიკვდილი
განქარდა,
განმაღრთე უფალო,
შენს მარჯვენივ დამსვიო...
აღდგომა მაცხოვრის მტრის
ძლევით დამთავრდა,
დიდება აღდგომილს! აქსიოს! აქსიოს!

ბუნება კაცისა ამაღლდა, განდიდდა,
მზადაა იესო, რომ თვის ძედ მაქციოს.
დაღლილი მუშაკი მიუვალ განცდითა,
მადლობა გადამრჩენს! აქსიოს!
აქსიოს!
ანგელოზთ გვახარეს
აღდგომა უფლისა,
ხარების ნათელი გამოჰყვა ამ სიოს.
ეს არის აღდგომა ყოვლისა სულისა,
და მეც მიხარის: აქსიოს! აქსიოს!

აღდგომის სიხარულს ჩემს
გულში ვერ ვიტევ,
ჯვარცმულმა სიკვდილი
სიცოცხლედ აქციოს...
შევხარი აპრილის ამ ვარდებს,
ამ ტიტებს
და ვადიდებ ჩემს მხსნელს:
აქსიოს! აქსიოს!
აღდგომილმა მაცხოვარმა
დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

**ესაუბრა**
**ია გიგიაშვილი**

# რა სხვაობაა პასკას, ხატისპურსა და კულიჩს შორის



*აღდგომის მოახლოვებასთან ერთად, სადავო საკითხი ხდება – არის თუ არა პასკა ხატისპური?*

*საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის პრეზიდენტი, ქართული გასტრონომიული კულტურის და ისტორიის მკვლევარი დალი ცატავა სააღდგომო სუფრის რიტუალებზე მოგვითხრობს, მათ შორის ძალიან კარგად განმარტავს რა არის პასკა და რა – ხატისპური.*

*– საერთოდ, ბევრს ჰგონია, რომ გასტრონომიული კულტურის საკითხებზე საკუთარი აზრი უნდა გამოხატოს, მაგრამ რამდენად კომპეტენტურია, ამაზე არავინ ფიქრობს... ეს საგანი არც ჩვენს წინაპრებს, არც ჩვენ არ გვისწავლია და ახალ თაობასაც არ აქვს ამ მიმართულებით ცოდნა.*

*„პური“ საკულტო თემაა არა მარტო ქართულ კულტურაში, არამედ ზოგადსაკაცობრიო საკითხია. ჩვენს ქვეყანაში ქართველების 80% მართლმადიდებელი ქრისტიანია. ქრისტიანებს იცით, გვაქვს ლოცვა „მამაო ჩვენო“, სადაც არის ფრაზა – „პური ჩვენი არსობისა“, რაც პურს უკავშირდება...*

*ამის გარდა, ჩვენს კულტურაში დიდი ადგილი უკავია ნადიმის თემას, ტრაპეზს, პურობას, რასაც პურის გატეხვასაც ვარქმევთ, მაგალითად, ძუნწ ადამიანს პურძვირს ეძახიან, ხელგაშლილს – პურღვინიანს. ეს მულტიმედიური საგანია, ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს უნდა იცნობდე, იცოდე ფიზიკა, ქიმია, ანთროპოლოგია, გეოგრაფია, პოლიტიკა.*

*საქმეში ფიზიკა რომაა ჩართული, ამაზე ის მეტყველებს, რომ პური სხვადასხვანაირი წესით ცხვება – თონეში, კეცზე, ფურნეში, ქვაზე, ცეცხლზე. ამ საქმეში გეოგრაფიაც ერთვება, რადგანაც ხორბალი რომელი რეგიონიდანაა, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.*

**– ქალბატონო დალი, პასკა არის თუ არა მართლაც ხატისპური?**

– პასკა სარიტუალო პურია, მაგრამ ხატისპური ნამდვილად არ არის. არადა, სარიტუალო პურებში უამრავი სახეობა (ლიკან ლავაში, აგუნას პური, ლემზირები, კვიკვინები) გვქონდა.

ხატისპური, სახატო ქადაა, იგივე ტკბილი პური, რომელსაც მთაში აცხობდნენ. პურის სახეობებს სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული: სააღდგომო, საშობაო. მაგალითად, რაჭაში განატეხ პურს აცხობდნენ, ეს ის პურია, რომელიც ბოსელში შეჰქონდათ აღდგომის, შობის ღამეს, რაც დაკავშირებული იყო გამრავლებასთან. აღდგომაც ხომ გაზაფხულზე, ბუნიობის პერიოდშია, რაშიც ახალი სიცოცხლის დაწყება იგულისხმება.

სააღდგომოდ სპეციალურად „ტაბლებსაც“ აცხობდნენ – დაიდებდნენ მას ხელისგულზე და ალიონზე მზეს შეავედრებდნენ, რომ მოსავალი ჰქონოდათ, რადგანაც ყანას უვლიდნენ...

ტკბილი ქადაც სარიტუალო პურია, რომელიც ხატობაზე მიჰქონდათ. ის შეიძლება სარიტუალო ხატისპურის ერთერთ ვარიანტად განვიხილოთ. ხევსურეთში სატაბლო პური (თხელი პური) ჰქონდათ, მას მიწების მოხვნის დასრულებისას, სათითაოდ ფიცრებზე ჩაამწკრივებდნენ და ისიც ხატისპური იყო... ასე რომ, პასკა ნამდვილად არ არის ხატისპური.

**– რა არის პასკა?**

– პასკა, როგორც ვთქვით, სარიტუალო პურია, რომელიც საგანგებოდ აღდგომისთვის ცხვება, ადრე არტოსი (ბერძნული წარმოშობის სიტყვა) ერქვა. არტოსი მაღალი სქელი პურია, რომელიც აღდგომის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში აღსავლის კართან იდო, შემდეგ კი მორწმუნეებს ურიგდებოდათ.

**– არტოსი ახლაც ურიგდებათ მორწმუნეებს...**

– კი, მაგრამ მათ შორის სხვაობა ის არის, რომ ამჟამად მას აღსავლის კართან ეკლესიის მსახურები დებენ. ადრე არტოსს ქალბატონები აცხობდნენ, მაგრამ თუ ქალს დედათა წესი ჰქონდა, ცომს ახლოს არ გაეკარებოდა.

სანამ ამ პურს გამოაცხობდა, წინასწარ მარხული უნდა ყოფილიყო, ფქვილი კი, რომელსაც გამოიყენებდა, ზედაშე (მთელი წლის განმავლობაში ცალკე შენახული). გამომცხვარ პურს ეკლესიაში იმდენ ცალს წაიღებდა, ოჯახში რამდენი წევრიც ჰყავდა. ეკლესიას სამჯერ შემოატარებდა და მერე აღსავლის კართან დადებდა.

**– არტოსი მაინცდამაინც აღდგომას რატომ უკავშირდებოდა?**

– ის მოციქულთა პერიოდიდან იღებს სათავეს, საიდუმლო სერობისას უფალმა მოციქულებს პური გაუნაწილა, თავად მაგიდის ცენტრში იჯდა. იმის მერე ისინი ცენტრში არასდროს დამსხდარან, ის ადგილი ცარიელი იყო, სადაც პურს, როგორც არსობის სიმბოლოს, დებდნენ.

შემდეგ ეს წესი იმაში გადაიზარდა, რომ პური ყოველთვის იქ უნდა ყოფილიყო, სადაც უფალი იყო, – ამ ყველაფერმა სიმბოლური დატვირთვა მიიღო... იმ მაგიდას, სადაც წირვისას კვეთა ხდება, ტრაპეზი ჰქვია... ასე რომ, ყველაფერი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული.

**– თავად პასკის სახელწოდება რას უკავშირდება?**

– ის ებრაული პასექის დღესასწაულიდან მოდის, როდესაც ებრაელები ხმიადებს აცხობდნენ, რადგანაც ისინი საფუვრიან პურს არ ჭამდნენ. საფუარი მართმადიდებლურ სარწმუნოებაში სასუფევლის სიმბოლოა. საფუვრის მცირე ნაწილი ცომს აფუებს.



საინტერესო ისიც, რომ პასკას XIX საუკუნის თბილისში ბარბარე ჯორჯაძის რეცეპტით აცხობდნენ... თუ გენიალური მხატვრის, ნიკალას ნამუშევრებს გადავხედავთ, სააღდგომო თემაზე არაერთი ნამუშევარი აქვს შექმნილი და ამ მიმართულებითაც უამრავი შედევრი დაგვიტოვა – უმეტესად სააღდგომო სუფრა, რომელზეც პასკაც დევს, რაც მთავარია, ყოველი მათგანი საკმაოდ მაღალია.

პასკის სიმაღლე გოლგოთას აღნიშნავს, ანუ პასკა რაც უფრო მაღალია, მით უფრო მძიმეა, რადგანაც გოლგოთის გზა მძიმეა. ამიტომაც არის ის უამრავი ნუგბარით დატვირთული – ცუკატით, კარაქით, ფქვილით, ქიშმიშით. ადრე შაქარი რომ არ იყო და თაფლით ატკბობდნენ...

სააღდგომოდ ქართლის რეგიონში ნაზუქებს ამზადებდნენ, პასკა ადრეულ პერიოდში არ იყო გავრცელებული, ის მერე და მერე შემოვიდა. ნაზუქებსაც თაფლით ატკბობდნენ, ასევე უმატებდნენ ყველანაირ სანელებელს – ცუკატს, ქიშმიშს, ცომი რძეზე იზილებოდა. ის აუცილებლად ტკბილი უნდა ყოფილიყო. საგალობელიც კია ასეთი – „ტკბილ ხარ შენ უფალო და სიტკბოებითა შენითა მასწავე მე სიმართლენი შენი“.

სულიერი სიტკბოების მიწიერად ასახვაშია ყველა სარიტუალო პურის დანიშნულება. ასე რომ, პასკა უკვე შემდეგი პერიოდების არტოსის სახეცვლილებაა, რაც პასექის დღესასწაულს უკავშირდება.

**– პასკას მთაში არ აცხობდნენ, ხომ?**

– მხოლოდ ტკბილ ქადებს და ხატობაზე მიჰქონდათ. სვანები აცხობდნენ ლემზირებს (სარიტუალო პური ტკბილიც და მარილიანიც), კიდევ არის არაერთი დასახელების სარიტუალო პური, რომელიც სააღდგომო მაგიდაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო. როგორც წესი, ფქვილი, წყალი და მარილი, სიტკბოსთან და ცეცხლთან ერთად გაერთიანებული სიმბოლურად იმას ნიშნავს, რომ ღმერთი ყველას გვაერთიანებს და ძალას გვაძლევს.

ამრიგად, პასკას არ შეიძლება, რომ ხატისპური ერქვას. ხატისპური ქართულ კულტურაში სარიტუალო პურის ერთერთი ვარიაციაა.

**– რა სხვაობაა კულიჩსა და პასკას შორის?**

– განსხვავება დიდია. პასკას რუსულ მართლმადიდებლურ კულტურაში პასხას ეძახიან, მას რძის ნაწარმისგან ამზადებენ, – ხაჭოს კარგად გაქნიან, დაუმატებენ ტკბილეულს, ცუკატს, ქიშმიშს, ჩირეულს. წითელ პარასკევს რიტუალური წესით მზად უნდა იყოს.

კულიჩი სლავური კულტურის ნუგბარია და ისიც რიტუალური ტკბილი პურია. ზოგიერთი მკვლევარი ამ კულიჩს ასე განმარტავს – „კოლა“ ძველ რუსულად მზეა, „ჩა“ შვილი, ანუ მზისშვილი. როგორც ჩვენს ქართულ კულტურაში, ასევე ძველ სლავურ კულტურაში შეიძლება პარალელები გავავლოთ წარმართულსა და ქრისტიანულის ნაზავს შორის.

მსგავს პურებს რაჭაში რომ აცხობდნენ, ამაზე წყაროებში წერია, რომ „ზემოდან მოაჭიკჭიკებდნენ“. ბორჯღალოს ფორმის „შტამპივით“ ჰქონდათ, რასაც ცომზე აკრავდნენ, რომ მზის ფორმა ჰქონოდა.

რაკი სლავურ კულტურაში კულიჩი მზის შვილს ნიშნავს, ამიტომაც მას ნაწნავის ფორმას აძლევენ და მისი ცომისგან წრეს კრავენ. ისეთი სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა, რომ სტუმარს კულიჩით ეგებებოდნენ, იმ ცარიელ წრეში კი მარილი იდო. პურს მოტეხავდნენ და მარილში ჩააწობდნენ. პურმარილის მიღების ტრადიცია ჩვენც გვაქვს გასტრონომიულ კულტურაში. ამიტომ, საერთო ბევრი რამ არის ამ მიმართულებით, რადგანაც ჭამა ყველას აერთიანებს.

კულიჩი მოგვიანებით გახდა, როგორც სააღდგომო ერთერთი საფუვრიანი ცომეული, თან ისიც ყველანაირი ნუგბარით და შესაბამისი ინგრედიენტით გაჯერებული. კულიჩი სანადიმოსადღესასწაულოსაწვეულებო პურია. ვინაიდან აღდგომა და შობა ყველაზე დიდი რიტუალური დღესასწაულებია, ამიტომაც ცხვება პასკაც და კულიჩიც. ოღონდ, კულიჩი პასკის მსგავსად, არ არის მაღალი...

მოკლედ, ყველაფრის საწყისი პურია, რადგანაც ის არსობის სიმბოლოა, გამრავლების, სიძლიერის განსახიერებაა და იმის, რომ უფალი მუდმივად ჩვენთან სუფევს.

# გამოაკელით ანზორ ერქომაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ქართულ კულტურას და იმდენად გაფერმკრთალდება ყველაფერი...



**დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი მათიკაშვილი. ბატონი ირაკლი ანსამბლ „რუსთავის" პირველი თაობის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ წლების განმავლობაში და ახლო მეგობრობა აკავშირებდა ანზორ ერქომაიშვილთან. ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში გამოკვეთილი დიდი ინტერესის გამო ბატონ ირაკლის ვთხოვეთ გამოენახა დრო ინტერვიუს ჩაწერისათვის.

**– ბატონო ირაკლი, როდის და როგორ მოხვდით საქვეყნოდ ცნობილ ანსამბლ „რუსთავის" შემადგენლობაში და ბატონ ანზორთან პირველი შეხვედრიდან რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

–1966 წელს მე დავამთავრე დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებელი, სადაც სწავლობდნენ ცნობილი ქართველი მომღერლები და მოღვაწეობდნენ კონსერვატორიის პროფსორები.

ვცხოვრობდი ვაკეში, სადაც დგას გალაქტიონის ძეგლი, ადრეულ წლებში ამ ადგილზე იყო 30-იან წლებში აშენებული სტუდენტური ქალაქი გრძელი ორსართულიანი კორპუსებით. ერთ-ერთი კორპუსი დათმობილი ქონდათ ხელოვნების ინსტიტუტის სტუდენტებს. პირველი სართული ეკავათ მხატვრებს, სამხატვრო აკადემიის, თუ სამხატვრო ტექნიკუმების მოსწავლეებს, ხოლო მე-2 სართული სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიისა და მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტებს.



ერთ-ერთ ოთახში ვცხოვრობდი მე მეგობართან ერთად, ხოლო გვერდით ოთახში ცხოვრობდა უკვე საქვეყნოდ ცნობილი ანსამბლ „გორდელას" ჩამომყალიბებელი და ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი. იმ დროისათვის ანზორი იყო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟოროს მე-3 კურსის სტუდენტი. ეს ის დრო იყო როდესაც ანსამბლ „გორდელამ" ბულგარეთში გამართულ სოფიის მსოფლიო სტუდენტთა ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვა. ერხელაც, გვერდით ოთახიდან მომესმა პიანინოს ხმა. მივედი მის კარებთან და დავაკაკუნე (მე და ანზორი უკვე კაი ხნის ნაცნობები ვიყავით) მან მითხრა შემოდიო. შევაღე კარები, გაუხარდა ჩემი დანახვა, მივულოცე მას გამარჯვება და მცირე მოკითხვის შემდეგ ჩემდა გასაკვირად მეუბნება. „ირა" (ასე მომმართავდა მოკლედ) მომეხმარე , ვიწყებ ახალი ანსამბლის მშენებლობას შენი ჩათვლით, მოვნახოთ ღირსეული, სილამაზით და რაც მთავარია ხმითა და სმენით დაჯილდოებული ახალგაზრდები. მე ცოტა გაკვირვებულმა ვკითხე ანზორ რაღას ქმნი, ხომ გყავს ანსამბლი „გორდელა". მან ნაღვლიანად მითხრა, რომ მე იქიდან წამოვედიო. მას მეტად აღარ ჩავძიებივარ (თუმცა, შემდგომში ყველაფერი შევიტყვე მიზეზი მისი წამოსვლისა, აქ მისი განვრცობა აღარ არის საჭირო).

რა თქმა უნდა იმ დღესვე შევუდექი ბიჭების შეგროვებას. ზოგი კონსერვატორიაში ვეძებე, ზოგი ტექნიკუმებში, ზოგი სახელმწიფო კაპელაში. ერთი სიტყვით შევიკრიბეთ 10 კაცი. ანზორმა ყველა გასინჯა და დავიწყეთ მუშაობა. ანსამბლი ჩამოყალიბდა ქალაქ რუსთავის კულტურის სამსახურის ბაზაზე, რომლის ხელმძღვანელი გახლდა აწ გარდაცვლილი, ცხონებული რეზო მორჩილაზე, რომელსაც ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის ანსამბლის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში. თავიდან ვმეცადინეობდით კონსერვატორიის ერთ-ერთ ოთახში. ვმუშაობდით ძალიან ბევრს. დილის ათი საათისათვის მივდიოდით ჩვენი საკვებით და ასე 5-6 საათს ვმეცადინეობდით. და ძალიან ჩქარა, თითქმის 3-4 თვეში ჩამოყალიბდა მაღალ კვალიფიციური ანსამბლი, რომელსაც ქალაქ რუსთავის საპატივსაცემოდ დავარქვით ანსამბლი „რუსთავი".

რაც შეეხება ანზორ ერქომაიშვილს ის იყო თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. თამამად შემიძლია ვთქვა რომ დღეს ქართულ – ხალხური სიმღერა თუ ასეთ მაღალ დონეზეა ეს მისი უზომოდ დიდი სიყვარულისა და შრომის შედეგია. ძალიან დიდი და ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ამ დარგში. მიუხედავად ღრმა პატივისცემისა ჩვენი დიდი წინაპრების, ვისაც კი რაიმე წვლილი მიუძღვის ქართულ-ხალხური სიმღერაში და ფოლკლორში, ამდენი არასდროს და არავის გაუკეთებია. ამას მომავალი თაობები იტყვიან. იგი იყო მეტად კეთილშობილი კაცი, ძალიან დიდი მოთმინების პატრონი, უანგარო თავის საქმეში. გამოაკელით ანზორ ერქომაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ქართულ კულტურას და იმდენად გაფერკმრთალდება ყველაფერი რომ მხოლოდ ერთსახოვანი დარჩება. თუ არსებობს ანსამბლი „რუსთავი" ეს არის მისი პირდაპირი უდიდესი ღვაწლი.თუ ვიტყვი სამხედროების ენაზე იგი იყო სწორუპოვარი „უმაღლესი მთავარ სარდალი".

**– ანსამბლის შემადგენლობაში ვინ იყვნენ?**

– მე მინდა იმ ბიჭების გვარები მოგახსენოთ, რომლებიც ანსამბლ „რუსთავში" იყვნენ სულ თავიდან და დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის. ესენია:

1.გენო მუჯირი
2.სალივერ ვადაჭკორია
3.ჯუმბერ ყოლბაია
4.ლადო წივწივაძე
5.იური კახნიაშვილი
6.გაიოზ არაბაშვილი
7.ნაზირი ბოჭოიძე
8.ჰამლეტ გონაშვილი
9.ირაკლი მათიკაშვილი
10.ბადრი თოიძე. შემდგომში შემოგვიერთდნენ რამინი მიქაბერიძე და ტარიელ ონაშვილი, რომლებიც ასევე პირველი თაობის მომღერლებად აღიქმებიან.

**– ჰამლეტ გონაშვილი როდის გახდა თქვენი ანსამბლის წარმომადგენელი და რა ურთიერთობა გაკავშირებდათ მასთან?**

–ჰამლეტ გონაშვილი შემოგვიერთდა ორი წლის შემდეგ ჩემი დიდი მეცადინეობით. მე ვთხოვე ანზორ ერქომაიშვილს მისი გადმოყვანა ჩვენთან. ის უკვე მღეროდა სახელმწიფო ანსამბლში და ბევრი შეხვედრების, მოლაპარაკებების შემდეგ ჰამლეტ გონაშვილი გახდა ანსამბლ რუსთავის სრულუფლებიანი წევრი, რასაც სახელმწიფო ანსამბლის დირიჟორის, ბრწყინვალე მუსიკოსის და ლოტბარის ანზორ კავსაძის ძალიან მძაფრი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ შემდგომში ყველაფერი ჩადგა თავის კალაპოტში.

ჰამლეტ გონაშვილი იყო ჩემი უფროსი მეგობარი, უგანათლებულესი კაცი. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომელ ამპლუაშიც ის მღეროდა მისი სადარი მომღერალი ჯერ-ჯერობით არ დაბადებულა. ის იყო ნამდვილი ვირტუოზი, რომელსაც ღმერთმა მისცა მას ნიჭი და ამავე დროს დიდი ინტელექტი, დიდი სასიმღერო კულტურა, დიდი მოქალაქე და სწორუპოვარი კაცი-კაცობაში. მასთან მაკავშირებდა ახლო მეგობრობა და მისგან ვისწავლე ბევრი რამ როგორც სიმღერაში ისე კაცობაში და სამშობლოს სიყვარულში. ის ჩემთვის ნამდვილი უნივერსიტეტი იყო. ღმერთმა აცხონოს მისი სული.

**– თქვენმა ანსამბლმა მსოფლიო მასშტაბით მიაღწია წარმატებებს, როგორ აფასებდნენ სამშობლოში თქვენს მიღწევებს?**

– დაიწყო ჩვენი სატელევიზიო გამოსვლები. ხალხი გვწერდა წერილებს თხოვნით, შეგვესრულებინა ესა თუ ის სიმღერა რადიოსა თუ ტელევიზიაში.

პირველი ჩვენი გასტროლი იყო პოლონეთში, რომელმაც ძალიან დიდი წარმატებით ჩაიარა. ასე და ამგვარად გააგრძელა „რუსთავმა" და მოვიდა დღემდე. მთელი თავისი მოღვაწეობის გზაზე უამრავი წარმატება და ჯილდო დაიმსახურა. ყველაზე დიდი ჯილდო კი ხალხის სიყვარული იყო, რომელსაც ანსამბლი „რუსთავი" კიდევ უფრო მეტი მადლიერებით პასუხობდა.

მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ ანსამბლ „რუსთავში" ამჟამად მღერის ჩემთვის ძალიან საყვარელი ახალგაზრდა კაცი ბადრი ჩიხიაშვილი, რომელზეც გარკვეული წვლილი მიმიძღვის მის ქართულ-ხალხური სიმღერის მომღერლად ჩამოყალიბებაში.

**– მივიწყებული ქართული ხალხური სიმღერების შეკრებაში რა დამსახურება მიუძღვის სახელოვან ლოტბარს?**

– ანზორ ერქომაიშვილის უდიდესი ღვაწლი გახლავთ ძველი, მივიწყებული ქართულ-ხალხური სიმღერების მოძიება, გაახლება და შეკრება. იგი არა მარტო სამშობლოში , პარიზსა თუ ლონდონში, ამერიკაში თუ პეტერბურგში და კიდევ მრავალ სხვა ქალაქში ეძიებდა და ჰპოვებდა 1900-იანი წლების უცხოური ფირმების ჩანაწერებს, არამედ ტექნიკურად ასუფთავებდა და გამოსცემდა. მისი დამსახურებაა რომ დღეს ჩვენ ვუსმენთ ლეგენდარულ ქართველ მომღერლებს ვანო სარაჯიშვილს, დედას ლევანას და სხვებს. მან ძალიან დიდი ღვაწლი შეიტანა ამ სიმღერების ტექნიკურ აღდგენაში და გამოცემაში.

**– როგორ აღმოაჩინა ვ. სარაჯიშვილის ჩანაწერების მატრიცები და რა მოიმოქმედა მათ აღსადგენად?**

– ქართულ-ხალხური სიმღერის აღდგენა ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი და ურთულესი საქმე. მარტო ჩემს იქ ყოფნის დროს ჩავწერეთ 100-ზე მეტი ხალხური სიმღერა, ხოლო ჩემს მერე ჩაიწერა ძალიან ბევრი და გამოიცა.

**– ბატონი ანზორის დამსახურებაა, რომ რეგიონებში ხალხური სიმღერების ანსამბლები კიდევ ფუნქციონირებენ, ამასთან მან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ქართულ სიმღერას ახალგაზრდობა დაუფლებოდა, თქვენ როგორ შეფასებას მისცემთ?**

– ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი მრავალ ღვაწლთა შორის არის ის რომ ,მან პირველმა შექმნა ხალხური სიმღერის ბავშვთა გუნდი, რომელსაც ეწოდა „მართვე". აი ეს არის საფუძველი იმ ყველაფრისა, რასაც დღეს ხედავთ და ისმენთ პრესასა თუ ტელევიზიაში. მან აღზარდა ასეულობით ბავშვები, რამაც შეცვალა ძირფესვიანად ქართულ-ხალხური სიმღერისადმი მიდგომა. ამ ბაზაზე ჩამოყალიბდნენ ანსამბლები, რომელნიც საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდებიან. მან შექმნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, რომლის დირექტორი გახლავთ შესანიშნავი ლოტბარი გიორგი დონაძე.

ანზორ ერქომაიშვილის უდიდესი დამასახურება გახლავთ ისიც რომ, მან შეძლო თავისი ფანტასტიკური მრავალმხრივი ნიჭიერებით შეექმნა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით თითქმის ყველა რაიონში ქართულ-ხალხური სიმღერის სკოლები.

მისი ძალიან დიდი ღვაწლია ასევე იუნესკოში ქართულ-ხალხური სიმღერის გავრცელებასა და პროპაგანდაში.

2016 წელს იუნესკოს მსოფლიო კონგრესზე ანზორ ერქომაიშვილის ძალისხმევით ქართული სიმღერა გამოაცხადეს არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის საგანძურად.

არ შემიძლია არ ავღნიშნო ის დამსახურება და ღვაწლი რომელიც მიუძღვის მას გიორგი მთაწმინდელის სახელობის სალოტბარო უნივერსიტეტის დაარსებაში, სადაც იზრდებიან მომავალი ლოტბარები.

მე ვფიქრობ, როგორც „რუსთავი" გაიზარდა ანსამბლი „გორდელას" ტრადიციებზე, სასიმღერო კულტურის მხრივ ვთვლი, რომ დღესაც ანსამბლი რუსთავის მიხედვით ბევრ ანსამბლს ეტყობა მისი გავლენა.

**– თუ იყო დაფასებული ბატონი ანზორის ფასდაუდებელი ღვაწლი მისსავე სიცოცხლეში (ჯილდოები, პრემიები, პრიზები)?**

– დაფასების კუთხით ვფიქრობ რომ საყვედური არ გვეთქმის.

მისი დამსახურებები უფრო მეტად დაფასებული იქნა ძირითადად სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, მანამდე მაინცა და მაინც კომუნისტების დროს ბევრი გაჭირვება ნახა, თუნდაც ის რომ ჰამლეტთან ერთად ძლივს მიიღო საცხოვრებელი ბინა.

მე ვფიქრობ, ანზორ ერქომაიშვილის მიერ სამშობლოსათვის გაწეული თავდადება უნდა შევადაროთ ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლს. სულ ასე დადიოდა და მთელ მსოფლიოში ეძებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს.

ქართული საგუნდო მუსიკის, ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ნაყოფიერი პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისთვის 2020 წელს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით. მას აგრეთვე მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის და ალბერტ შვაიცერის სახელობის პრემიები.

**– თქვენ ბატონი ანზორის დაკრძალვაზე იმყოფებოდით,როგორ გააცილა მადლიერმა საზოგადოებამ ქართული კულტურის და ფოლკლორის მამა იმქვეყნიურ საუფლოში?**

– ანზორის ცხედართან ვიდექი სამი დღის განმავლობაში და მე ვფიქრობ პანდემიას რომ არ შეეშალა ხელი, მთელი საქართველოს მუსიკალური საზოგადოება იქ იქნებოდა.

თუმცა, მის გაცილებას მაინც საკმაოდ ბევრი ადამიანი დაესწრო. ტაშით გამოასვენეს სამების ეკლესიიდან და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# ღია წერილი ჩვენს ქვირფას ფარმაცევტსა და პოეტს თინათინ მისრიაშვილს



ქალბატონო თინა! გუშინდელ დღესავით მახსოვს თქვენი გაცნობა. ვარდი და ია გიყვაოდათ სახეზე. სასიამოვნო ხმა და თქვენი საუბრის სტილი მომეწონა. – ვინ არის-მეთქი? გიკითხეთ და ბილანიშვილების რძალიაო, – მითხრეს.

ჩვენ ერთმანეთისთვის უცხონი ვიყავით, მაგრამ გულმა მიგიღოთ, დიდ პატივს გცემდით. მომწონოდა თქვენი ურთიერთობა ხალხთან, ცოდნა, სიწრფელე.

* * *

გავიდა წლები, თქვენმა სახელმა და გვარმა გაასწრო თქვენს პიროვნებას. ყვარელში კარგად მიგიღეს და სათანადოდ დაგაფასეს.

ამ საუკუნის დასაწყისში, 15 წლის წინ, ლექსების წიგნი მაჩუქეთ, როგორც თქვენი შვილიშვილების, დევის, გიორგის და მათეს პაპიდას.

სადად გაფორმებულ ლურჯყდიან წიგნს, თინათინ მისრიაშვილი აწერია და ზედ ანთებული სანთელი და გადაშლილი წიგნია დახატული. ლექსების კრებულს „ჩემი სამლოცველო" ჰქვია. სიტყვა „ლოცვა" ძველი ქართულია და „თხოვნას" ნიშნავს. – რას სთხოვს თინათინი ღმერთს? – გავიფიქრე და იდუმალი მოლოდინით გადავშალე... გადავშალე და აღარც დამიხურავს; დიდად ვისიამოვნე. სად მხატვრულობა მომეწონა, სად ფშავური სიტყვების გაცოცხლება, სად თქვენი ნატვრა, სად იუმორი. თქვენი თვალით დანახული ფშავი დავინახე. პიტალო კლდეზე ამოსული წითელი პირიმზე, მგრძნობიარე ბალახი ქუჩი, საჯიხვეები, ჭიუხები, ქარაფები, ცვარნაპკური მთები და თვითონ ფშავლები, ხელებდაკოჟრილი ხალხი, ლექსად რომ აზროვნებენ. დარდსა და გაკვირვებას, გულის ამღერებას, თუ მარცხს რომ მოგილექსავენ ერთ წამში. ფშაური კაფიები მრავალია და, საერთოდ, ვაჟა ფშაველას შემდეგ ვინ უნდა იწვევდეს გაკვირვებას მთელ მსოფლიოში? – არავინ! მაგრამ თქვენ სამედიცინო ფაკულტეტი გაქვთ დამთავრებული, ხართ პროფესიონალი ფარმაცევტი, ხალხისთვის ყველანაირად მისაღები და ღვთისგან დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება.

ჩემო კარგო, თქვენ გრძნობთ, რომ დილით მზე გიცინით, საღამოს კი – ბადრი მთვარე, გესმით ქარის ქვითინი, ბატკანასხლეტილი ცხვრის ბღავილი, ხედავთ როგორ ბანაობს მთვარე ნისლში, როგორ წევხართ ღრუბელთა ჰამაკში და თვალს ადევნებთ გუმბათის თავზე აცოცებულ ვერცხლისფერ მთვარეს ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავნი, ასეთ რამეებს ვერ შევიგრძნობთ.

ხშირად მომიწია თქვენი წიგნის დახურვა და სივრცეში თვალდაუხამხამებლად ყურება.ხან გაპიროვნება მომეწონა, ხან ეპითეტები, თემა, იდეა, ხან ფშაური დიალექტის სიტყვები (საკართანო, განუმქრევს, დაჯაბნა და ა. შ.) საუკეთესო გუნება-განწყობილებაზე დამაყენა. ახლა იმასაც ვხვდები, რომ სხვა მრავალი პოეტის ლექსებთან ერთად თქვენი ლამაზი თაიგულის თითოეული ყვავილიც სიცოცხლეს მიხანგრძლივებს.ესაანიჭი.

თინათინ, თქვენ ცხოვრების მძიმე ჭაპანს უმსუბუქებთ ადამიანებს, როგორც საქმით, ასევე – სიტყვით.ქმნით ლამაზ ლექსებს ყველასთვის გასაგებ ენაზე. თქვენი ლექსების თითოეულ სტრიქონში გამოსჭვივის(ბრილიანტივით ბრწყინავს) გულწრფელობა, არც სიხარულია ყალბი და არც წუხილი და, რაც მთავარია, რასაც თქვენ განიცდით, იმას განაცდევინებთ მკითხველსაც.

იყო დრო, როცა „მინდვრად პეპლებს სცემდი ელდას"-ვიდრე ფშავში ცხოვრობდით, შემდეგ კი შეგეცოდათ ობობას მოქსოვილ ბადეში გაბმული გაგუდულ-გამოფიტული პეპელა, სხვა თვალით შეხედეთ ამ მდგომარეობას, განიცადეთ და ჩვენც განგვაცდევინეთ ეს უბრალო რამ.

დიდი მისია გაქვთ აღებული საკუთარ თავზე:

„ვწერო? არ ვწერო? რაზე ვწერო?
ვისთვის, ან რისთვის, ვუსმენ გულისთქმას.
გონება კი მითვლის და მითვლის
წერეო, წერე იმისათვის და კიდევ მისთვის, რომ დედამიწას მოევლინე სიმართლის თქმისთვის".

* * *

ძალიან ძლიერი და ცამდე ალალმართალი ხართ მიძღვნით ლექსებში. პოეტებს – იზოლდა იოსებიანს, ავთანდილ გაფრინდაშვილს, ჯანსუღ ჩარკვიანს, ანა კალანდაძეს, შვილებს, მეგობრებს, სპორტსმენებს, ფშავლებს, გადაუხრელი სიმართლე მოახსენეთ. ამ ლექსებში ჩანს თავისუფლად მოაზროვნე ქ-ნი, რომელიც არა მხოლოდ ჯანსუღ ჩარკვიანს, არავის აპატიებს „ვაჟას ლექსებს შეახოს ხელი": იცით, რომ ავთანდილს„მოენატრება ღვინობისთვე, სავსე თასები, ძნელად გვხვდებიან კაცნი მისებრ დასაფასები".სულიერად ახლო გრძნობთ თავს ანა კალანდაძესთან, რომელიც „მთვრალია დეკის სურნელით, ლაშარს ღორღიანს ნატარი", რომლის ფიქრებთანაც გაახლოვებენ„ჯანღებ ფშავს გადანატარი". მსუბუქი იუმორი ჩანს, თქვენი მეგობრის-ასმათ ბუთხაშვილისადმი მიძღვნილ ლექსებში, დიდი სიყვარული – შვილებისადმი, სამშობლოზე კი გულქართლად ამბობთ: „ზმანებასავით დამდევს თან, მამულო, ფიქრი შენი, მიყვარხარ ისე ძლიერ, ვერ გამომითქვამს ენით".

ახლა კი ვიცი თინათინ, რა სათხოვარი გქონიათ ღმერთთან და რისთვის ლოცულობთ. თქვენივე ლექსებიდან მოვახდენ ციტირებას: „ერთობისთვის ვლოცულობ და მშვიდობისთვის შინ და გარეთ", „სულდგმულთ მიწისამ არ ნახოს ომი", „მომეცი ძალა და შემართება, რომ დაჭრილ გულებს წამლად დავადნე", „უფალო, ჭკვიანი ქართველი ამრავლე", „ფუძის ანგელოზო, მუხლზე დაგიდგები ქალი, ისმინე ვედრება, ავი აგვარიდე თვალი", „ღმერთო, მიიღე საწირავი მათი მცირედი და გაუმრავლე ძენი ერის დიდი იმედი", „მე მხოლოდ ენას გვედრი უფალო, ენას მოუბარს ტკბილად".

ქალბატონო თინათინ, ოცნებობთ, რომ არ აგერიოთ თეთრი შავში, გიყვარდეთ ყველა და ყველას უყვარდეთ, თქვენც სანდო იყოთ და სხვაც თქვენთანმართალი. ყველა ოცნება ასრულებული გაქვთ, ტკბილმოუბარი ხართ, ყველა გიყვართ და ყველას უყვარხართ (ვისაც ეს არ სჯერა, 10 წუთით აფთიაქში დადგეს და მოუსმინოს ხალხს, როგორ მოგმართავენ). სიმართლის შვილი ბრძანდებით და მართალთა დასაყრდენი.სული წმინდა სახლობს თქვენში. გმადლობთ, რომ ასეთი კეთილშობილი და პოზიტიური პიროვნება ხართ.

გილოცავთ 70 წლის იუბილეს! ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე გაჩუქოთ ღმერთმა თქვენს ოჯახთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. იმდენი სიხარული მოგანიჭოთ უფალმა, რამდენი ყაყაჩოც გაშლილა ყვარლის ველ-მინდვრებში.

**დიდი საიყვარულითა**
**და პატივისცემით**
**ნინო იშხანიძე,**
**2021 წელი, 20 აპრილი.**

# „წიგნები გონების პირმშონი არიან"

*ჩვენი დიდი მამულიშვილი ილია ასე გვმოძღვრავდა: „ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი დაიწყებს ლაპლაპს".*

*ჩვენი შვილებისთვის სწავლისა და ცოდნის გაფართოების ერთ-ერთი გზა სკოლის გარდა, საბიბლიოთეკო გაერთიანებებში შემავალი ბიბლიოთეკაცაა. თუმცა ერთ წელზე მეტია მსოფლიოში შემოჭრილმა ეპიდემიამ ყველა დარგი, ყველა სფერო დააზარალა, მათ შორის საბიბლიოთეკო გაერთიანებებიც. მდგომარეობის შესამსუბუქებლად ჩვენი მთავრობის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ საჭირო გახდა შეზღუდვების დაწესება. ეს შეეხო, რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკებსაც. მკითხველს საშუალება არ ჰქონდა ამ გართულებული პანდემიის ფონზე, ესარგებლა წიგნით, ჟურნალ-გაზეთებით. ბოლო დროს შეზღუდვების მოხსნამ გაახარა ჩვენი მოსახლეობა, ახალგაზრდები და პენსიონერები. დღეისათვის იქ არსებული მდგომარეობის შესახებ საუბარი ვთხოვეთ საბიბლიოთეკო გაერთიანების გამგეს, ქალბატონ მზია აბესაძეს.*

**– ქალბატონო მზია, გილოცავთ სამუშაო ადგილზე დაბრუნებას, ასევე მკითხველთა დაბრუნებასაც, რომლებიც დიდხანს ელოდნენ ამ დროს. ეპიდემიების ფონზე რა მდგომარეობაა დღეს თქვენს სამუშაო უბანზე?**

– მსოფლიოში გავრცელებულმა ვირუსმა მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, რის გამოც ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დადგა ყველა და მათ შორის მედიკოსთა მთლიანი არმია. მიზანდასახულად მიმდინარეობდა მათი მუშაობა ვირუსის საწინააღმდეგო სხვადასხვა სახის პრეპარატების შესაქმნელად. ამ ხნის განმავლობაში პანდემიის გავრცელების შესაჩერებლად მთავრობების მიერ შეწყდა წარმოება-დაწესებულებების, სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების და სხვა ხალხმრავალი თავშეყრის ადგილების მუშაობა. მათ შორის აღმოჩნდა საბიბლიოთეკო ქსელიც, რომელმაც დროებით მუშაობა შეწყვიტა. სულ რამდენიმე ხანია, რაც მუშაობა განვაახლეთ.

**– ამ ხნის მანძილზე თუ ხდებოდა ხოლმე წიგნის ჰაერაცია, დასუფთავება?**

– რაც შეეხება წიგნების და თვით შენობის მოვლა-პატრონობას, ეს პროცესი მთავარი ბიბლიოთეკის და მის დაქვემდებარებულ განყოფილებებში ყოველკვირეულად ტარდებოდა, (წიგნების დასუფთავება, წიგნის ჰაერაცია და სხვა).

პანდემიის გავრცელებისთანავე მოხდა შენობის და წიგნსაცავების სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება. ამჟამად შენობაში შემოსული მკითხველისთვის ხელმისაწვდომია ხელის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება, ტემპერატურის გაზომვა და სხვა, რაშიც ხელს გვიწყობს მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ცენტრი (დირექტორი მაია ზარდიაშვილი).

**– ჩვენს მოწყურებულ მკითხველზე რას გვეტყოდით? ამჟამად დღის განმავლობაში რა რაოდენობის მკითხველი შემოდის და საერთოდ მკითხველთა რა რაოდენობა სარგებლობს თქვენი ბიბლიოთეკით?**

– გალერეებულმა პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა ბიბლიოთეკის ყველა კატეგორიის მკითხველზე. მათ ფიზიკურად არ შეეძლოთ ცოდნის ამ დიდ ტაძარში შესვლა და წიგნთან ურთიერთობა. ყველა მათგანმა ხომ კარგად იცის – „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა" (ი.ჭავჭავაძე).

რამოდენიმე დღეა, რაც მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახდა ბიბლიოთეკის კარის შემოღება. გახსნის პირველივე დღეს წიგნს მოწყურებულმა უამრავი მკითხველი გვესტუმრა. თვითეული ბიბლიოთეკარი სიხარულით შეეგება ყველას, რადგან ისინი ხომ ბიბლიოთეკის ნაწილი არიან. სწორედ მისი ურთიერთობიდან გამომდინარე და საჭიროების საფუძველზე ხდება წიგნის შემოტანა.

მთავარი ბიბლიოთეკა და მასში შემავალი განყოფილებები (შილდა, ენისელი, ახალსოფელი, თივი) წლის განმავლობაში 1800-ზე მეტ მკითხველს ემსახურება. გამონაკლისს შეადგენს 2020 და 2021 წლის დასაწყისი. ეს კლება კი გამოიწვია პანდემიის გამო ბიბილიოთეკების დაკეტვამ.

**– რამდენად ხელმისაწვდომია დამამთავრებებლი კლასების მოსწავლეებისთვის საჭირო ლიტერატურით სარგებლობა.**

– მთავარი ბიბლიოთეკა და მისი განყოფილებები აქტიურად თანამშრომლობენ სხვა უწყების ბიბლიოთეკებთან, როგორიცაა მაგალითად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და საჯარო სკოლები.




საბავშვო ბაგა-ბაღებში ბიბლიოთეკართა მიერ ხდება ასაკობრივი თვალსაზრისით გათვალისწინებული წიგნების მიტანა და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება. პანდემიის დაწყებამდე ყვარლის საბავშვო განყოფილების მიერ (ბიბლიოთეკარები ვ. ხუციშვილი, ც. ბურკიაშვილი) ბაგა-ბაღ „გვირილაში" ჩატარდა ლიტარატურული დილა, ხოლო აღსაზრდელებს საჩუქრად გადაეცათ საბავშვო წიგნები. ყოველწლიურად ხდება აგრეთვე უფროსი ჯგუფის ბავშვების შემოყვანა ბიბლიოთეკაში და მათი წიგნთან დაახლოება.

ბიბლიოთეკის აქტიური თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან გამოიხატება იმით, რომ პედაგოგთა მიერ პერიოდულად ტარდება გაკვეთილები თვით ბიბლიოთეკაში – ცოდნის ამ დიდ ტაძარში. ცნობილი გერმანელი მწერალი ჰერმან ჰესე ხომ წერდა: „წიგნებს ისე უნდა მივაკითხოთ, როგორც მეგობრებს და თანაშემწეებს მიმართავენ ხოლმე ადამიანები", რომლის ნათელი დადასტურებაცაა ყვარლის №2 საჯარო სკოლის პედაგოგის მ. ბაიდოშვილის მიერ ჩატარებული გაკვეთილები ბიბლიოთეკაში წიგნისაცავში.

ბიბლიოთეკა გულისხმიერებით ეკიდება აგრეთვე მკითხველთა უნარჩვევების გაღრმავებას. ამ მიზნით იყო გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა და ახალგაზრდების მიერ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ნორჩ მხატვართა გამოფენა, რომელზეც 100-ზე მეტი ნამუშევარი იქნა წარმოდგენილი. კონკურსის მონაწილენი დაჯილდოვდნენ სიგელებით და წიგნებით. ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა მაია ზარდიაშვილმა.

ყველა კატეგორიის მკითხველთან ერთად ჩვენ დიდი გულისხმიერებით ვეკიდებით დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს მათთვის საჭირო ლიტერატურის უზრუნველყოფით, რათა წარმატებით ჩააბარონ ერთიანი გამოცდები და თამამად შეუდგნენ დამოუკიდებელი ცხოვრების გზას.

**– რაში მდგომარეობს წიგნის არსებითი ძალა, რომელსაც მოიხმარენ ჩვენი ახალგაზრდები და არა მარტო ახალგაზრდები.**

– როგორც ჯონათან სვიფტი ამბობდა – „წიგნები გონების პირმშონი არიან", წიგნი სულ სხვა საუნჯეა!... ნათქვამია – „წიგნი ადამიანის მეგობარიაო"... ის ხომ ყოველთვის აცნობს მკითხველს სხვადასხვა ამბავს, თავგადასავალს. მისი საშუალებით ხდება მკითხველთა ინტერესების შესწავლა, პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება. ამიტომ შეიქმნა მთავარ ბიბლიოთეკაში წიგნის კლუბი, რომლის მიზანია ახალი წიგნების პრეზენტაცია, ავტორთა გაცნობა, ლიტერატურული დისკუსიების მოდერატორია ქალბატონი ნათია ოსეფაშვილი.

აქვე მინდა დავძინო, რომ მეტად მნიშვნელოვანი პროექტი გაკეთდა ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის ფარგლებში სასაუბრო ინგლისურის უნარების გაუმჯობესების მიზნით, რომლის მენეჯერია მუნიციპალიტეტის მერიის უფროსი სპეციალისტი საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციისა და არაფორმალური განათლების საკითხებში ნათია ოსეფაშვილი. ინგლისური ენის გაკვეთილების კურსი ტარდება უფასოდ, სამხრეთ აფრიკიდან ჩამობრძანებული მოხალისე მასწავლებლის ბარიტა ინგებორგ დიე პლესის მიერ.

**– წიგნის ახალ ნაკადს თუ ელოდებით და თუ აწყობთ ხოლმე ახალი წიგნის პრეზენტაციას?**

– რა თქმა უნდა, ყოველთვის ვატარებთ ახალი წიგნის პრეზენტაციას.

მთავარი ბიბლიოთეკა ყოველწლიურად იღებს ახალ ლიტერატურას, როელიც ფინანსდება საბიბლიოთეკო ასოციაციის და მუნიციპალიტეტის მიერ.

მიუხედავად პანდემიისა, 2020 წლის დეკემბერშიც იქნა მიღებული ახალი ლიტერატურა.

**– თუ ეპიდვითარება არ გამწვავდა, მომავალში რა ღონისძიებების დაგეგმვას აპირებთ?**

– იმედს ვიტოვებ, რომ სულ მალე გაივლის ვირუსი და ბიბლიოთეკები სხვა უწყების ბიბლიოთეკებთან კვლავ აქტიურ თანამშრომლობას გააგრძელებენ. მათი ერთობლივი ძალისხმევით სხვა აქტივობებთან ერთად 30 აპრილს ფართოდ აღინიშნა საქართველოს ბიბლიოთეკარის დღე – წიგნის ზეიმი „თქვენი ბიბლიოთეკა". 26 მაისს მთავარ ბიბლიოთეკაში და მის ფილიალებში მოეწყობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გახსნის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით მოეწყობა მკითხველთა ექსკურსია საგურამოში.

**– რაიმე პრობლემის წინაშე თუ დგას დღეს საბიბლიოთეკო გაერთიანება.**

– დღეისათვის ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამაკმაყოფილებელია. მუნიციპალიტეტის დახმარებით გათვალისწინებულია წიგნსაცავების რემონტი.

**– თქვენს მიერ გაწეულ ქველმოქმედებაზე რას გვეტყოდით?**

– ბიბლიოთეკა შეძლებისდაგვარად ახერხებს და აგრძელებს საქველმოქმედო საქმიანობას. ვთანამშრომლობთ გრემის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლთან. დახმარება გავუწიეთ ასევე გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში დამწვარ ბიბლიოთეკას, მათ საჩუქრად გადავეცით 400 ლარის ღირებულების 108 ცალი მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურა. თუკი საშუალება გვექნება, ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით გაჭირვებულთა ქველმოქმედებისთვის. ჩვენი ბიბლიოთეკა ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას და ელოდება წიგნის მოყვარულ მკითხველს.




**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

# მწვანე კახური – მაღალხარისხოვანი საღვინე ჯიში

მწვანე კახეთის სტანდარტული ვაზის ჯიშია, იძლევა ევროპული და კახური ტიპის მაღალხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს. სახელწოდება მიღებული აქვს მწიფემარცვლების მოყვითალო-მწვანე ფერის გამო.

მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა გადმოცემით მწვანე ძველად ბევრი სხვა (დამატებითი) სახელითაც ყოფილა ცნობილი.

სწავლული მევენახე ლ. ჯორჯაძე მას იხსენიებს მჭკნარასა და საფენას სახელწოდებით; აგრონომი ს. ქვარიანი ურთიერთისაგან ასხვავებს მამალ და დედალ მწვანეს; ცნობილი რუსი მკვლევარი ფრ. კოლენატი მწვანის სამ სახესხვაობას არჩევდა.

მწვანე ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იგი წარმოქმნილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოშობის ადგილობრივ კერიდან. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ჯიშის მორფოლოგიური და სამეურნეო თვისებები და შედარებითი ამპელოგრაფიის მონაცემები, რომელთა მიხედვით იგი ძლიერ ემსგავსება სხვა ადგილობრივ ვაზის ჯიშების პროლ პონტიცა, სუბ პროლ. გეორგიცა ეგრ.-ის ეკოლოგიურ–გეოგრაფიულ ჯგუფს .

უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს ჯიშის წარმოშობის დროის ანუ მისი ხნიერების განსაზღვრა. სამწუხაროდ, ამის დასადგენად საჭირო მატერიალური კულტურის ძეგლები შემონახული არაა. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა სხვა გზითაც არის შესაძლებელი, სახელდობრ ზოგიერთი მორფოლოგიური ნიშან–თვისებების ანალიზის საშუალებით.

საერთოდ, რაც უფრო ძველია ჯიში, მით უფრო ძლიერ და უფრო ხანგრძლივად (საუკუნეთა განმავლობაში) განიცდიდა ცვალებად გარემო პირობებისა და ადამიანის გავლენას, რის შედეგად იგი უფრო მეტად იცვლებოდა და წარმოქმნიდა განსხვავებულ ფორმებს. თუ ჯიშის ამ ბიოლოგიურ თვისებას დავეყრდნობით, მწვანე საკმაოდ დიდი ხნიერების მქონე ჯიშად უნდა ვიგულვოთ.

სადღეისოდ მწვანის ექვსზე მეტი ვარიაციაა და კლონია გამოვლენილი, რაც მის საკმაოდ დიდ ხნიერებაზე მიგვითითებს. ამის მიხედვით მწვანე რქაწითელზე უფრო ხნიერებაზე მიგვითითებს. ამის მიხედვით მწვანე რქაწითელზე უფრო ხნიერი ჯიში ჩანს. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ენობრივი მასალის ანალიზზე დაყრდნობით რქაწითელი ახალი ერის V და მომდევნო საუკუნეში წარმოშობილად მიიჩნია, მაშასადამე, მწვანე მასზე უფრო ადრინდელი ჯიში უნდა იყოს.

ძველად, სოკოვან ავადმყოფობათა შემოჭრამდე, კახეთში მწვანე მეტად ფართოდ იყო გავრცელებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, აგრონომ ს. ქვარიანის ცნობით – მწვანე ძლიერ გავრცელებულია მთელ კახეთში, ტფილისის მაზრაში კი ივრისპირა სოფლებში.

ამასვე აღნიშნავენ ვ. გეევსკი და გ. შარერი და დასძენენ, რომ ნაცრის მოქმედებით მწვანე თითქმის გადაშენების გზაზეა დამდგარი და, რადგან კახეთში არავითარ ზომებს ნაცრის წინააღმდეგ არ იღებენ, ბუნებრივია მწვანე თანდათან ისპობაო. მიუხედავად იმისა, რომ მწვანე კახურ თეთრ ჯიშებში ყველაზე უკეთესია და მოსავლიანი, მოსახლეობა მაინც გაურბოდა მის გაშენებას ამ ჯიშის ძირითადად ნაცრის მიმართ და აგრეთვე გარემო პირობებისადმი მგრძნობიარობის გამო.

მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით, ჯიში 1936 წლიდან შეტანილია კახეთის საწარმოო სტანდარტულ ასორტიმენტში და დაგეგმილია მისი აღდგენა-განვითარება დიდ ფართობებზე. ამჟამად მწვანე გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში.

მისი ძირითადი ფართობი კახეთშია, ხოლო ამ ჯიშის მთლიანი ფართობის 83% მოქცეულია მხოლოდ ორ (თელავისა და საგარეჯოს) რაიონში, დარჩენილი 17% კი დანარჩენ ხუთ რაიონში. მწვანის შედარებით მცირედ გავრცელება როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ ძირითადად იმით აიხსნება, რომ იგი დიდ მგრძნობიარობას იჩენს ნაცრის მიმართ, მისთივს ნიადაგისა და ჰავის შესაფერი პირობებიც აუცილებელია, ზოგჯერ კი ადგილი აქვს აგრეთვე მის შეუფასებლობას.

### ჯიშის გამძლეობა გარემოს სხვადასხვა ფაქტორების მიმართ

კახური სტანდარტული ჯიშებიდან მწვანე და ხიხვი ყველაზე ნაკლებად უძლებს ნაცარს. თელავიდან ახმეტის მიმართულებით მდებარე ზოლში მწვანე და ხიხვი შედარებით უფრო ნაკლებ ზიანდება ნაცრისაგან, განსაკუთრებით ძველ ნარევ ვენახებში. ვაზის ჭრაქს (მილდიუმს) მწვანე კარგად უძლებს. ჩვეულებრივ სამი ან ოთხი შეწამვლა ბორდოს ხსნარით სავსებით საკმარისია მოსავლის გადასარჩენად. შედარებით მაღალი გამძლეობით ხასიათდება მწვანე ფილოქსერის მიმართ, ამ მხრივ მას კახური ვაზის ჯიშებში პირველი ადგილი უჭირავს. კარგი მოვლა–დამუშავების პირობებში მწვანეს შეუძლია სხვაზე უფრო დიდხანს გაუძლოს ფილოქსერას. მწვანე ყურძნის ჭიასაც შედარებით კარგად უძლებს და ზამთრის ყინვებსაც შედარებით კარგად იტანს.

კახეთის სხვა სტანდარტულ ვაზის ჯიშებთან შედარებით, მწვანე უფრო მეტ მოთხოვნას უყენებს გარემო პირობებს და მასთან ერთად დროულ და ხარისხოვან მოვლა–დამუშავებას მოითხოვს. უხვ და ხარისხოვან მოსავალს იძლევა მისთვის შესაფერ ჰავის, ნიადაგისა და კარგი მოვლა–დამუშავების პირობებში.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მწვანე მასობრივად კახეთის მხოლოდ განსაზღვრულ (თელავის და საგარეჯოს და ნაწილობრივ ახმეტისა და გურჯაანის) რაიონებშია გავრცელებული, ლაგოდეხის და ყვარლის რაიონებში მწვანე თითქმის არ გვხვდება, ხოლო სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონში მას ძლიერ მცირე ფართობი უჭირავს. ეს აიხსნება იმით, რომ საგარეჯოს, თელავისა და ახმეტის რაიონები, სხვა რაიონებთან შედარებით მაღალი მდებარეობის გამო, უფრო რბილი და ზომიერი ჰავით ხასიათდება.

შესაფერ პირობებში მწვანე, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, გაცილებით ნაკლებად ზიანდება ნაცრისაგან, კარგ ზრდა–განვითარებას აღწევს და უფრო მეტ და მაღალხარისხოვან მოსავალს იძლევა. აღნიშნულის გამო საჭიროა მწვანისათვის კახეთის რაიონებში შეირჩეს მთის კალთები და მთისწინა ზოლის შემაღლებული ფერდობი ადგილები, სადაც იგი ნაკლებად დაზიანდება ნაცრისაგან და ღვინოც მაღალი ხარისხის მიიღება. საჭიროა ვენახების დროული და კარგი მოვლა–დამუშავება; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დროულ და წესიერ წამლობას.

ნაცრიან წლებში ერთი–ორი დამატებითი წამლობა გოგირდით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მწვანეს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ახასიათებს ზედმეტი ყვავილცვენა, რომლის წინააღმ დეგ საჭიროა ყვავილობის დაწყებამდე ან მის დასაწყისში მოზარდ ყლორტებზე წვერების წაწყვეტა და ნორჩი ნამხრევების გაცლა. ამ ოპერაციის ჩატარებით საგრძნობლად გადიდდება მარცვლების გამონასკვა და შესაბამისად ვენახის მოსავლიანობა.

### ტექნოლოგიური დახასიათება

მწვანე მაღალახარისხოვანი საღვინე ჯიშია. კახეთის თეთრ ჯიშებში მწვანე ყველაზე უფრო ნაზ და არომატულ სასუფრე ღვინოს იძლევა. მისგან მზადდება როგორც ევროპული, ისე კახური ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინო. ნაწილობრივ მწვანეს იყენებენ აგრეთვე როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის სასუფრე ყურძენს.

ძველად მწვანეს, მისი მაღალი ღირსების გამო, ფართოდ იყენებდნენ სხვა თეთრი ჯიშის ღვინოების გასაუმჯობესებლად – მათთვის არომატულობისა და სინაზის მისაცემად. ყურძნის მექანიკური შედგენილობა. მტევნის გარეგნული შეხედულებით, ყურძნის მექანიკური შედგენილობითა და წვენის ქიმიური შეცულობით მწვანე უდავოდ წმინდა საღვინე ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს. წარმოებაშიაც მას ძირითადად ამ მიმართულებით იყენებენ.

მტევნის შემადგენელი ნაწილების – კლერტის, წვენის, რბილობის, წიპწის და კანის (ჩენჩოს) შეფარდება ერთხელ კიდევ ადასტურებს ყურძნის საღვინედ გამოყენების სრულ მიზანშეწონილობას. მტევნის შემადგენელი ნაწილების შეფარდებიდან ირკვევა, რომ ლაბორატორიულ პირობებში მას წვენისა და რბილობის შედარებით მაღალი გამოსავლიანობა ახასიათებს.

ღვინის გამოსავალი წარმოების პირობებში ყურძნის გადამუშავების დროს უფრო ნაკლებია და ცალკეული წლებისა და რთველის ვადის მიხედვით შეადგენს 70–72 დეკალიტრ ღვინოს ტონა ყურძნიდან. საერთოდ მწვანე უფრო მეტი გამოსავლიანია, ვიდრე რქაწითელი, განსაკუთრებით, თუ იგი კახური წესით არის დაყენებული.

### ყურძნის წვენის ქიმიური შეცულობა

ყურძნის წვენის ქიმიურ შეცულობას ყურძნის მექანიკური შედგენილობის მაჩვენებლებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯიშის საწარმოო მიმართულების დასადგენად.

მას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეღვინეობის მიმართულების (ღვინის ტიპის) განსაზღვრისათვისაც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მწვანეს შაქრის დაგროვების დიდი უნარი აქვს და ყურძნის გადამწიფებისას იგი ადვილად ჩამიჩდება, რითაც საგრძნობლად დიდდება მარცვალში შაქრის რაოდენობა. თელავის რაიონში რთველის პერიოდში მწვანის შაქრიანობა 22% აღწევს. კახეთის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში მისი შაქრიანობა მატულობს – კარდანახში იგი 24% და მეტს აღწევს.

მწვანე თითქმის ყველა მევენახეობის რაიონში ინარჩუნებს შაქრის დიდი რაოდენობით დაგროვების უნარს. ყურძნის გამოყენება და პროდუქციის ხარისხი. მწვანიდან ძირითადად მზადდება ევროპული და კახური ტიპის სასუფრე ღვინო. მწვანეს ძველთაგანვე იყენებდნენ აგრეთვე სხვა თეთრი ყურძნის ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად – სხვა ჯიშის ყურძენს მწვანეს მიუმატებდნენ ან მის ჭაჭაზე სხვა ჯიშის ყურძნის წვენს დაადუღებდნენ. ორივე შემთხვევაში გასაუმჯობესებელ ჯიშს მწვანე მატებდა სინაზეს და არომატულობას. ნაწილობრივ მწვანის ყურძენს იყენებენ აგრეთვე როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის სასუფრე ყურძენს.

საშამპანურე მასალისათვის კახეთში დამზადებული მწვანე ოდნავ ჭარბსხეულიანი და ნაკლებხალისიანი გამოდგა. სადეგუსტაციო კომისიის მიერ იგი შეფასებული იყო 6,4 ნიშნით და მოწონებული როგორც საკუპაჟე მასალა.

მწვანე ძველთაგანვე შერჩეულია თეთრი სასუფრე ღვინისათვის და ამ მხრივ მას კახეთში სწორი არ მოეპოვება. ევროპული წესით (მარტო ყურძნის წვენისაგან) დამზადებული მწვანის ღვინო მომწვანო ღია ჩალისფერია, აქვს ხალისიანი, ნაზი, ჰარმონიული გემო. დაძველებისას იგი ივითარებს ჯიშისათვის დამახასიათებელ ბუკეტს, რომელშიაც მკაფიოდ გამოსჭვივის ხილის არომატი. კახური წესით (ყურძნის ყველა შემადგენელი ნაწილის მონაწილეობით) დამზადებული ღვინო მუქი ჩაისფერია; იგი უფრო სრული, მდიდარი ღვინოა, არომატი უფრო ძლიერი და სასიამოვნო აქვს.



წარსულში, XIX საუკუნის მიწურულში, ვ. გეევსკისა და გ. შარერის ცნობით კახეთში საუკეთესო ღირსების ღვინო წმინდა მწვანისაგან დგებოდა – ახმეტაში ნ. ჩოლოყაშვილის, ხოლო ხორხელში თ. ანდრონიკაშვილის ზვრებიდან. მათი ღვინო ადგილზე იყიდებოდა ვედრო ექვს მანეთ–ნახევრად მაშინ, როცა ღვინის საშუალო ფასი კახეთში ორ–ოთხ მანეთს არ აღემატებოდა.

კახეთში არა მარტო ახმეტასა და ხორხელში, არამედ მთელ ზოლზე თელავიდან ახმეტამდე მწვანე როგორც წმინდა, ისე რქაწითელთან და ჯანანურასთან (ხიხვი) შერეულიც მაღალხარისხოვან ღვინოს იძლევა. ამ ზოლზე, დასახელებულ სოფლებს გარდა, ღვინის მაღალი ღირსებით ცნობილია აგრეთვე სოფლები – იყალთო, რუისპირი, ზემო–ხოდაშენი, ქისტაური და სხვ. ალაზნის გაღმა მაღალი ღირსების ღვინო ნაფარეულში, სანიორეში და ართანაში დგება.

მეორე მხარე, სადაც მწვანე მაღალი ღირსების სუფრის ევროპული და კახური ტიპის ღვინოებს იძლევა, არის ზოლი თელავიდან მუკუზნამდე – კურდღელაურის, კონდოლის, წინანდლის, ვაზისუბნის და მუკუზნის უბნები. ამ რაიონიდან მზადდება ცნობილი სამარკო ღვინო „წინანდალი“. დასასრულ, მესამე რაიონი, სადაც მწვანემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, არის საგარეჯოს რაიონი, ძირითადად მანავის მიკრორაიონი. აქ ძველად მეფეებსაც კი ჰქონდათ ზვრები, სადაც მეტად მაღალი ღირსების ღვინოები მზადდებოდა ჯიშ მწვანესაგან. ამჟამადაც მანავის მიკრორაიონი იძლევა საუკეთესო ღირსების მწვანის ღვინოს.

დიდ როლს ასრულებს მწვანე აგრეთვე სხვა თეთრი ჯიშების, ძირითადად რქაწითელის, ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაში. როგორც ძველად, ისე ახლაც, ძველ, უმყნობ ვენახებში რქაწითელთან ერთად გვხვდება ნარევის სახით – მწვანე, ჯანანურა (ხიხვი), ქისი, ჩიტისთვალა და სხვა ჯიშები. ცალკეულ რაიონში სხვადასხვა ჯიშები სხვადასხვა რაოდენობითაა.

ძველად მწვანის ჭაჭასაც კი იყენებდნენ (ჯორჯაძე, გეევსკი და შარერი, ) სხვა ჯიშის ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც სინაზეს და არომატულობას მატებდა.

მონაცემები ნათელყოფენ მწვანის ღვინის ქიმიური ბუნების სიმდიდრეს როგორც ალკოჰოლიანობით, ისე ექსტრაქტითა და მჟავიანობით; ამ მხრივ მწვანის ღვინოები კარგადაა შეზავებული. დასასრულ, უნდა აღინიშნოს მწვანის ღვინის მაღალი ორგანოლეპტიკური თვისებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწვანის ღვინოები შენახვის დიდი ხანგრძლიობით ხასიათდება. დავარგება–დაძველების პროცესში მწვანე კარგავს სპეციფიკურ ჯიშურ არომატს და მის ნაცვლად ივითარებს იშვიათ ნაზსა და სიძველის ძლიერი ბუკეტს, რომელშიაც მკაფიოდ გამოკრთის ხილის სასიამოვნო არომატი.

მწვანე მდიდარი ვარიაციებითა და კლონებით, რაც ჯიშის დიდი ხნიერებით აიხსნება. ძველთაგანვე ცნობილი იყო მწვანის სამი ვარიაცია: ყვითელი ანუ უფიფქო მწვანე, ნაცარა მწვანე და მჭკნარა მწვანე. ამ ვარიაციებიდან გამოვლენილია ყვითელი მწვანე, რომელიც ახლაც გვხვდება ძველ ვენახებში, ხოლო ნაცარა და მჭკნარა ჯერჯერობით გამოვლენილი არაა. მწვანე მომეტებულ შემთხვევებში ინაცრება და ჭკნება კიდეც გადამწიფებისას, ასე რომ ამ ნიშნებით მკვეთრად განსხვავებული ფორმები ჯერ არ არის შემჩნეული.

### საერთო შეფასება და დარაიონება

მწვანე მაღალხარისხოვანი, სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშია, გავრცელებულია ძირითადად კახეთში, იძლევა მაღალი ღირსების სასუფრე ევროპული და კახური ტიპის თეთრ ღვინოს.

ევროპულად დაყენებული ღვინო მომწვანო ჩალისფერია, გემო ნაზი, ხალისიანი და ჰარმონიული აქვს. ბუკეტი წმინდა ჯიშური, ხილის ძლიერი არომატით.

კახური წესით დაყენებული იგი მუქი ჩაისფერი, სრული, სხეულიანი და ენერგიულია. გემო ჰარმონიული სასიამოვნო აქვს. არომატი ნაზი ჯიშური, რომელშიც სიძველეში წარმოიქმნება ნაზი ბუკეტი ხილის მკაფიო არომატით. ღვინის ძლიერი არომატულობისა და სინაზის გამო მეღვინეთა წრეში მას ქართული რისლინგი შეარქვეს.

მაღალი ღირსების ღვინოს მწვანე იძლევა თელავის, საგარეჯოს, ახმეტის, გურჯაანის და (ნაწილობრივ) სიღნაღის რაიონებში, ძირითადად მთებისწინა ზოლის შემაღლებულ და ფერდობ ადგილებზე, უმთავრესად ნეშომპალა–კარბონატულ, ალუვიურ–კარბონატულ და ალუვიურ–არაკარბონატულ ნიადაგებზე. განსაკუთრებით გამოირჩევა და ფართოდ ცნობილია ახმეტის, მანავის, იყალთოს, რუისპირის, ნაფარეულის, სანიორის, წინანდლის, ვაზისუბნის და სხვა ადგილების მწვანე. ზოგიერთ წელს ამ ადგილებიდან ევროპული წესით დაყენებული მწვანე არ ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ რეინის და ბორდოს თეთრ ღვინოებს.

**მწვანის დადებითი თვისებებია:**

შედარებით მაღალი მოსავლიანობა მისი გავრცელების თითქმის ყველა რაიონში, ღვინის მაღალი ხარისხი, ვარგისობა სხვადასხვა ტიპის ღვინის დასამზადებლად, შედარებით მაღალი გამძლეობა ფილოქსერისა და კარგი გამძლეობა ზამთრის ყინვებისა და ჭრაქის მიმართ. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე მწვანის დიდი ღირსება სხვა თეთრი ჯიშების ღვინის ხარისხის ამაღლება–გაუმჯობესების საქმეში.

ისტორიულად ცნობილ ღვინოების – ახმეტურას, ბითაანის, გორგორების, ალექსაურების, გრძელმინდორების და სხვათა მაღალი ხარისხი შედეგია მწვანის მონაწილეობისა, რომლის ვაზები ამ ადგილების რქაწითელის ვენახებში 25% და ზოგჯერ მეტს შეადგენდა.

**მწვანის უარყოფითი თვისებებია:**

მისი შედარებით სუსტი გამძლეობა ნაცრის მიმართ, ზოგ ადგილას ნორმალურზე მეტი ყვავილცვენა, რის გამო მტევნები ძალზე მეჩხერი გამოდის, და გარემო პირობებისადმი ზედმეტი მგრძნობიარობა, მწვანის ეს უარყოფითი თვისებები ადვილი დასაძლევია – პირველი, ნაცრიან წლებში ერთი ან ორი დამატებითი წამლობის ჩატარებით; მეორე შემთხვევაში – ყვავილობის დაწყებამდე ან მის დასაწყისში ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვერების წამტვრევით და მესამე – ჯიშისათვის შესაფერი რაიონისა და ადგილმდებარეობის მოფიქრებული შერჩევით. მწვანე შედის ძვირფასი ქართული ვაზის ჯიშების სტანდარტულ ასორტიმენტში.

მწვანის შემდგომი გავრცელება სასურველია კახეთის ყველა რაიონში და ქართლის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში. ამ რაიონებში მწვანისათვის უნდა შეირჩეს ფერდობი და შემაღლებული ადგილები არამშრალი ნიადაგებით.

**ნიკო კეცხოველი,**
**მაქსიმე რამიშვილი,**
**დიმიტრი ტაბიძე**

**საქართველოს ამპელოგრაფია. 1960 წელი. რედაქცია „აგროკავკასია“**







# ტერორისტული თავდასხმები სახელმწიფოს მეთაურებზე: პირადი დაცვის შეცდომა თუ ბედისწერა?

ვინ და როგორ იცავს სახელმწიფოს მეთაურებს? ზოგიერთს შეიძლება ეგონოს, რომ პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების სიცოცხლე მხოლოდ იმ კუნთმაგარ, „გაზის ბალონივით“ პირადი დაცვის ბიჭებზეა დამოკიდებული, რომლებიც, როგორც ამბობენ, დიდი ინტელექტით შეიძლება არ ბრწყინავენ, თუმცა ასეულობით ადამიანში შავი სათვალით, ყურში გარჭობილი მინიატურული სასმენი აპარატითა და „კაცისმკვლელი“ სახეებით გამოირჩევიან. ეს ხუმრობით. ისე კი, ეს ბიჭები უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ, რადგანაც მათი სიცოცხლე მუდმივ საფრთხეშია და მათ თავგანწირვაზეა დამოკიდებული „დასაცავი ობიექტის“ (ასე ჰქვია დასაცავ პიროვნებას, პრეზიდენტი იქნება თუ ოლიგარქი) უსაფრთხოება.

პრეზიდენტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა არც მხოლოდ იმ პიროვნებაზეა დამოკიდებული, რომელიც მას შეყვარებულივით სულ თან დასდევს – ის პირადი დაცვის უფროსია და ობიექტის დაცვის რთული გეგმის ადგილზე შესრულების კოორდინირება ევალება.

ამ გეგმას კი ის ხალხი ადგენს, რომელიც არასდროს ჩანს და სახითაც მათ მხოლოდ მეგობრები და მოწინააღმდეგე სპეცსამსახურების თანამშრომლები ცნობენ. ეს „უჩინარი“ ხალხი კარგა ხნით ადრე გეგმავს „ობიექტი №1“-ის მეზობელ ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტს თუ რეზიდენციის გვერდით, ქუჩაზე ხალხთან შეხვედრას. ოპერატიულმა თანამშრომლებმა ზეპირად უნდა იცოდნენ სახელმწიფოს მეთაურის კორტეჟის მოძრაობის მთელ მანძილზე რამდენი „ბომჟი“ თუ საეჭვო პირი ცხოვრობს, რამდენი გადამკვეთი ქუჩა და საკანალიზაციო ჭაა „ტრასაზე“. საბჭოთა „ბელადების“ კორტეჟის გავლის დროს საკუთარ აივანზე გამოსვლაც კი სასტიკად იკრძალებოდა.

თუ პირად დაცვას დასაცავი ობიექტისთვის სიცოცხლის გაწირვა დასჭირდა, ეს ნიშნავს, რომ ცუდად იმუშავეს სახელმწიფო თუ კერძო დაცვის სამსახურის სხვა სტრუქტურულმა დანაყოფებმა – ოპერატიულმა, ანალიტიკურმა, სპეციალური კავშირის, ელექტროსიგნალების ჩახშობის და ა.შ. ამიტომ დაცვის სამსახურის (სახელმწიფო იქნება თუ კერძო სტრუქტურა) ეფექტიანობა კომპეტენტური, თავდადებული და ერთგული ხალხის ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგია.

ქვეყნის პირველი პირების სიცოცხლე ყოველთვის და ყველგან მუდმივ საფრთხეშია. პრეზიდენტზე თუ პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა შეიძლება მოაწყონ პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა და რელიგიურმა ფანატიკოსებმა, ადგილობრივმა ნაციონალ-ორთოდოქსებმა თუ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმა, კრიმინალურმა სამყარომ და ა.შ. სამწუხაროდ, მსოფლიოს უახლეს ისტორიას ზემოჩამოთვლილი ყველა სახის თავდასხმა ახსოვს. უმრავლესობა ლეტალური შედეგით დასრულდა, რა იყო ამის მიზეზი, დაცვის სამსახურის შეცდომა თუ ბედისწერა? ალბათ, ხშირად გაგიგონიათ: თუ კარგად დაგეგმეს, ყველას ლიკვიდაციაა შესაძლებელიო. საინტერესოა, მართლაც ასეა?



1918 წლის 30 აგვისტოს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მეთაურ ვლადიმერ ლენინზე „ესერებმა“ მოაწყეს თავდასხმა. ფანი კაპლანმა „ბრაუნინგიდან“ რამდენჯერმე ესროლა ლენინს. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ რომელიღაც ქარხანაში, მიტინგზე მიბაკუნე „ბელადს“ არავინ იცავდა. თითქოსდა ბოლშევიკებმა ეს შეცდომა გაითვალისწინეს, თუმცა უფრო გასაოცარი ფაქტი მოხდა 1919 წლის იანვრის დასაწყისში. ლენინი და მისი და – მარია, კრუპსკაიას მოსანახულებლად მიდიოდნენ, რომელიც საავადმყოფოში იწვა. ავტომობილში მძღოლის გარდა ლენინის პირადი მცველი, ვინმე ჩაბანოვიც იჯდა და ხელში „ბელადის“ მეუღლისთვის განკუთვნილი რძის ბოთლი ეჭირა. მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაზე ლენინის ავტოს წინ რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი გადაუდგა და გააჩერა. ლენინმა სასწრაფოდ პირადობის მოწმობა „დააძრო“, თუმცა თავდამსხმელებმა „ქსივა“ ირონიულად მოისროლეს თოვლში და მგზავრების ძარცვას შეუდგნენ. პირადი მცველი კი ბოთლჩაბღუჯული გაუნძრევლად იჯდა. ბანდიტებმა ფულთან და მგზავრების ნივთებთან ერთად, ლენინის პირადი „ბრაუნინგიც“ წაიღეს და მიიმალნენ. „რევოლუციის ბელადი“ საოცრად გახარებული იყო და თავისთვის ბუტბუტებდა: „ხომ შეიძლება მოვეკალით, ხომ შეიძლება მოვეკალით...“.

თუმცა ამგვარი კურიოზები სხვა, გაცილებით განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხდებოდა. ასე მაგალითად, როცა აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი, აბრაამ ლინკოლნი 1865 წლის 14 აპრილს თეატრში რევოლვერიდან გასროლით მოკლეს, მის გვერდით მხოლოდ ერთი სამხედრო პიროვნება – მაიორი რატბონი იმყოფებოდა, რომელსაც პირადი მცველის მოვალეობების არაფერი გაეგებოდა. საინტერესოა, რომ თავდასხმის დღეს პრეზიდენტი ლინკოლნი თავად ესტუმრა სამხედრო სამინისტროს და დაცვის გაძლიერება მოითხოვა, თუმცა... უარი უთხრეს. იმ პერიოდში აშშ-ში არ არსებობდა ცალკე სახელმწიფო დაცვის სტრუქტურა. ლინკოლნის მკვლელობის შემდეგ, მალევე, 1865 წლის 5 ივლისს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში (?!) ამ მიზნით შეიქმნა „საიდუმლო სამსახური“. მიუხედავად ამისა, აშშ-ის პრეზიდენტებზე თავდასხმები კვლავ გაგრძელდა. 1881 წლის 2 ივნისს ვაშინგტონის რკინიგზის სადგურზე სასიკვდილოდ დაჭრეს პრეზიდენტი გარფილდი, რომელიც მალევე გარდაიცვალა. 1901 წლის 6 სექტემბერს პირადი მცველებით გარშემორტყმულ პრეზიდენტ მაქკინლის პოლონელი ანარქისტი ლეონ ჟოლგოში მიუახლოვდა და რამდენჯერმე ესროლა. პრეზიდენტის დაცვამ ვერ შესძლო მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიცოცხლის გადარჩენა.

1963 წლის 22 ნოემბერს დალასში, ალბათ, ერთ-ერთი, ყველაზე იდუმალებით მოსილი მკვლელობა მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის კონსტიტუცია ყველა პრეზიდენტისგან მკაცრად მოითხოვს დაცვის სამსახურის ინსტრუქციების აუცილებელ შესრულებას, იმ დღეს აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი არ დაემორჩილა მათ და ღია ლიმუზინიდან მოინდომა დალასელების მისალმება. პრეზიდენტის მარშრუტი ქალაქის ქუჩებში გადიოდა და კორტეჟს 20 000-ზე მეტი ფანჯრის წინ უნდა გაევლო. პოტენციური საფრთხე სახეზე იყო. პრეზიდენტის დაცვამ ლიმუზინის ტენტით გადაფარვა ითხოვა, მაგრამ კენედიმ ამაზეც უარი განაცხადა. ალბათ, ბედისწერაა, თორემ აშშ-ის ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი მაშინ გადარჩებოდა. თუმცა დაცვის სამსახურსაც მეტი სიმტკიცე უნდა გამოეჩინა.

გაძლიერებულმა დაცვამ ვერ უშველა ეგვიპტის პრეზიდენტს – ანვარ სადათსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრს – იცჰაკ რაბინს.

1981 წლის 6 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ეგვიპტის პრეზიდენტი სამხედრო აღლუმს იბარებდა. სამხედროების საზეიმო სვლა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც სამთავრობო ტრიბუნის წინ მოულოდნელად სამხედრო სატვირთო ავტომობილი შეჩერდა, საიდანაც რამდენიმე შეიარაღებული სამხედროფორმიანი გადმოხტა და ტრიბუნისკენ გაიქცა. ერთ-ერთმა მათგანმა „კალაშნიკოვის“ ავტომატიდან ტრიბუნას ცეცხლი გაუხსნა, სხვებმა კი ხელყუმბარები ისროლეს. სადათი, რომელსაც ჯავშანჟილეტი არ ეცვა, სასიკვდილოდ დაიჭრა და რამდენიმე საათში გარდაიცვალა. პრეზიდენტის დაცვა იმდენად იყო დაბნეული, რომ ვერ შეძლო დასაცავი ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

არანაკლები დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინეს საქვეყნოდ ცნობილმა ისრაელის სპეცსამსახურებმა, კერძოდ კი – „შაბაქმა“ (კონტრდაზვერვა) 1995 წლის 4 ნოემბერს. იმ დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცჰაკ რაბინი თელ-ავივში გამართული მიტინგის დამთავრების შემდეგ ავტომობილისკენ წავიდა, დაცვამ კარი გაუღო, რაბინის ირგვლივ 7-8 მცველი იდგა და მაინც ფანატიკოსმა ორთოდოქსმა ებრაელმა იგალ ამირმა მოახერხა და პრემიერ-მინისტრს ზურგში ორჯერ ესროლა.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი 1984 წლის 31 ოქტომბერს საკუთარი დაცვის წევრებმა: ბეანთ სინგჰმა (რომელიც ათი წელი მსახურობდა პრემიერ-მინისტრის დაცვაში) და სავნათ სინგჰმა მოკლეს. ინდოეთის ახალი პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი გახდა, რომელმაც უსაფრთხოების მიზნით პირადი დაცვის ყველა წევრი შეცვალა და ერთგული ხალხი სადესანტო-მოიერიშე საჯარისო ნაწილებიდან შეარჩია. თუმცა ვერც ამან უშველა – დედის მსგავსად რაჯივ განდიც ტერორისტის მსხვერპლი გახდა. ის 1991 წლის 21 მაისს მოკლეს „თამილელი ვეფხვების“ ტერორისტული ორგანიზაციის „ბოევიკებმა“: ერთ-ერთი საჯარო შეხვედრის დროს რაჯივ განდის ყვავილებით ხელდამშვენებული ახალგაზრდა სიმპათიური ქალი მიუახლოვდა. პრემიერ-მინისტრის პირადმა დაცვამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ქალს დასაცავ ობიექტთან ახლოს მისვლის საშუალება მისცა. ამ ქალს კი თურმე „შაჰიდის ქამარი“ ეკეთა. ახალგაზრდა „კამიკაძემ“ თავიც აიფეთქა და რაჯივ განდიც იმსხვერპლა. გარდაცვლილთა საერთო რიცხვმა 14-ს მიაღწია.

პაკისტანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, შემდგომ კი ოპოზიციის ლიდერი ბენაზირ ბჰუტოც ტერორისტების მსხვერპლი გახდა. მასზე თავდასხმა განხორციელდა 2007 წლის 27 დეკემბერს. ტერორისტმა ჯერ რამდენჯერმე ესროლა და მძიმედ დაჭრა ბჰუტო, ხოლო შემდეგ კი – თავი აიფეთქა. გარდაიცვალა 20 ადამიანი – დაცვისა და პოლიციის თანამშრომლები. მიუხედავად თავდასხმის მუდმივი მოლოდინისა, პოლიტიკოსის პირადი დაცვა ამ შეთხვევაშიც უძლური აღმოჩნდა. (პირველი ნაწილის დასასრული)

https://www.kvirispalitra.ge/
besik-aladashvilis-blogi

# ეს თევზი საუკეთესოა გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, წნევის რეგულაციისთვის, კარგი მხედველობისთვის

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, ადამიანმა თევზი კვირაში ორჯერ უნდა მიიღოს. ეს ეხება როგორც ბავშვს, ისე ზრდასრულს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ზღვიანი ქვეყანაა, ჩვენთან თევზი სათანადოდ პოპულარული საკვები არ არის.

ფართო საზოგადოებაში თევზის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი სახეობაა მიღებული და მასაც არც თუ ისე ხშირად მიირთმევენ.

ამავდროულად, დაბალია ცნობადობა თინუსის შესახებ, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ჯანსაღ თევზადაა მიჩნეული, რადგან ცილებისა და ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავების ყველაზე დიდი შემცველობით გამოირჩევა.ამ დადებით მახასიათებლებს ემატება ისიც, რომ თინუსის თევზში ყველაზე მცირე რაოდენობის ნაჯერი ცხიმებია, რაც სიჯანსაღეს განსაზღვრავს და დაბალკალორიულობის გარანტიას ქმნის.

ცხოველური ცილის მიღების საუკეთესო წყაროდ თავისუფლად შეგვიძლია თინუსი მივიჩნიოთ, რადგან მისი 25% სწორედ ცხოველური ცილაა.

რისთვის არის სასარგებლო თინუსი? ამ კითხვაზე მოკლე პასუხია – ყველაფრისთვის. უფრო ვრცლად კი: გულისისხლ-ძარღვთა სისტემისთვის, წნევის რეგულაციისთვის, კარგი მხედველობისთვის, ადეკვატური და სრულფასოვანი ზრდა-განვითარებისთვის, წონის კლებისთვის, ძლიერი იმუნიტეტისთვის,

საჭირო ენერგიის გამომუშავებისთვის, კიბოს პრევენციისთვის, დეპრესიასთან ბრძოლისთვის...

ახლა კი უფრო დეტალურად გაგაცნობთ თინუსის სასარგებლო თვისებების შესახებ:

### გულ-სისხლ-ძარღვთა მოწესრიგებული სისტემა

მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია, რომ მინიმუმ ორი პორცია თევზის მირთმევა კვირის განმავლობაში 36%-ით ამცირებს გულის დაავადებათა რისკს. თევზში შემავალი ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავის თვისებაა, დაარეგულიროს სისხლის მოძრაობის სიჩქარე და შეამციროს არტერიული წნევა.

ამერიკელ კარდიოლოგთა ასოციაციის მიერ განხორციელებული კვლევები ამტკიცებენ, რომ ომეგა-3 ს შეუძლია მოაწესრიგოს გულის დარღვეული რიტმულობა ანუ უმკურნალოს არითმიას.

### კარგი მხედველობა

ზოგადად, თევზი კარგი მხედველობისთვის საჭირო ერთ-ერთი აუცილებელი პროდუქტია. კონკრეტულად თინუსის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები კი თვალის პრობლემების პრევენციის საუკეთესო გზაა. ის ასაკის მატებასთან ერთად მხედველობის დაქვეითებისგან თავის დაცვაში დაგეხმარებათ.

### ადეკვატური ზრდა-განვითარება

თინუსი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით პროტეინს შეიცავს. პროტეინები კი სხეულის საშენი მასალაა, რომელიც უზრუნველყოფს ადეკვატურ ზრდას, ჭრილობების სწრაფად მოშუშებას, მალე გამოჯანმრთელებას, მეტაბოლურ წესრიგს, ჯანმრთელ კუნთოვან სხეულს.

### წონის კლება

მიუხედავად იმისა, რომ თინუსი ცხიმოვანი პროდუქტების კატეგორიას განეკუთვნება, ის საკმაოდ დაბალკალორიული საკვებია და დიდი რაოდენობით სასარგებლო პროტეინს შეიცავს. ომეგა 3 ასტიმულირებს ჰორმონ ლეპტინს, რომელიც მადას აბალანსებს. სწორედ ამიტომ თინუსი წონის რეგულირებაში დაგეხმარებათ.

### ძლიერი იმუნიტეტი

თინუსი შეიცავს ვიტამინ C-ს, თუთიასა და მაგნიუმს, რომლებიც ძლიერი ანტიოქსიდანტები არიან. ანტიოქსიდანტები კი ორგანიზმის დამცავ მექანიზმს წარმოადგენენ მავნე თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ. გარდა ამისა, მას ანთებასთან ბრძოლის უნარიც აქვს და ორგანიზმს ისეთი ანთებითი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება, როგორიცაა ართრიტი. ეს ყველაფერი საბოლოოდ ძლიერ იმუნიტეტსა და ორგანიზმს განაპირობებს.

### ძლიერი ანტიდეპრესანტი

კვლევების თანახმად, დეპრესიის რისკი მაღალია ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ერითროციტებში შემავალი ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავების რაოდენობა საშუალოზე დაბალი აქვს. დეპრესიული ადამიანების რაოდენობა ძალიან მცირეა ქვეყნებში, სადაც თევზს ინტენსიურად მოიხმარენ, რადგან ის დიდი რაოდენობით ომეგა 3-ს შეიცავს. თევზის მინერალური შემადგენლობა ხელს უწყობს ადამიანის აქტიურ გონებრივ და ფიზიკურ მუშაობას და ამავდროულად კარგ გუნებაგანწყობილებას განაპირობებს.

თინუსის სასარგებლო თვისებების მაქსიმუმის მისაღებად საჭიროა, რომ სანდო მწარმოებელი და ხარისხიანი პროდუქტი შეარჩიოთ.



საქართველოში თინუსის წარმოება არ ხდება, თუმცა ბაზარზე რამდენიმე ბრენდის მიერ წარმოებული თინუსია ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში თინუსის მსოფლიოში ნომერ პირველი მწარმოებლის „დარდანელის“ პროდუქციაც იყიდება.

ბრენდის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მისი მოპოვება ატლანტის ოკეანის ღრმა წყლებში ხდება. შედარებით მაღალ წყლებში დაჭერილი თინუსისგან განსხვავებით, ის სწორედ იმ რაოდენობის ვერცხლისწყალსა და რკინებს შეიცავს, რამდენიც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

„დარდანელი“ უმაღლესი ხარისხის თურქული ბრენდია, რომელმაც თინუსის დამზადების ტრადიცია ესპანეთიდან შემოიტანა და გემოს თურქული მრავალფეროვნება შემატა.

თინუსის გამოყენებით შეგიძლიათ გააკეთოთ მრავალფეროვანი სალათები და სენდვიჩები, ასევე ძალიან უხდება პასტას.

https://mkurnali.ge/

# გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

## ხათუნა ბუიშვილის ხსოვნისადმი



ჩვენო ხათუნა, ძნელია შენზე ვილაპარაკოთ წარსულში. შეუძლებელია, რომ სიტყვამ გამოხატოს ჩვენი გულის სათქმელი. გაოგნებულები ვართ, თავზარდაცემულები. შენ, უცხოეთში მყოფი ყოველთვის ჩვენზე ფიქრობდი, ჩვენ კი ვერ შევძელით გაჭირვების ჟამს შენს გვერდით ყოფნა, ვერ დაგიყუჩეთ ტკივილები. ჩვენთან ერთად მთელი ყვარელი გლოვობს. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ სიცოცხლეში ყველასთვის სიკეთე გსურდა, არცერთი განსაცდელის ჟამს ბოროტება არ დაუფლებია შენს სულს.

ხათუნა ბუიშვილი დაიბადა ქალაქ ყვარელში, 1965 წელს ლამარა და ჯუმბერ ბუიშვილების ოჯახში. მშობლების ნებიერა გოგონა არასდროს სარგებლობდა თავისი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობით და არასოდეს ამეტებდა თავს ხსვებს. ბავშვობიდანვე უყვარდა გაჭირვებულების დახმარება.

1981 წელს წარმატებით დაამთავრა ყვარლის მესამე საშუალო სკოლა. იგი განსაკუთრებით უყვარდა მასწავლებლებსა და მეგობრებს. შემდეგ ისევ სწავლა, უმაღლესი განათლების მიღება და ექიმ-ბიოლოგის დიპლომით მშობლიურ ქალაქში დაბრუნება, ოჯახის შექმნა, ოცნებები, ვაჟკაცის დაბადება და დედობის გრძნობის ამაღლებული განცდა, მაგრამ ბედი ყველას ხომ არ უმართლებს? „უფალმა იცის კი ვინ რისი ღირსია?" ასე მოხდა ამჯერადაც. ოცნება ოცნებად დარჩა და მარტოხელა დედის ტვირთი მძიმედ დააწვა ნებიერად გაზრდილ გოგონას მხრებს. გაუჭირდა ოჯახის რჩენა და სხვათა მსგავსად უცხოეთში გადაიხვეწა. ვინ იცის იტალიაში მყოფს სულიერად როგორ გაგიჭირდა ჩვენო ხათუნა, მაგრამ უთქმელად იტანდი ყველაფერს, სიყვარული გაძლევდა ძალას, მაგრამ შენმა სხეულმა და სულმა ვერ გაუძლო უხილავი მტრის – კორონას შემოტევას. მართალია ყველა სიკვდილის შვილი ვართ, მაგრამ არა ასეთი სიკვდილის და არა ასეთ ასაკში.

ჩვენო ხათუნა, გაგვიჭირდება უშენოდ ცხოვრება, ამბობენ: ვინც მოკვდა, თავს მოუკვდაო, – არ არის მართალი. შენს ერთადერთ დას და ერთადერთ შვილს მოუკვდი. ბევრს დასწყვიტე გული. ხომ იცი, როგორ უყვარდი მეგობრებს, ყველას – ვინც შენ გიცნობდა.

ბოლო პერიოდში რატომღაც ამბობდი ერთი პოეტის სიტყვებს

„მე ისე მალე წავალ აქედან,
ვერ გაიგებენ მწვანე ხეები,
თეთრი ღრუბლები ქარებს გაფანტავს
და ბურუსებში გაგახსენდებით".

იქნებ გული გიგრძნობდა მოახლოებულ უბედურებას. გვირჩიე, როგორ ვიცხოვროთ უშენოდ. მერე რა იქნება? შენ დედა და მამა ჩაგიკრავს გულში, ჩვენ კი ხშირად აგინთებთ სანთელს და დაგიწანდილებთ ხორბალს მართალი სულის გადასარჩენად.

გავა წლები, ჩვენც შენთან წამოვალთ ხათუნა და ერთად ავკაშკაშდებით ცაში ვარსკვლავებად.

**მეგობრები ხათუნა ჭერაშვილი,**
**მაია მზექალაშვილი**

# კაკო ფილიშვილის გახსენება



ტკივილითა და ცრემლით გიხსენებთ ჩემო კაკო, 25 აპრილს შენი დაბადების დღეა.ძნელი და მძიმეა ეს წლები შენს გარეშე. დრო გადის მაგრამ ტკივილს და მონატრებას ვერაფერი ცვლის.

31 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, 31 წელი ძალიან მძიმეა შენს გარეშე, მაგრამ შენმა სითბომ და სიყვარულმა შეგვაძლებინა ცხოვრების გაგრძელება. ჩვენთვის დაუვიწყარი იქნები ყოველთვის.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

**შენი ოჯახი**

# ხშირი შარდვის მიზეზები და საკვები, რომელიც კვების რაციონიდან უნდა ამოიღოთ

ხშირი შარდვა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა, რომელიც მრავალი დაავადების ნიშანია, მათ შორის დიაბეტის, მენოპაუზის და სხვ. 24 საათის განმავლობაში 6-8-ჯერ მოშარდვა არის ნორმალური.

ამაზე მეტჯერ, ასევე ღამითაც ერთზე მეტჯერ თუ დგებით, ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ რაიმე სახის პრობლემასთან გაქვთ საქმე.

ქალებში ხშირი შარდვის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:

• საშარდე გზების ინფექცია

სტატისტიკურად, ქალების უმეტესობას, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ერთხელ მაინც, აქვს საშარდე გზების რომელიმე ინფექცია.

ასეთ დროს ბაქტერიები საშარდე ბუშტს, შარდსადინარსა და თირკმელებსაც აზიანებს.

საშარდე გზების ინფექციის ნიშანი წვის შეგრძნებაა, ასევე შარდვის შემდგომ ზეწოლის, ან დისკომფორტის შეგრძნება ზურგზე, ან მენჯის არეში.

საშარდე გზების ინფექციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმპტომი ტემპერატურაა.

• ვაგინიტი

სასქესო ორგანოების ინფექციის ნიშანი, როგორც საშოს, ან ვულვის ტკივილი და ანთებაა, ასევე მისი ერთ-ერთი სიმპტომი შეიძლება იყოს ხშირი შარდვაც.

• ცისტიტი (ინტერსტიციური ცისტიტი)

ინტერსტიციური ცისტიტი – ეს არის მტკივნეული შარდის ბუშტის სინდრომი. მას ახასიათებს ხშირი შარდვა, ასევე ტკივილი მუცლისა და მენჯის არეში.

• კენჭები

შარდის ბუშტშიც შეიძლება დაგროვდეს კენჭები.

• ჰორმონული ცვლილება

ესტროგენების, ქალის ჰორმონების, დონის შემცირება ხშირი შარდვის მიზეზია.

მენოპაუზის დროს, როდესაც ესტროგენების ნაკლებობაა, ქალბატონებს ხშირი შარდვა აღენიშნებათ.

შარდვა, შესაძლოა, თავად მენოპაუზის მაუწყებელიც იყოს. გამოსავალი ჰორმონოთერაპიაა.

• დიაბეტი

თუ ხშირად შარდავთ და შარდის მოცულობაც დიდია, ეს ტიპი 2 დიაბეტის მაუწყებელია.

ორგანიზმი არსებულ ჭარბ შაქარს შარდის მეშვეობით იცილებს ორგანიზმი.

თუმცა, სანამ რაიმე დაავადებაზე ეჭვს მიიტანდეთ, დაფიქრდით თუ რას მიირთმევთ ყოველდღიურად. არაერთი სასმელი თუ საკვები შარდმდენი ეფექტით ხასიათდება.

• თუ ბევრ სითხეს ღებულობთ, ეს ბუნერბრივიცაა.

• თამბაქო – ხშირი შარდვის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს, ის შარდის ბუშტის კუნთის გაღიზიანებას იწვევს, სპაზმური ხველებისას კი – შარდის შეუკავებლობას.

ასევე, ზოგიერთი საკვები აღიზიანდებს საშარდე გზებს. ძალიან კარგი იქნება, თუ ინდივიდუალურად დააკვირდებით, რომელი საკვები როგორ მოქმედებს თქვენზე.

• ერთ-ერთი „მავნე" პროდუქტი ამ მხრივ პომიდორია, ის აღიზიანებს შარდის ბუშტს, ამიტომ შეიძლება ხშირი შარდვის მიზეზი გახდეს.

უნდა მოერიდოთ პასტას, კეტჩუპს, პიცას, ტომატის შემცველ პროდუქტებს.

• უცხო არავისთვის არის, რომ ყავა შარდმდენია.

კოფეინი იწვევს შარდის ბუშტის გააქტიურებას, შესაბამისად, თუ ხშირად შარდავთ კოფეინის შემცველ ყავასა და ჩაის უნდა მოერიდოთ.

• ყავის მსგავსად შოკოლადიც შეიცავს კოფეინს, ამიტომ სჯობს მიირთვათ თეთრი შოკოლადი, რომელიც ჩვეულებისამებრ კოფეინს არ შეიცავს.

• მოერიდეთ ციტრუსებს: ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფუტი, ლაიმი.

ჭამეთ ბანანი ან ვაშლი, ნაკლებად – მჟავე ხილი.

• მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს ლუდს, ლიქიორს, ღვინოს, შამპანურს.

• გაზიანი სასმელები აძლიერებენ შარდის ბუშტის აქტივობას.

• ექსპერტები ამბობენ, რომ ის საკვები, რომელიც თვალებს აწყლიანებს და ტუჩებს წვავს, ასევე იწვევენ შარდის ბუშტის გაღიზიანებასაც.

აქედან გამომდინარე, ცხარე საკვები, სოუსები, წიწაკა – არ არის რეკომენდებული.

• ასევე, ხახვი – ნედლი ხახვიც არ არის მარგებელი ამ თვალსაზრისით.

მოკლედ, ცხარე, მჟავე და კოფეინის შემცველ პროდუქტებს უნდა მოერიდოთ.

თუ კვების რაციონი არ არის ხშირი შარდვის მიზეზი, დროულად უნდა მიმართოთ ექიმს.

/mkurnali.ge/



# უხილავი მტერი

21-ე საუკუნე... მოუთმენლად ელოდება ჩემი თაობა მის მობრძანებას. იმედები, ოცნებები თან ახლდა ამ მოლოდინს. ხო და დადგა ეს ნანატრი დროც. ამ საუკუნემ ტექნიკის მიღწევებით გაგვაოცა. გვჯეროდა უკეთესის, ეკონომიკურად ძლიერი ცხოვრებისა, მაგრამ კვლავ გაგრძელდა სამშობლოდან ადამიანთა გაქცევა უცხო ქვეყნებში.ძნელი იყო მშობლიური კერის დატოვება. რა ექნათ? გადარჩენის ერთადერთ გზად ეს ესახებოდათ. შვილებსა და ოჯახებს შენახვა სჭირდებოდათ. იმედი მაინც არ სტოვებდათ განწირულთ. წლები წლებს მისდევდა და თანდათან თოვლის გუნდასავით ესეც ქრებოდა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ხელისუფალთ ავიწყდებოდათ, რომ „ხალხია მეფის თავზე გვირგვინის დამდგმელი".

ნაციონალური პარტიის გამარჯვებამ ქართველი ერი გამოაფხიზლა. ირწმუნეს უკეთესი მომავლის. აღდგა დანგრეული სახელმწიფო, დავიწყებას მიეცა უშუქობა, პურის გრძელი რიგები, მაგრამ გაჩნდა სხვა პრობლემები, ძალაუფლებით გაბრუებულებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. ხალხი აღელდა, ამბობდნენ: „ერთი კარი რომ იკეტება, უფალი მეორეს გიღებსო". ასე მოხდა ამჯერადაც. პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა „ოცნება" ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით.

2012 წელს ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ხმა მისცა მათ, მაგრამ... ისევ იმედების გაცრუება. ოცნება ოცნებად დარჩა. ჩამოიშალა ეკონომიკა, სასიცოცხლო მედიკამენტები და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტები საოცრად გაძვირდა. დაიწყო ბრძოლა ოპოზიციურ პარტიებსა და „ოცნებას" შორის. სხვა მატიანე დღევანდელი ცხოვრების შესახებ ალბათ ასე დაწერს: ხალხი არ ჩანს, ეს პოლიტიკურ პარტიათა ეპოქააო.

კვლავ დაიწყო გაქცევა სამშობლოდან, კიდევ უფრო გაიზარდა სოციალურად დაუცველ, გალატაკებულ ადამიანთა რიცხვი.

ჩვენი უგუნურების გამო უფრო მეტი რისხვა მოგვივლინა უფალმა. ეს უხილავი მტერი კორონაა. საკითხავია, უფალმა თუ ადამიანთა მოდგმის მოხელეებმა? ფაქტი ფაქტად რჩება – მომხდურ მტერს ასეთი ძრწოლით არ ხვდებოდნენ ჩვენი წინაპრები, როგორც დღეს – უხილავ მტერს.

ბევრის სიცოცხლე შეიწირა კორონამ. დარჩენილებს კი თვალებში შიში ჩაუსახლდათ.

კორონამ იმსხვერპლა ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ: ანზორ ერქომაიშვილი, თემურ წიკლაური და გურამ დოჩანაშვილი. მათმა წასვლამ ამ ქვეყნიდან სერიოზული ინტელექტის მქონე პიროვნებები დააკლო ქართულ ხელოვნებასა და კულტურას.

ყვარლის საზოგადოება უერთდება საყოველთაო გლოვას და გულწრფელად უსამძიმრებს მთელ საქართველოს და გარდაცვლილთა ოჯახებს.

ამჯერად, კორონას სხვა იმ მსხვერპლთა შესახებ მოგითხრობთ, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან პროფესიის მიხედვით.




ერთ-ერთი მათგანი მწერალი გურამ დოჩანაშვილია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი ჩვენი საუკუნის ქართული პროზის დიდოსტატია. მის ნაწერებზე იზრდებოდა და კვლავ უნდა გაიზარდოს მომავალი თაობები. დღეს, როცა კომპიუტერმა ჩაყლაპა წიგნი, აუცილებელია ახალგაზრდებს გავაცნოთ მისი შემოქმედება, რაც დიდ გავლენას მოახდენს მათი აზროვნების ჩამოყალიბებაზე.

ქართველი საზოგადოება ელოდა, რომ ამ რჩეულ ადამიანს მთაწმინდაზე მიუჩენდნენ სამუდამო განსასვენებელს, მაგრამ ასე არ მოხდა. თავად ბატონმა გურამმა სიცოცხლეშივე ინება, რომ გარდაცვალების შემდეგ იგი დაეკრძალათ საბურთალოს სასაფლაოზე თავისი შვილის გვერდით.

დიახ, შვილისადმი სიყვარულმა გადაწონა სხვა დიდება და აღიარება. მან სწორედ იმ მიწის დაყრა მოინდომა, რომელიც მის შვილს გულზე ეყარა.

მწერლის ამ ქმედებაშიც გამოჩნდა ბატონი გურამის უბრალოება და სიდიადე, რომელმაც შეგვახსენა, რომ არანაირი დიდება ვერ გადაწონის შვილისადმი სიყვარულს.

შვილთან ერთად მშვიდად განისვენე ბატონო გურამ იმ მადლიან მიწაში, რომელიც ასე ძლიერად გიყვარდათ. თქვენი შემოქმედება კი ყოველთვის იქნება ჩვენი ხალხის მასაზრდოებელი წყარო.

ყვარელმა ახლახანს გააცილა იმქვეყნიურ ცხოვრებაში ელენე ბახტაძე (ფისო) – ერთი ჩვეულებრივი ქალბატონი, პროფესიით ექიმი, ცნობილი მომღერლის, ნინი შერმადინის დედა და ყვარლელი პედაგოგების დეზიკო და ნელი ბურკიაშვილების რძალი.

იგი მთელი სიცოცხლე დაუღალავად იბრძოდა იმისათვის, რომ ნინის ეპოვნა თავისი ცხოვრების გზა, სჯეროდა მისი ნიჭიერებისა. ისიც იცოდა, რომ მიზნის მისაღწევად დაუღალავი შრომა იყო საჭირო, ამიტომ მოდუნების საშუალებას არ აძლევდა მას. შვილიშვილის გაზრდაც ითავა. ენერგიული და ძლიერი ქალბატონი იყო. როცა მას ვუყურებდი და ვუსმენდი, მჯეროდა, რომ იგი ძლიერი მუხასავით იდგა და ვერაფერი წააქცევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, კორონა მასაც მოერია. სწორედ ამ ულმობელმა ვირუსმა წაართვა ენერგიული სიცოცხლე და თან საგზლად გაიყოლა შვილების და შვილიშვილების ცრემლები, რომელიც ალბათ მალამოდ დაედება მის ავადმყოფ გულს.

დაე, უფალმა დაიფაროს ქალბატონი ფისოს შთამომავლობა და მიაღწიონ იმ წარმატებებს, რაც ასე ძალიან სურდა მას.

ამ ცოტახნის წინ მივიღე გადაწყვეტილება, ასაკისა და ავადმყოფობის მიუხედავად შევბრძოლებოდი კორონას. გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანე. შიშის მიუხედავად მისი საწინააღმდეგო ვაქცინით ავიცერი. მიმაჩნია, რომ ასე უხილავი მტრის დამარცხების ყველაზე უფრო ეფექტური გზა მხოლოდ ესაა.

დღითიდღე ცუდ ამბებს ვიგებთ. კიდევ ერთი ადამიანის გარდაცვალებამ შეძრა ჩემი გული. ისიც კორონას მსხვერპლია.

ხათუნა ბუიშვილი – ყვარლის მკვიდრი, საუკეთესო მშობლების შვილი. მარტოხელა დედა შვილის უკეთესი მომავლისათვის იტალიაში გადაიხვეწა. იქ დაეწია ბედი მდევარი, იქ მოუსწრაფა ლამაზი სიცოცხლე.

ჩემო ხათუნა, შენმა ამბავმა ყვარელი შეძრა. შენ გამორჩეული გოგონა იყავი, ყვარლის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებლების საყვარელი მოსწავლე, კეთილშობილი, თბილი, სათნო, უშურველად რომ გასცემდი სიკეთეს. არ გაგიმართლდა, არ შეგხვდა ტოლადსადები მეუღლე, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაგიყრია. არაფერი მოგიკლია შენი ერთადერთი ვაჟკაცისათვის. სამშობლოს დატოვებაც მის გამო გადაწყვიტე. ძნელია სიტყვებით გადმოგცე ყველა იმ ადამიანის სევდა-მწუხარება, რომელიც შენ გიცნობდა. ილიას ნააკვნარში გლოვის ზარმა ჩამოჰკრა. მშობლიური მიწა ელოდება უცხოეთში გადახვეწილ შვილს, რათა ჩაიკრას გულში და დაუყუჩოს სულისა და გულის ტკივილი.

კიდევ ერთხელ იყავი წყეული, კორონავ! ნუთუ არ გეყო ამდენი ცრემლი, რომელიც მალე ნაკადულებად იქცევა. ყოველი დღე შიშით თენდება და შიშით ღამდება.

ადამიანებო, ამ ქვეყნის ძლიერნო თუ სუსტნო, დაფიქრდით, იქნებ ეხლა მაინც მიხვდეთ, თუ რა არის ნამდვილი ცხოვრება. ეხლა მაინც უკანა პლანზე გადიტანეთ ფიქრი მარტო მატერიალურ ღირებულებებზე და იზრუნეთ სულზე, ვინაიდან სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა, მხოლოდ სულია მარადიული, ამიტომ მთავარია ამქვეყნად დავტოვოთ კვალი ნათელი და არ მივცეთ წყევლად ჩვენი სახელი შთამომავლობას.

მთავარია პირადული დავივიწყოთ და შეერთებული ძალით ვიბრძოლოთ დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად და უცხოეთში გადახვეწილი ქართველების დასაბრუნებლად.

**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი,**
**ყვარლის საპატიო მოქალაქე**





# მკითხველთა კლუბი „შემოქმედი“

კითხვის მოყვარულმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ პირველი ქართული წიგნი ჯერ კიდევ 1629 წელს დაიბეჭდა ქალაქ რომში და ეს იყო „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, რაც ჩვენთვის დიდ სიამაყეს წარმოადგენს. 1686 წელს მოსკოვში ჩასულმა არჩილ მეფემ პირველი ქართული სტამბა დააარსა, სადაც დაიბეჭდა „დავითნი“, სულის მასაზრდოებელი სწავლებანი. 1709 წელს კი ვახტანგ მეექვსემ საქართველოში დააარსა სტამბა და ქართულ სტამბაში პირველ წიგნად „სახარება“ დაბეჭდეს. მოგვიანებით, 1712 წელს აქვე გამოიცა პირველად



„ვეფხისტყაოსანი“ (11000-დან 21 ცალია შემორჩენილი). აქვე ავღნიშნავ, რომ 1653 წელს ივანე მეოთხის ბრძანებით მოსკოვში დაიწყო პირველი რუსული სტამბის მშენებლობა, სადაც დაიბეჭდა პირველი წიგნი „მოციქულთა“. თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ყოველი პირველი გამომცემლობა სასულიერო ლიტერატურაა, რაც მიუთითებს სულისთვის მზუნველობის უპირველესობას, მთავარ ღირებულებას და საჭიროებას. კაცობრიობის ისტორიის განვითარების კვალდაკვალ სხვადასხვა წლებში გრძელდებოდა გამომცემლობების დაარსება, რომელთა მიზანს შეადგენდა ერის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი სამსახურის გაწევა: საზოგადოებისთვის წიგნის მიწოდება, რომელიც უკვე მსოფლიო ლიტარატურას მოიცავდა და გაფართოვდა მისი თემატურობა.

წიგნი – „მოგონება ნადეჟდა ნიკოლოზის ასული ჭავჭავაძისა“-დან ვიგებთ, როდესაც ყვარელში იმართებოდა სახალხო დღესასწაულები, ყველა შემოსული თანხა და სხვა მატერიალური შემოწირულობა იური ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის მეშვეობით „სახალხო სახლი“ – სათვის და ილია ჭავჭავაძის სახელობის სამკითხველოსთვის გროვდებოდა. მათი დამსახურებით შეიქმნა კახეთში მეორე სამკითხველო, რომელიც მწერლების სურათებითა და უამრავი წიგნებით გააწყვეს. რა არის წიგნი? ოფიციალური განმარტებით: „წიგნი — ინფორმაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ცოდნის გავრცელების, განათლებისა და აღზრდის იარაღი“. სწორედაც, აღზრდის იარაღი! დამეთანხმებით, ადამიანი რა სწავლულიც არ უმდა იყოს, ფუჭია მისი განათლება, თუკი არ გააჩნია სულიერი და პიროვნული აღზრდა, მაღალი ადამიანური ღირებულებები! და ვინ გვახედებს ადამიანის პიროვნულ და სულიერ სიღრმეებში? წიგნი! აქ ჩნდება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საჭიროება: წაკითხულის გააზრება, მიღება, გათავისება, სასარგებლოდ გამოყენება და გაზიარება: მეტად საჭიროა ადამიანმა საკუთარი შთაბეჭდილებები, ემოციები, აზრთა მსვლელობა გაუზიაროს საზოგადოებას და ჩაერთოს დისკუსიაშიც კი, განსაკუთრებით თუკი ეს მოზარდ ახალგაზრდობას შეხება.

ამ დიად მიზნებს ემსახურება ყვარლის მეორე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი „შემოქმედი“, რომელიც ჯერ კიდევ 2016 წელს დაარსდა ქართული ენისა დალიტერატურის პედაგოგის, ქალბატონ მზია ბაიდოშვილის ინიციატივით და ხუთი წლის განმავლობაში თავდაუზოგავ შრომას ეწევა აღძრას მოსწავლეებში სიყვარული და ინტერესი წიგნის მიმართ მთელი თავისი მრავალფეროვანი იდეებითა და მიზნებით. ამ წლების განმავლობაში მრავალი საინტერსო ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა კლუბის მიერ: 5 თებერვალი – საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე, რომელიც აღინიშნა 100-ზე მეტ ქვეყანაში. ამ დღის ინიციატივას შეუერთდა ყვარლის მუნიციპალიტეტიც და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე „შემოქმედის“ წევრებმა წაიკითხეს ამონარიდები ილიას ჭავავაძის ნაწარმოებებიდან, ასევე, მწერლის პირადი და პუბლიცისტური წერილები. ღონისძიება მაშინ წარმართა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელმა, პოეტმა, ქალბატონმა იზოლდა იოსებიანმა. ღონისძიების დასასრულს კი სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ირაკლი ქადაგიშვილი, რომელმაც ისაუბრა წიგნის კითხვის აუცილებლობაზე ინტელექტის ამაღლების მიზნით; მკითხველთა კლუბმა განიხილა ნოდარ დუმბაძის რომანი „თეთრი ბაირაღები“. მოსწავლეებმა ისაუბრეს იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც გაშუქებულია ნაწარმოებში. ყურადღება გაამახვილეს საკვანძო საკითხებზე; კლუბის ღონისძიებებს ესწრებოდნენ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ წაკითხული ნაწარმოები, მაგრამ ნაწარმოების განხილვის შემდეგ გამოხატეს წაკითხვის სურვილი და ინტერესი. როგორც მწერალი გურამ დოჩანაშვილი იტყოდა, მათ წინ ელოდათ წაკითხვით მიღების დიდი ბედნიერება; ილია ჭავჭავაძის კვირეულის ფარგლებში აქტიურად განაგრძობდა მუშაობას „შემოქმედი“. ღონისძიებაზე „ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა“ ისაუბრეს ილიას ყრმობაზე, სიჭაბუკეზე, სტუდენტობის წლებზე, პირად წერილებზე, ღვაწლზე, არტურ ლაისტისა და უორდროპების ილიასთან ურთიერთობაზე, მწერლის მისწრაფებებზე ევროპისაკენ და ილიას მუხანათურ მკვლელობაზე. ამ დღეს ნახეს ფრაგმენტები ილია ჭავჭავაძის მოთხრობებზე შექმნილი ფილმებიდან. დასასრულს, მონაწილეებმა დიდი პატივისცემით შეასრულეს ილია ჭავჭავაძის ლექსები და ლექსებზე შექმნილი სიმღერები. მოსწავლეები უკეთ გაეცვნენ ისეთ დეტალებს ილიას ცხოცრებიდან, რომლებიც მათთვის მანამდე უცნობი იყო; კლუბმა განიხილა წიგნი „ანა ფრანკის დღიური“. დიდი ინტერესითა და გულმოდგინებით იმსჯელეს წიგნის მთავარ საკითხებზე – ომის საშინელებაზე და ადამიანურ ურთიერთობებზე; მკითხველთა კლუბმა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში უმასპინძლა ახალგაზრდა პოეტს გიორგი ზუბიტაშვილს. პოეზიის საღამომ მეტად თბილ და სასიამოვნო გარემოში ჩაიარა. ახალგაზრდებმა უკეთ გაიცნეს „მთის პოეტი“ და მასთან მეგობრობის სურვილი გამოხატეს; პოეზიისადმი სიყვარულის მიზნით განუხორციელებიათ პოეზიის საღამო „ჩემი საყვარელი ერთი ლექსი“; განუხილავთ ჯეინ ოსტინის წიგნი „სიამაყე და



ცრურწმენა“; მოსწავლეებს შეუქმნიათ ხელნაკეთი ალბომი ყურბან საიდის პოპულალური აზერბაიჯანული რომანის მიხედვით „ალი და ნინო“. მოგეხსენებათ, რომანში მოთხრობილია აზერბაიჯანელი არისტოკრატული შთამომავლობის ჭაბუკ, ალი შირვანშარისა და ქართველი თავადის ასულის, ნინო ყიფიანის სასიყვარულო ისტორია. გაუმართავთ დისკუსია თემაზე-“ქორწინება სხვადასხვა რელიგიის ადამიანებს შორის“, განუსახიერებიათ ეპიზოდები ამავე ნაწარმოებიდან. აქვე ავღნიშნავ, კლუბი ჩართული იყო პროექტში „თავისუფალი გაკვეთილები“, ხოლო 2018 წელს მიიღო მონაწილეობა კონკურსში, სადაც მოიპოვა გამარჯვება და ფულადი პრიზით დაჯილდოვდა; ასეთი უჩვეულო აქტივობაც ჰქონიათ – „სცენა მასწავლებლის და მოსწავლეების საუბრიდან“; შეუქმნიათ გალერეა, მოუმზადებიათ ილუსტრაციები მოსწავლეების თვალით დანახული საინტერესო ეპიზოდებით.

მკითხველთა კლუბის წევრებმა დასვეს ერთ-ერთი მთავარი კითხვა – წიგნი თუ კომპიუტერი? მკითხველთა კლუბის გახსნის უმთავრეს მიზნად ქალბატონმა მზიამ სწორედ ის დაისახა, რომ მოსწავლეებში გააღვიძოს წიგნისადმი სიყვარული. წიგნი ეს ერთადერთია და მას ვერასოდეს ვერაფერი შეცვლის! „შემოქმედის“ მიერ სხვადასხვა წლებში განხორცილებეული საქმიანობა, რომელიც მე სრული სახით ვერ წარმოვადგინე, დასტურია იმისა, თუ რაოდენ აუცილებელია ასეთი კლუბების არსებობა საქართველოს მასშტაბით. დიდი მადლობა ქალბატომ მზიას, კლუბის აქტიურ წევრებს – მარიამ ავაზაშვილს, თეკლა ჭუნიაშვილს, სოფო მამულაშვილს, თამუნა ქორთიევს, გუგა ტატურაშვილს და ყველა იმ მოსწავლეს, რომლებმაც ფასდაუდებელი შრომა გასწიეს და ახლაც ეწევიან მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე!

**ეკატერინე ავაზაშვილი**

# მეჩხერიანობა ვენახში და გაცდენილი ადგილების შევსების წესები



მოსავლიან ვენახში გაცდენილი ადგილების შევსება წარმოებს ნამყენი ნერგის გამორგვით და ვაზის გადაწვენის სხვადასხვა წესის გამოყენებით.

### ვაზის გამორგვა

ვაზის გამორგვა მოსავლიან ვენახში იმ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ, როდესაც მწკრივს თანმიმდევრობით რამდენმე ვაზი აკლია. ამ შემთხვევაში, მოცდენილ ადგილას გაკეთდება ზოლებრივი პლანტაჟი, ამოიღება 50-60 სმ სიღრმის ორმო. ორმოს ფსკერზე, 20-30 სმ სიმაღლეზე, ჩაიყრება განოყიერებული ფხვიერი მიწა, კარგად განვითარებულ ერთ-ორ წლიან დაპარაფინებულ ნერგს შეეკვეცება ფესვები 10-12 სმ-ის სიგრძეზე და ორმოში განლაგდება თავისი მიმართულებით. მიეყრება ფხვიერი მიწა და დაიტკეპნება. დარგვის შემდეგ ვაზი აუცილებლად უნდა მოირწყოს. უკეთეს შედეგს იძლევა ვეგეტაციის პირველ ეტაპზე ტორფნეშომპალიან ქილაში გამოყვანილი მწვანე ნერგის გამორგვა. ახალგამორგულ ნერგს მიედგმება ჭიგო. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წამლობას მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ, სარეველების მოსპობისა და მოვლის სხვა ღონისძიებებს.

სრულმოსავლიან ვენახში გაცდენილი ადგილის შევსების მიზნით მაღალეფექტურია მწვანე ყლორტის გადაწვენა; რეკომენდებულია, აგრეთვე, მეჩხერი ადგილის შევსება მომწიფებული რქის, ვაზის მთლიანი გადაწვენით, აგრეთვე მხრის გაგრძელებით, ანუ გადახეივნებით.

### მწვანე ყლორტის გადაწიდვნა

ვენახის პირველი გაფურჩქვნის დროს შეირჩევა და საყრდენზე აღიზრდება გადასაწვენად ვარგისი ყლორტი. უმჯობესია იგი შტამბის ქვედა ზონის ამონაყარი იყოს, რომელიც კარგად ვითარდება და აღიზრდება ჭიგოზე, ან შპალერის რომელიმე მავთულზე, გაცდენილი ადგილის მხარეს.

მწვანე ყლორტის გადაწვენა უმჯობესია ივლისის მეორე ნახევარში. ყლორტების ჩაწიდნულ ნაწილს შეეცვლება ფოთლები, პწკალები და ნამხრევები, არხში ჩაწვენილ ყლორტს მიეყრება ფხვიერი მიწა, დაესხმება წყალი, შეედგმება ჭიგო და ყლორტი განაგრძობს ზრდას.

### რქის გადაწიდვნა

დანაკლისი ვაზის შესავსებად რქის გადაწიდვნა ხდება შემდეგნაირად: იმ ადგილამდე, სადაც ახალი ვაზი უნდა ამოიყვანონ, გაითხრება 40 სმ სიღრმის არხი, ფსკერზე იყრება ფხვიერი, განოყიერებული მიწა, შემდეგ არხში ფრთხილად გადავაწვენთ რქას, რომლის ზედა ნაწილს ამოვიყვანთ სასურველ ადგილას და გავსხლავთ ორ-სამ კვირტზე, შევუდგამთ ჭიგოს და ვამაგრებთ შპალერის მავთულზე. განვითარებული ყლორტები აღიზრდება ჭიგოზე ვერტიკალურად, ხოლო შემდეგ შპალერის ზედა მავთულზე ჰორიზონტალურად გადაწვენილ რქას მოხრის ადგილზე კვირტები უნდა შევაცალოთ.

### ვაზის მთლიანი გადაწიდვნა

გადასაწვენად შეირჩევა სასურველი ჯიშის მოსავლიანი და ნორმალური ზრდის ვაზი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში თავგადაუჭრელი და ცაგაუხსნელი დარჩება. ასეთი ვაზის ძირთან გაითხრება 40 სმ სიღრმისა და 50 სმ სიგანის სასურველი სიგრძის არხი, რომელშიც მთლიანად გადაწვება ვაზი. ერთი რქა ამოიყვანება გადაწვენილი ვაზის ადგილზე, ხოლო მეორე სასურველი მანძილის დაცილებით. არხი ივსება განოყიერებული ფხვიერი მიწით, ნიადაგის ზემოთ დატოვენული რქები გაისხვლება 2-3 კვირტზე და შეედგმება ჭიგო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადაწიდვნისას ვაზი გადადის საკუთარ ფესვზე და მოსალოდნელია ფილოქსერასგან დაზიანება, რის გამოც საწარმოო ვენახში ამ ღონისძიების გამოყენება რეკომენდებული არ არის.

### ვაზის მხრის გაგრძელება ანუ გადახეივნება

აგროტექნიკის მაღალ ფონზე, ძლიერი ზრდის პირობებში, გადახეივნება საუკეთესო შედეგს იძლევა, როგორც გაცდენილი ადგილის შესავსებად, ისე მოსავლიანობის გასადიდებლად. გამეჩხერებული სრულმოსავლიანი ვენახის შევსების ეს წესი გულისხმობს მუდმივი მხრის გაგრძელებას მოცდენილ ადგილამდე, უახლოესი ორი ვაზიდან. ე.ი. გადახეივნებას ერთი ან ორი დანაკლისი ვაზის შესავსებად.

მუდმივი მხრის გამოყვანა და მასზე სასხლავი რგოლების შექმნა შეიძლება დავაჩქაროთ ხელოვნურად გამოწვეული ნამხრევების გამოყენებით. ამ შემთხვევაში საჭიროა გადასახეივნებელი ყლორტის ჰორიზონტული აღზრდა შპალერის პირველ მავთულზე, სასურველი სიგრძის შემდეგ ძირითად ყლორტს წაეწყვიტება წვერი და მასზე განვითარებული ნამხრევები აღიზრდება ვერტიკალურად.

გასხვლის დროს ნამხრევები გამოიყენება სამამულედ და სანაყოფედ. გადახეივნებული ვაზის მუდმივ მხარზე სხვლის დროს იქმნება რამდენიმე სასხლავი რგოლი, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია ვაზის ზრდა-განვითარების სიძლიერეზე, ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებასა და აგროტექნიკის დონეზე.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებით დროულად აღმოიფხვრება მეჩხერიანობა და ფართობის ერთეულზე შენარჩუნებული იქნება ყურძნის მოსავალი.

**მევენახეობა – აგროტექნოლოგია/ რედ. ლევან უჯმაჯურიძე; აკად. ნოდარ ჩხარტიშვილის საერთო რედაქციით**

# ჩვენო ლუიზა!



არსებობენ ადამიანები, რომლებიც ღრმა კვალს ტოვებენ სხვა – ათეულობით და ასეულობით ადამიანის გულსა, გონებასა და ცნობიერებაში. ისინი კაცთმოყვარეობის ძლიერი გრძნობით არიან დაჯილდოებული და თავადაც საყოველთაო სიყვარულს იმსახურებენ.

ასეთი იყო ჩვენი ლუიზა მასწავლებელი. იგი უშურველად გასცემდა და სხვებისგანაც იღებდა ულევ სითბოსა და სიყვარულს.

ლუიზა დავითაშვილი სრულიად ახალგაზრდა ჩაება მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. თითქმის 50 წელი უანგაროდ ემსახურა ახალგაზრდა თაობას. მის მიერ ჩატარებული ყოველი გაკვეთილი ზეიმი იყო. დიდსა და პატარას – ყველას თამამად უნაწილებდა ცოდნას, სითბოსა და სიყვარულს. მისი სიტყვა მალამოსავით ედებოდა მოზარდების ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ცნობიერებას და უბიძგებდა მათ კაცთმოყვარე, ქვეყნისთვის მზრუნველ, მაღალი ადამიანური ფასეულობების მატარებელ პიროვნებად ჩამოყალიბებისაკენ.

ის, ვისთვისაც ლუიზა მასწავლებელს უსწავლებია, ვერასოდეს დაივიწყებს მის განსხვავებულ, საინტერესო, ხალისიან გაკვეთილებს. უკიდურესად ცელქი და დაუმორჩილებელი მოსწავლეც კი მის გაკვეთილზე ხდებოდა დინჯი, თვინიერი, ცნობისმოყვარე და ფრიადოსანი, რადგან ლუიზა მასწავლებელმა იცოდა თითოეული მოსწავლის გულისკენ მიმავალი გზა. იგი მათ ინტერესებს, მისწრაფებებს, ფიქრებს, ზრახვებს ერთი დიდი მიზნისკენ მიმართავდა: ესწავლათ სიკეთის კეთება!

თავადაც ხომ მთელი თავისი სიცოცხლე სხვებზე ზრუნვას შეალია. ზრუნავდა ყველაზე: ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, თითოეულ მოსწავლეზე; იყო ერთგული მეგობარი, საუკეთესო მრჩეველი, საიმედო კოლეგა და, რაც მთავარია, მოსწავლეებისთვის საყვარელი მასწავლებელი. ამიტომ განიცადეს მისი დაკარგვა ესოდენ ძლიერ მისმა ყოფილმა თუ ახლანდელმა მოსწავლეებმა. ისინი გულდათუთქულები, თავჩაღუნულები და განადგურებულები არიან. მათ თვალებზე აკიაფებული ცრემლი კი ლუიზა მასწავლებლის სწორად გავლილი გზის მაჩვენებელია.

ერთი აუხდენელი ოცნება დარჩა ლუიზა მასწავლებელს. მას უნდოდა ჩვენი სკოლის ისტორიის დაწერა. ამისათვის მოიძია უამრავი დოკუმენტური მასალა, უნდოდა სკოლის ისტორიის მუზეუმის შექმნა, მაგრამ...

მსუბუქი იყოს, ლუიზა მასწავლებელო, შენთვის ქართული მიწა.

ნათელში იყოს შენი კეთილი, ლამაზი სული!

გვიყვარხარ! გვიყვარხარ! და გვენატრები!

**შილდის №1 საჯარო სკოლის
პედკოლექტივი**

# ელენე ხუროშვილის ხსოვნას



ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან ჩვენო ელენე, ჩვენო დიდო და მოუშუშებელო ტკივილო,ძნელია სიტყვის სამოსელში გაახვიო ფრაზა, რომლითაც შენზე წარსულში გვიწევს საუბარი და მერე ამით ინუგეშო თავი. ეს უსაზღვრო ტკივილია – ცამდე ასული და დარჩენილი მოგონებები – სევდად ქცეული....

როგორ გვეშინოდა ამ დღის, როგორ გვეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერი კარგად ჩამთავრდებოდა და ჩვენი ამაყი,მხიარული, თბილი,მოსიყვარულე, ერთგული მეგობარი, საუკეთესო თანამშრომელი, ყველა მოსწავლისთვის საყვარელი პედაგოგი, საუკეთესო დედა, მეუღლე და უბრალოდ კარგი ადამიანი – კვლავ ჩვენს გვერდით იქნებოდა, მაგრამ მიუხედავად შენი დიდი სულიერი სიძლიერის, სიმტკიცის, დიდი შემართების, ბრძოლის, რწმენის, იმედის, მაინც გძლია და წაგართვა სიცოცხლე ასეთ ახალგაზრდას იმ საშინელმა სენმა, რომელსაც ვერ მოერიე.

როგორ იბრძოდი ელენე, ბოლომდე იბრძოდი სიცოცხლისთვის, ამ ბრძოლაში გაძლიერებდა და ძალას გმატებდა შენი ვაჟკაცების სიყვარული, რომლებიც შენს მზეს ფიცულობდნენ.

რამდენი სითბო და სიყვარული გაანაწილე ჩვენს შორის, ჩვენო ლამაზო, სიცოცხლით სავსე გოგო! სხვისი ჭირვარამის გამზიარებელი, საკუთარ ტკივილს არასოდეს მოახვევდი სხვას და გასაჭირს შენთვის იტოვებდი, რომ სხვისი დარდი არ გაგემრავლებინა...

ასე ჩვენო მეგობარო! ამ ქვეყნიური ცხოვრება ერთი გაელვებაა, რომელიც აღსავსეა ტანჯვით და ნაწილობრივი სიხარულით, შენ წახვედი და შენი წასვლით დაგვიტოვე მწარე რეალობა, რომელთან შეგუებაც ძალიან გვიჭირს, დაგვტოვე იმ დიდ ტკივილთან ერთად, რომელმაც სამუდამოდ დაგვაშორა ერთმანეთს, მაგრამ გპირდებით, შენს სახელს დავიწყება არ უწერია, დრო ვერასოდეს გააფერმკრთალებს შენს ნათელ სახეს ჩვენს გულებში, თუმცა არასოდეს გაყუჩდება ის ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია.

უფალს ვთხოვთ, არ მოჰკლებოდეს ღვთიური მადლი და ნათელი შენს სულსა და წმინდა სამყოფელს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო ძლიერო, საყვარელო მეგობარო, ჩვენო ელე!!!

**შილდის №1 საჯარო სკოლის
პედკოლექტივი**

# „ზავოდობა“ კრემლში ბორის ელცინისთვის და რაისა გორბაჩოვას ხუშტურები



ყველა ქვეყანაში და ყველა დროს პირადი დაცვა გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ცალკეული პიროვნებების სიცოცხლის და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რეალურად, დაცვა დასაცავი პირის ოჯახის წევრი და ამიტომაც მათი ყველა საიდუმლოების მცოდნეც ხდება. განსაკუთრებით დაფარული საოჯახო და ფინანსური საქმეები არა მარტო „დაცვის“ თვალწინ ხდება, არამედ – ხშირად ამასაც სწორედ „დაცვის ბიჭები“ აკვარახჭინებენ.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სახელმწიფო მოღვაწეების და ობიექტების დაცვას კა-გე-ბეს სტრუქტურაში არსებული მე-9 მთავარი სამმართველო ახორციელებდა. რესპუბლიკებში კი ამ დანაყოფს სამმართველოს ან განყოფილების სტატუსი ჰქონდა. სახელმწიფო (ე.წ. სამთავრობო) დაცვის სამსახურში მუშაობა მხოლოდ შორიდან ჩანს რომანტიკული და პრესტიჟული. დაცვის თანამშრომელი, მით უმეტეს, თუ ის სახელმწიფოს სათავეში მყოფ პიროვნებას ან მის ოჯახის წევრებს იცავს, მუდმივ ნერვულ სტრესში იმყოფება. პროფესიულ დაძაბულობას ხშირად დასაცავი ობიექტის ოჯახის წევრების ხუშტურების ატანაც ემატება. მიდი და – გაუძელი!

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების პირველი პირებისა და მათი ოჯახის წევრების დაცვა კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრული პროცესია და როგორც წესი, ამ საქმეში მოულოდნელობები და სიურპრიზები არასასურველია. თუ დაცვის სამსახურს ექსპრომტად უხდება გადაწყვეტილების მიღება, ეს მისი სისუსტის მაჩვენებელი უფროა, ვიდრე სიძლიერის. ამ სფეროში მოქმედებს მრავალი დაწერილი თუ დაუწერელი კანონი, რომელსაც უკვე ათწლეულების ტრადიცია აქვს. განვლილ პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში საკუთარი ხელწერის, ერთგვარი, „სახელმწიფო მოხელეთა დაცვის სკოლებიც“ კი შეიქმნა. ამ დროს კონკრეტული ქვეყნის კულტურა, ტრადიციები, მენტალიტეტი და ა.შ. წარუშლელ კვალს ტოვებს დასაცავი პერსონების ქცევაზე და, აქედან გამომდინარე, დაცვითი ღონისძიებების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ტოტალიტარული, დიქტატორული და ზოგადად განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელების დაცვა ძალზე განსხვავდება დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლების პირველი პირების დაცვისგან. პირველ შემთხვევაში, მთავარი საფრთხე სამხედრო ამბოხი და სახელმწიფო გადატრიალებაა, ხოლო მეორე შემთხვევაში – რელიგიური ფანატიკოსები ან ფსიქიკურად შეშლილი პიროვნებებია სახიფათო.

საბჭოთა კავშირში კი დაცვის თანამშრომლებს დაქირავებული მკვლელის ტყვიაზე მეტად იმის ეშინოდათ, ავადმყოფ და დავრდომილ საბჭოთა ლიდერებს (ბრეჟნევს, ანდროპოვს, კოსიგინს, ჩერნენკოს, შემდგომ წლებში – რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს) კიბეზე ფეხი არ დასცდომოდათ და იატაკზე არ გაშხლართულიყვნენ. განსაკუთრებით ბევრი კურიოზი ლეონიდ ბრეჟნევისა და ბორის ელცინის დაცვის ისტორიას უკავშირდება.

ცნობილია ფაქტი, როდესაც აღმოსავლეთ გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ვიზიტად ჩასული ლეონიდ ბრეჟნევი და ერიხ ჰონეკერი მოსახლეობას ღია ლიმუზინიდან ესალმებოდნენ და საბჭოთა ლიდერი რომ არ წაქცეულიყო, მას ავტომობილის სალონის იატაკზე ჩამალული დაცვის თანამშრომელი იჭერდა ხელით.

ერთხელაც სოჭში დასასვენებლად მყოფი ბრეჟნევი სასურსათო მაღაზიაში შესულა – აინტერესებდა, თუ როგორ იკვებებოდნენ „ბედნიერი“ საბჭოთა მოქალაქეები. ეს ის დროა, საბჭოთა კავშირში ყველაფერი ტალონებზე რომ იყო. როგორც ხდებოდა ხოლმე, მაღაზია დილიდან სპეციალურად გაეძეძგათ ყველაზე დეფიციტური საქონლით და შერჩეული „მყიდველ-გამყიდველებიც“ (ბუნებრივია, კა-გე-ბეს მე-9 მთავარი სამმართველოს გოგო-ბიჭები) მოუთმენლად ელოდნენ ბრეჟნევის მოსვლას. ისიც მალევე გამოჩნდა. მისალმების ნიშნად ხელი ძლივს ასწია და გაუგებრად რაღაც ჩაილუღლუღა, შემდეგ მაღაზიის სექციებს ჩამოუარა, თან კმაყოფილებას ვერ მალავდა – საწყალს უხაროდა, რომ ასე კარგად ცხოვრობდა რიგითი საბჭოთა მოქალაქე. თავადაც „ივაჭრა“ – რამდენიმე შებოლილი ძეხვის „ბატონი“ აიღო და პირადი დაცვის წევრებს გადასცა. მათ კი სასწრაფოდ გადამალეს „ნავაჭრი“ – შეუმოწმებელი სურსათის მოხმარება სასტიკად ეკრძალებათ (ახლაც ასეა) მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებს. რეზიდენციაში დაბრუნებულმა ბრეჟნევმა ძეხვი მოითხოვა, დაცვამ კი ხელი გაასავსავა – არ ვიცით, სად არისო. გაბრაზებული გენსეკი ყველას სამსახურიდან გაყრას შეჰპირდა. მისი მრისხანება მხოლოდ პოლიტბიუროს „მთავარმა ექიმმა“, აკადემიკოსმა ევგენი ჩაზოვმა დააცხრო, რომელმაც სიტუაცია განუმარტა ბრეჟნევს. მიჩნეულია, რომ საბჭოთა ლიდერებიდან ყველაზე რთული დასაცავი ობიექტი საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, უფრო ზუსტად, მისი მეუღლე იყო. თავად „პერესტროიკის მამა“ უსიტყვოდ ემორჩილებოდა უსაფრთხოების ინსტრუქციებს, აი, რაისა მაქსიმოვნა კი ნამდვილად სისხლს უშრობდა დაცვის თანამშრომლებს. მათ უამრავი დამცირებების ატანა უხდებოდათ საბჭოთა კავშირის „პირველი ლედისგან“, რომელსაც გამორჩეულ ინტელექტსა და გემოვნებაზე ჰქონდა პრეტენზია.

ქვემოთ მოგითხრობთ განსაკუთრებით კურიოზულ ფაქტებს, რომელიც აბსოლუტურად სარწმუნოა, რადგანაც კა-გე-ბეს მე-9 მთავარი სამმართველოს ყოფილი თანამშრომლების მოგონებებს ეყრდნობა.

1985 წელს, როდესაც მიხეილ გორბაჩოვი სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივნად „აირჩიეს“, მისი ოჯახი შავი ზღვის ერთ-ერთ სამთავრობო აგარაკ ფოროსზე (რომელიც ისტორიაში უფრო 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ შევიდა) გაემგზავრა. პირველივე დღეს გორბაჩოვის ერთ-ერთ ქალიშვილს, რომელიც ფანჯრის გაღებას ცდილობდა ხის კარნიზი დაეცა ხელზე, შიშით კი შეეშინდა, მაგრამ ტრავმა არ მიუღია. ეს უმნიშვნელო ფაქტი გახდა საბაბი იმისა, რომ რაისა გორბაჩოვას მოთხოვნით, მე-9 სამმართველოს უფროსის მოადგილე, რომელიც სამთავრობო მშენებლობას კურირებდა, ბაიკონურის კოსმოდრომის ერთ-ერთი მშენებელი, მეორე დღესვე სამსახურიდან დაეთხოვათ. მას კიდევ 15 თანამშრომელიც მიაყოლეს.

რაც დრო გადიოდა, რაისა მაქსიმოვნას კაპრიზები დაცვის თანამშრომლების მიმართ უფრო მატულობდა. აშშ-ში ერთ-ერთი ვიზიტის დროს რაისა ისე მოიხიბლა ნენსი რეიგანის ორმეტრიანი აფრო-ამერიკელი მცველებით, რომ მოსკოვში დაბრუნებულმა სასწრაფოდ პირადი დაცვის თანამშრომლებად რუსი „რემბოები“ მოითხოვა. „კვადრატული“ „ვანია“ რომ მიჰგვარეს, ერთხანს ძალზე იხალისა, მაგრამ მალევე დაიწუნა – ინგლისურის გამოთქმა არ უვარგაო. უცხო ენებს უკავშირდება რაისა გორბაჩოვას კიდევ ერთი ხუშტური. ცნობილია, რომ, წელიწადის რა დრო და როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, ცოლ-ქმარი გორბაჩოვები ძილის წინ აუცილებლად ფეხით სეირნობდნენ რეზიდენციის ბაღში. ერთხელაც წვიმდა, მაგრამ ისინი მაინც გავიდნენ სასეირნოდ. ცოტა ხნის შემდეგ რაისა მაქსიმოვნამ სველ ბუჩქებში ჩამალული, პოსტზე მყოფი დაცვის ოპერატიული თანამშრომელი შეამჩნია და თავისთან მოუხმო:

– რა ენები იცით, ახალგაზრდავ? – დაინტერესდა „პირველი ლედი“.

– სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი, – უპასუხა სიცივისგან ერთიანად აკანკალებულმა მე-9 სამმართველოს თანამშრომელმა.

რაისამ სეირნობა გააგრძელა. სამაგიეროდ, სახლში დაბრუნების შემდეგ ქმარს დაატეხა გრიგალი – როგორ დაიცავენ ისინი ჩვენს სიცოცხლეს, როცა უცხო ენები არ იციანო. მეორე დღესვე ბუჩქებში ორ უმაღლესდამთავრებული და სამი უცხო ენის მცოდნე ოპერატიული თანმშრომელი იჯდა, რომელიც ანალიტიკური განყოფილებიდან წამოიყვანეს და ახლა ისინი კანკალებდნენ სიცივისგან, თუმცა – უფრო „ინტელექტუალურად“.

უცხოეთში ოფიციალური ვიზიტების დროს რაისა მაქსიმოვნა არად დაგიდევდათ უსაფრთხოების ელემენტარული მოთხოვნების დაცვას: ხან ქუჩაში ხალხთან გასაუბრება მოუნდებოდა, უცბად, ხანაც მძღოლს მოულოდნელად რომელიმე მოდური „ბუტიკის“ წინ გაჩერებას უბრძანებდა (ამაში მას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მ. სააკაშვილი ძალზე ჰგავდა. თავად ვარ შემსწრე თუ რა დღეში აგდებდა დაცვის თანამშრომლებს). ფერდაკარგული პირადი დაცვის თანამშრომლები ექსპრომტად ცდილობდნენ „პირველი ლედის“ უსაფრთხოების ორგანიზებას, თან გულში „ლამაზ-ლამაზ“ ეპითეტებს უძღვნიდნენ ჭირვეულ ქალბატონს.

გამორჩეულად კურიოზული მაინც რუსეთის პირველი პრეზიდენტის – ბორის ელცინის პიროვნება იყო. მართლაც საკვირველია, ამგვარი „ინტელექტის“ და პიროვნული თვისებების კაცი როგორ იყო ათი წლის მანძილზე რუსეთის პრეზიდენტი (თუმცა, შესაძლოა, ესეც კანონზომიერებაა). ეს ისტორია პირველწყაროდან რომ არ იყოს ცნობილი, შეიძლება ბევრს მოგონილიც კი ეგონოს. ამ შემთხვევაში ჩვენ თავად ელცინის პირადი დაცვის უფროსის, გენერალ ალექსანდრე კორჟაკოვის მემუარებს დავეყრდნობით.

რუსეთში ლოთობით ვის გააკვირვებ? თუმცა აქაც შესაძლებელი ყოფილა „გინესის წიგნში“ შესატანი რეკორდების მოძიება, მით უფრო, თუ რეკორდსმენი თავად ქვეყნის პრეზიდენტი ბორის ელცინი იყო. მისი სამუშაო დილა ჭიქა არყით და „მომპასის“ კამფეტით იწყებოდა. ასე იყო ჯერ კიდევ იმ დროდან, როდესაც ელცინს ცალკე კაბინეტი ეღირსა. ჯერ მარტო სვამდა. მას შემდეგ, რაც პოლიტბიუროს წევრი გახდა და დაცვა დაენიშნა, მისი თანამეინახე ყოველთვის დაცვის უფროსი იყო. ისინი ერთ ბოთლ არაყს 100-გრამიანი ჭიქებით სწრაფად, ყოველგვარი მისაყოლებლის გარეშე სცლიდნენ. ცარიელი ბოთლის დამალვის „სპეცოპერაციას“ კი თავად დაცვის უფროსი, კორჟაკოვი ატარებდა. ელცინს ეშინოდა „მშრალი კანონის“ მოქმედების პერიოდში ვინმეს ცარიელი ბოთლები არ ენახა და ეს ამბავი გორბაჩოვის ყურამდე არ მისულიყო.

1991 წლის შემდეგ ელცინის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა. ის უკვე ჩამოყალიბებული ალკოჰოლიკი იყო და ერთი დღეც ვერ ძლებდა არყის გარეშე. ექიმების მოთხოვნით ელცინის საპრეზიდენტო აპარტამენტებიდან ყოველგვარი ალკოჰოლური სასმელი გაიტანეს. მაშინ ელცინმა მარტივ ეშმაკობას მიმართა. დაუძახებდა პირადი დაცვის თანამშრომელს, მისცემდა 100-დოლარიანს და მოღუშული სახით უბრძანებდა: „ახლა ჩაირბენ „კრემლის“ პირდაპირ რომ გასტრონომია და „პოლლიტრას“ ამოარბენინებ! გასაგებია?!“

შეშინებული ოფიცერიც კისრისტეხით მირბოდა... ელცინის პირადი დაცვის უფროს ალექსანდრე კორჟაკოვთან. აი, ამ დროს კი იწყებოდა ნამდვილი ტრაგიკომიკური სცენა, ისეთი, როგორიც მხოლოდ რუსეთში თუ მოხდება. კახური „ზავოდობა“ ვის არ გაუგია: როდესაც არყის გამოხდის პროცესს უგემრიელესი ღორის მწვადის თანხლებით „აკონტროლებ“, დაახლოებით, ამგვარი „ზავოდობა“, რუსული სპეციფიკით, ჰქონდა მოწყობილი კრემლში კორჟაკოვს. პრეზიდენტის დაცვის უფროსი წინასწარ მომზადებულ ეტიკეტიან ბოთლებში, სადაც ნახევარზე მეტი ონკანის წყალი ესხა, არაყს ამატებდა და შემდეგ ბოთლს მოხერხებული მოძრაობით, სპეციალური აპარატით ხუფავდა. კარებში კი დაცვის ოფიცერი იდგა და მოუთმენლად ელოდა „არაყს“. მოღუშული ელცინი ჯერ ხურდას დათვლიდა გულმოდგინედ, შემდეგ კი მოსასვენებელ ოთახში მიბრძანდებოდა არყის დასაგემოვნებლად.

კორჟაკოვი იხსენებს, რომ გულზე შუნტირების ოპერაციის გაკეთების მეორე დღესვე ელცინმა სასმელი მოითხოვა, რაც მისმა მეუღლემ უსიტყვოდ შეასრულა და პალატაში ფარულად ქართული კონიაკი შეუტანა.

კორჟაკოვის სპირტის არალეგალური საამქროს ამბავი კი იმით დასრულდა, რომ ერთხელაც არყის დაბალი გრადუსით დაეჭვებულმა რუსეთის პრეზიდენტმა ყველა ოთახი შემოიძუნძულა, სანამ სახუფავ აპარატს და წყლით ნახევრადსავსე ბოთლებს არ მიაგნო. განრისხებულმა ელცინმა დაცვის ყველა თანამშრომელი, კორჟაკოვის გარდა, გაყარა სამსახურიდან. აი, ამგვარია ეს რეალური ისტორია. ლეონიდ ბრეჟნევის და ბორის ელცინის მსგავსი „ლიდერები“ წყვეტდნენ მსოფლიოს ბედს. ამაზე იტყვიან, სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოსო.

https://www.kvirispalitra.ge/besik-aladashvilis-blogi/76265-qzavodobaq-kremlshi-boris-elcinisthvis-da-raisa-gorbachovas-khushturebi.html

# კაცი, რომელიც დააკლდა ყველას



ყვარლის სახელოვანი ადამიანების პლეადას კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა. მოულოდნელად გარდაიცვალა ნუგზარ ოთარის ძე ბურკიაშვილი, რომელმაც სამაგალითო ცხოვრების გზა განვლო ამ წუთისოფელში, პატიოსნად იცხოვრა და კაცური კაცის სახელით შემორჩა ჩვენს მეხსიერებას.

დაიბადა 1965 წლის 19 ივლისს, ყვარელში ოთარ ბურკიაშვილისა და ბელა ლობჟანიძის მართლაც, სანაქებო ოჯახში. 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი მეღვინე-ტექნოლოგის სპეციალობით. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და ორი წელი იმუშავა ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობაში ტექნოლოგად. 1995-2002 წლებში მუშაობდა ყვარლის რაიონის ღვინის ქარხნებში ინჟინერ-ტექნოლოგად, ხოლო შემდგომ წლებში ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში მთავარი მეღვინე-ტექნოლოგის თანამდებობაზე.

ამავე დროს დააფუძნა გადამამუშავებელი მინიქარხანა და ყვარლელი გლეხების მიერ მოყვანილი ყურძნის რეალიზაციას ახდენდა იმხანად გართულებულ მდგომარეობაში.

2008 წლიდან მუშაობა განაგრძო „ყვარელგაზში" დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, 2010 წლიდან გარდაცვალებამდე კი მუშაობდა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის" ყვარლის სერვის ცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე.

კაცურ-კაცად ვაფასებდით მას ნაცნობ-მეგობრები, ვინაიდან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სიკეთის თესვასა და გაჭირვებული ადამიანების დახმარებას შეალია. განსაკუთრებულ პატივისცემასა და სიყვარულს ვგრძნობდით ადამიანები მასთან კომუნიკაციის დროს და ნებისმიერ ჩვენთაგანს „პატივცემულოთი" მოგვმართავდა. ვერავინ იტყვის ცუდს ბატონ ნუგზარზე, კაცზე, რომელიც შეძლებულ ოჯახში დაიბადა, მაგრამ მისთვის უცხო იყო ქედმაღლობა და ამპარტავნობა, იგი უანგაროდ აფრქვევდა სითბოსა და სიყვარულს, ამიტომაც გვიყვარდი ყველას: ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს და საერთოდ ადამიანებს, ვინც შენ გიცნობდა, ამიტომაც ვცდილობდით თითოეული ჩვენთაგანი პატივისცემა გამოგვეხატა ყოველთვის შენს მიმართ.

ნუგზარი ენერგიული და შრომისმოყვარე, ოჯახის ბურჯი იყავით, ერთი წუთით არ შეგეძლოთ დაგესვენათ, სიცოცხლის ბოლომდე ფუსფუსებდით, იბრძოდით ოჯახის სიძლიერისთვის.

მძიმეა დანაკლისი თქვენი მონაგარისთვის, ქალბატონ ბელასთვის, თქვენი მეუღლის ნატოსთვის, დების – თამილა და ნინოსთვის, შვილების – ოთარისა და ბელასთვის, თქვენი სანათესაოსთვის, სამეგობროსთვის.

როგორ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ყვარელზე უზომოდ შეყვარებული კაცი ყოველთვის მშობლიური რაიონის ცხოვრების ფერხულში ტრიალებდი, მონაწილეობდი არაერთი სასიკეთო საქმისა და წამოწყების განხორციელებაში. გახარებდა წარმატებები, მწვავედ განიცდიდი ნებისმიერ უარყოფითს, რაც ჩვენს ცხოვრებას არ აკლდა ქვეყნის დამოუკიდებლობის ათწლეულებში.

დასანანია შენი ასე უდროოდ წასვლა, შენ ხომ მხოლოდ 55 წლის იყავი. წუთისოფლის გაუტანლობაზე ბევრი თქმულა, მაგრამ შენი ასეთი შემოკლებული სიცოცხლე ერთობ მოულოდნელი იყო, რამაც უზომოდ გვატკინა გული – ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს, თუ ნებისმიერ ნაცნობს.

გულისტკივილით გემშვიდობებით ბატონო ნუგზარ, მაგრამ გწამდეს, რომ შენს მიერ მონიჭებული სითბო და სიყვარული ჩვენს გულებში არასოდეს განელდება, ხშირად გაგისხენებთ.

ადამიანს, ორი სახელი უნდა ჰქონდეს – ერთი აქ, ამ წუთისოფელში დასარჩენი და მეორე კი იმ ქვეყნად თან წასაღები. ბატონო ნუგზარ, აქ კაცური კაცის სახელი და ღირსეული შთამომავლობა დატოვე, ღმერთთან კი პირნათელი და ვალმოხდილი წარსდექი. ამიტომაც გვწამს, რომ უკვე დაიმკვიდრე სასუფეველი, უფალმა მარადიულ ნათელში გამყოფოს.

ჩვენო საუკეთესო მეგობარო, კაცობის ეტალონო ნუგზარ, იძინე მშვიდად, ალალი და უსაყვედურო იყოს შენთვის მშობლიური ყვარლის მადლიანი მიწა.

**მიხეილი და გიგი სამხარაულები, ზაურ ცუკილაშვილი, თემურ ზაუტაშვილი, გოჩა მაისურაძე, ზაზა ჩიტაშვილი, იური პეიტრიშვილი, ალექსანდრე გიგილოშვილი, დიმიტრი ბეჟანიშვილი, ხვიჩა მინდიაშვილი**

# ოქროსფერი კენკრა, რომელიც კურნავს პროსტატას, იცავს კუჭსა და მსხვილნაწლავს კიბოსგან



ფიზალისი – ეს პაწაწინა ოქროსფერი მრგვალი, ტკბილი ნაყოფი ძველი ინკების წმინდა საკვებად ითვლებოდა. ფიზალისი მთელ მსოფლიოში მე-18 საუკუნეში გავრცელდა. პერუსა და კოლუმბიაში ეს ოქროს კენკრა, როგორც მას ხშირად უწოდებენ, დღემდე პოპულარულია.

ფიზალისს აქტიურად იყენებენ ხალხურ მედიცინაში. მისი დახმარებით შეიძლება მოაგვაროთ საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა, შველის ნაწლავებსა და მსხვილნაწლავთან დაკავშირებულ პრობლემებს. მისი დახმარებით მკურნალობენ, ასევე, კუჭის კიბოს. აი, რამდენიმე სასიკეთო თვისება, რომელიც ამ ოქროსფერ კენკრას ახასიათებს:

- მდიდარია A, B და C ვიტამინებით.
- კარგი შარდმდენი საშუალებაა.
- აქვეითებს ქოლესტერინის დონეს.
- აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს.
- წმენდს სისხლს ტოქსინებისგან.

ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად საკმარისია ფიზალისი დაუყოვნებლად აქტიურად ჩართოთ თქვენს რაციონში.

გაითვალისწინეთ: აუცილებლად უნდა გაარჩიოთ ერთმანეთისაგან დეკორატიული და საკვებად ვარგისი ფიზალისი. გარდა ამისა, თუ ჯანმრთელობასათან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გაქვთ, თვითმკურნალობა ყოვლად დაუშვებელია. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს კონსულტაციისთვის.

**სოფიო ბულაური**

# კორონავირუსის საწინააღმდეგო ორალური ვაქცინა გადის გამოცდას



Los Angeles Lakers-ის ერთ-ერთი მფლობელი, ექიმი პატრიკ სუნ-შიონგი მუშაობს კორონავირუსის საწინააღმდეგო ორალურ ვაქცინაზე, რომელიც ვაქცინაციის პროცესს დააჩქარებს. ა.შ.შ-ში გამოყენებული სამივე ვაქცინა – Pfizer-BioNTech, Moderna და Johnson & Johnson – მუშაობს ანტისხეულების წარმოქმნის შედეგად, რომლებიც ანეიტრალებენ კორონავირუსის ცილას. ეს ცილა გამოიყენება კორონავირუსის მიერ ადამიანის უჯრედში შესაღწევად და დასნებოვნებისათვის.

ახალი ვაქცინა მიმართული იქნება ვირუსის სფეროს ცენტრისკენ, რომელიც მუტაციას ხშირად არ განიცდის. ამასთან მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ვაქცინა უფრო სწრაფი, იაფი და მარტივი გამოსაყენებელი იქნება, რადგანაც მისი შენახვა დაბალ ტემპერატურაზე საჭირო არ არის. ამჟამად მიმდინარეობს კვლევის I ფაზა, რომლის ფარგლებშიც მოხალისეები დაყვეს ოთხ ჯგუფად.

პირველი ჯგუფი ღებულობს მხოლოდ ტაბლეტებს, მეორე – მხოლოდ ინექციას, მესამე ტაბლეტებსა და ინექციას, ხოლო მეოთხე არაფერს. მკვლევარების განმარტებით, ორალურმა ვაქცინამ უნდა მოახდინოს T-უჯრედების წარმოქმნის ინიცირება. ეს არის ლეიკოციტების სახეობა, რომლებიც უკავშირდებიან ვირუსებს და ანადგურებენ მათ. მეცნიერებისგუნდი ფიქრობს, რომ ის ხანგრძლივად დაიცავს რეციპიენტს. ამასთან, მეცნიერების განმარტებით, ვაქცინის პერორალურად შეყვანით, მოხდება პირის ღრუს, ცხვირისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსის დამიზნებითი დაცვა.

**ლალი ჩხიკვაძე**

# თუ, თქვენი საუზმე კვერცხით იწყება, ორგანიზმის ჯანმრთელობას დიდხანს შეინარჩუნებთ

ის ხომ პროტეინების წყაროა. 1 ცალი კვერცხი ცილის შენებისთვის საჭირო 9 ამინომჟავას შეიცავს. ეს არის ის 9 ამინომჟავა, რომლის გამომუშავება ჩვენს ორგანიზმს დამოუკიდებლად არ შეუძლია. კვერცხის დიდი ნაწილი სწორედ ცილებია და მხოლოდ მცირე რაოდენობით – ცხიმი და ქოლესტერინი. კვერცხი უამრავ მინერალს და ვიტამინსაც შეიცავს.

**თქვენს ორგანიზმს ის გაამდიდრებს შემდეგი ნივთიერებებით:**

- სელენი
- ფოსფორი
- ქოლინი B4
- ვიტამინი B12
- B2, B5, B6 ვიტამინები
- K ვიტამინი
- კალციუმი
- თუთია
- მრავალი ანტიოქსიდანტი

### გულის დაავადებები

ადამიანები, რომლებიც ხშირად მიირთმევენ კვერცხს, ნაკლებად აწუხებთ გულის დაავადებები.კვერცხი 20%-ით ამცირებს კარდიოვასკულარულ დაავადებებს.

პრედიაბეტის და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 ის დროსაც კი, კვერცხი ზიანის მომტანი არ აღმოჩდა.

### ქოლესტერინი

ის „სასარგებლო" ქოლესტერინის – ლიპოპროტეინის რაოდენობას ზრდის, რაც ჯანმრთელობის პრობლემებს ამცირებს.

### ტრიგლიცერიდები

ამცირებს ტრიგლიცერიდებს. ეს არის ცხიმის სახეობა, რომელიც არ არის ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, ის გულისთვის და სისხლძარღვებისთვის არის საზიანო.

### ინსულტი

კვერცხი ამცირებს ინსულტის განვითარების რისკს. კვლევებით დასტურდება, რომ ყოველდღიურად მისი მიღება 30%-ით ამცირებს ინსულტის რისკს.

### თვალები

ის სასარგებლოა თქვნი თვალებისთვის. მასში შემავალი ლუთეინი და ზეაქსანტინი ხელს უშლის თვალის დაავადებების განვითარებას, განსაკუთრებით, კატარაქტის.

https://mkurnali.ge/

# იღებ იმას, რაც შენს ორგანიზმს სჭირდება? – გაიგე, რომელი ვიტამინი გაკლია

ხშირად იღლებით, კანი გამოგიშრათ, თმა გცვივათ, ან ხშირად ცივდებით? – ეს ყველაფერი, შესაძლოა, ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობაზე მიუთითებდეს. საუკეთესო საშუალება საჭირო ვიტამინების მისაღებად არის საკვები.

ვიტამინები თქვენს იმუნურ სისტემას აძლიერებენ, უჯრედებს სასიცოცხლო ენერგიას მატებენ.

### დაღლილობა

მთელი ღამე კარგად გამოიძინეთ და დაისვენეთ, თუმცა თავს საშინლად დაღლილად გრძნობთ.

ეს რკინის, ან ვიტამინ 12-ის დეფიციტზე შეიძლება მიუთითებდეს.

ორივე მნიშვნელოვანი ელემენტია სისხლის წითელი უჯრედებისთვის, რომლებიც ჟანგბადს აწვდის ჩვენს ორგანიზმს.

უმიზეზოდ დაღლილობისას კვების რაციონში მჭლე ხორცი, ლობიო და ბურღულეული უნდა შეიტანოთ.

### თავის ტკივილი

თავის ტკივილს, შესაძლოა,მაგნიუმის ნაკლებობა იწვევდეს.

ეს მიკროელემენტი თქვენი ნერვული სისტემისთვის აუცილებელია, ასევე სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს. 400მგ მაგნიუმის მიღება ყოველდღიურად სასარგებლოა შაკიკის დროს.

მიირთვით კაკალი, მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული, ლობიო.

### მშრალი თვალები

შესაძლოა, ალერგიის, ან კომპიუტერის ეკრანთან ხანგრძლივად ყოფნის შედეგი იყოს თქვენი გამომშრალი თვალები.

თუმცა, ცხიმოვანი მჟავა ომეგა-3-ის ნაკლებობაც ანალოგიურ შედეგს იძლევა. მიირთვით ომეგა-3-ის შემცველი თევზეული, მაგალითად ორაგული.

### კანის სიმშრალე და ქავილი

რიბოფლავინის, ანუ 2 ვიტამინის ნაკლებობა კანზეც მოქმედებს. ის ადვილად ღიზიანდება და დერმატიტის განვითარების წინაპირობა იქმნება.

მიირთვით ბროკოლი, კვერცხი.

### თმის ცვენა

თმის ცვენის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზი მინერალების დისბალანსია, განსაკუთრებით – 50 წლამდე ქალებში.

თქვენს თმას სიჯანსაღეს რკინის შემცველი საკვებით შეუნარჩუნებთ (ლობიო, თხილეული, მჭლე ხორცი).

### ღრძილებიდან სისხლდენა

მიზეზი, ძირითადად, ღრძილების პრობლემაა, თუმცა ის შეიძლება C ვიტამინის ნაკლებობამაც გამოიწვიოს.

მიირთვით დიდი რაოდენობით ციტრუსი.

### კუნთების სისუსტე

1 ვიტამინის, ანუ თიამინის ნაკლებობა, ხშირად, კუნთების სისუსტესთან ასოცირდება.



ამ ვიტამინის მისაღებად კვების რაციონი ღორის ხორცით, მარცვლეულით, თხილეულით გაამდიდრეთ.

ასევე, მნიშვნელოვანია ძლიერი კუნთებისთვის კალიუმი, მიირთვით ბანანი.

### ქრონიკული გაციება

ხშირი ხველა და ცემინება, გაციების სიმპტომები, C და E ვიტამინების ნაკლებობაზე მიუთითებს.

აუცილებელია ორივე ვიტამინი, მათ ანტიოქსიდანტური ეფექტი აქვთ და იმუნურ სისტემას აძლიერებენ.

### სტომატიტი

ტუჩემის ლორწოვანსა და ღრძილებზე სტომატიტის გაჩენა ვიტამინი 12-ის, თუთიის, ფოლატებისა და რკინის დეფიციტს ახასიათებს.

https://mkurnali.ge/

# კარდიოლოგები მეტი ნიგვზის მიღებას გვირჩევენ

მეიოს კლინიკაში დაადგინეს, რომ ნიგვზის მოხმარებით შესაძლებელია გულის გაძლიერება და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილის რისკის შემცირება. ნიგოზი ამცირებს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების და ტრიგლიცერიდების მაჩვენებელს, რომელიც ხელს უწყობს სისხლძარღვებში ქოლესტერინის ფოლაქების ფორმირებას.

სამედიცინო უკუჩვენებების არარსებობისას, ადამიანმა შეიძლება მიიღოს ნებისმიერი სახის თხილეული, რადგანაც ყველა სახეობა შეიცავს უჯერ ცხიმებს, ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს, მცენარეულ სტეროლებს, უჯრედისს, ვიტამინს E და L-არგინინს. მაღალი კალორიულობის გამო, არაა რეკომენდებული თხილეულის დიდი რაოდენობით მიღება. იდეალური ვარიანტი ნიგვზის მცირე ულუფაა შაქრის, მარილის ან შოკოლადის გარეშე.

თხილეულის რეგულარული მიღებით მცირდება გულ-სისხლძარღვა სისტემის დაავადებების რისკი 60-70 წლის ადამიანებში. ნიგვზის და თხილეულის დადებითი ეფექტი უკავშირდება ანთების მაჩვენებლის შემცირებას. მნიშვნელოვნად მცირდება სისხლში ანთების ისეთი მარკერის კონცენტრაცია, როგორიცაა ინტერლეიკინი – 1β, მძლავრი პროანთებითი ციტოკინი, რომლის ფარმაკოლოგიურ ინაქტივაციას უკავშირდება გულის იშემიური დაავადების სიხშირის შემცირება.

მეცნიერების განმარტებით, ქრონიკული ანთება წარმოადგენს კრიტიკულ ფაქტორს გულის შეტევისა და ინსულტის ძირითადი მიზეზის – ათეროსკლეროზის განვითარებასა და პროგრესირებაში.

https://mkurnali.ge/

# დედამიწის საერთაშორისო დღე ტრადიციულად შაბათობით აღინიშნა





დედამიწის საერთაშორისო დღე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოს დაცვითი ღონისძიებაა, რომელსაც ტრადიციისამებრ, გამწვანებისა და დასუფთავების აქციით პასუხობენ მსოფლიო მასშტაბით.

ჩვენს ქვეყანაში დედამიწის დღე 1990 წლიდან აღინიშნება და უმნიშვნელოვანესია, გარემოზე ზრუნვისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მსგავს აქტივობებში ჩართვა და მონაწილეობა;

ამ დღეს, ყვარლის ევროკლუბის წარმომადგენლებთან ერთად, პირველი საჯარო სკოლის ეზოს გამწვანების აქციაში მიიღეს მონაწილეობა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა როსტომ სესიაშვილმა და მერიის თანამშრომლებმა..

გამწვანების აქცია ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა.

შაბათობის დღეს, საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდა ნახეჩისხევის და ნეკრესის ტერიტორიაზე, ყვარლის ტბის მისასვლელ მაგისტრალზე. შაბათობამ მოიცვა 7 ჰექტარი ტერიტორია და 7 კუბური მეტრის საყოფაცხოვრებო ნარჩენი იქნა გატანილი ნაგავსაყრელზე.

შაბათობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, მერიის სამსახურები და აიპების თანამშრომლები.

**ალეკო ქაფიანიძე**






# როგორ ცნობდნენ ბებიები და ბაბუები ამინდის პროგნოზს ბუნებაზე დაკვირვებით – 11 ხალხური მეთოდი

ამინდის ცვლილებებისა და გაუარესების შესახებ, შეგიძლიათ თქვენ თავადვე შეიტყოთ წინასწარ. განსაკუთრებით, თუ გაშლილ სივრცეში ხართ და გაქვთ იმის საშუალება, რომ ცას დააკვირდეთ.

1. გამთენიისას ცა თუ წითელ ფერს მიიღებს, ელოდეთ ამინდის გაუარესებას.

2. საღამოს ქარის გაძლიერება მანიშნებელია ამინდის მკვეთრი ცვლილების.

3. მზის დამალვა ფართო ზომის ღრუბლებში ასევე გვაუწყებს, რომ მოსალოდნელია ამინდის გაუარესება.

4. თუ შენიშნეთ, რომ დილით და საღამოს ნამი მკვეთრად შემცირებულია, ელოდეთ ცივ ამინდებს.

5. მერცხლების მიწასთან ახლოს ფრენა, მანიშნებელია ამინდის გაუარესებისა.





ალბათ, ბავშვობაში ყველას გვიკვირდა, რანაირად ხვდებოდნენ ჩვენი დიდი ბებიები და ბაბუები მოსალოდნელი ამინდის პროგნოზს, თან ისე, რომ ყოველთვის ამართლებდა. აი, ასე, დააკვირდებოდნენ ცას, ცხოველებს, ან მცენარეებს და გააფრთხილებდნენ – „ხვალ კარგი ამინდი იქნება“, ან პირიქით, „თბილად ჩაიცვი, იწვიმებს საღამოს“. ახლა კი, გაგიმხელთ პატარა საიდუმლოებებს, თუ როგორ ახერხებენ ისინი ჩვენს გაოცებას.

1. თუ საღამოს, ქარის მიმართულება ზღვიდან მთისკენ იქნება მიმართული, მაშინ კარგ ამინდს უნდა ელოდოთ.

2. თუ მიმოზა მოიწყენს და ფოთლებს ძირს დაუშვებს, წვიმა წამოვა.

3. როცა ნახირი ჯგუფად გროვდება, ეს წვიმის მანიშნებელია.

4. თუ გაზაფხულზე კურდღლებს ბეწვი დიდხანს არ სცვივათ, ცივი ამინდები დიდხანს გაგრძელდება.

5. თუ დილით, ადრე, ბალახი მშრალია, ღამით აუცილებლად იწვიმებს.

6. თუ კატა მოკუნტულია, მოსალოდნელია ყინვა, თუ ზურგზე წევს – დარი, თუ კედელს ფხაჭნის – ავდარი.



**განცხადება**

2021 წლის 10 მაისს, დღის 12 საათზე დანიშნულია კოოპერატივის რკ „ახალი მელვინეობა“ წევრების საერთო კრება.

დღის წესრიგი
1. კოოპერატივის ფინანსური ვალდებულებები.

კოოპერატივის რკ „ახალი მელვინეობა“ გამგეობა.
მისამართი: ქ. ყვარელი, დოდაშვილის ქ. №38

# ძაღლი

(მოთხრობა)

ბიჭს ქუჩაში ძაღლი აედევნა.

– წადი პატრონთან! – უთხრა ბიჭმა. დაიხარა, თავზე ხელი გადაუსვა და სახლისკენ მიმავალ გზას გაუყვა. გულმა უკან გაახედა... ძაღლი იდგა და რაღაცნაირი, თბილი თვალებით უყურებდა.

... დილით, ბიჭს მამის გაბრაზებული ხმა შემოესმა: – საიდან მოეთრა ეს უპატრონო! – ამ სიტყვებს ქვის დაცემის და ძაღლის წკმუტუნის ხმა მოჰყვა...

ბიჭი ლოგინიდან წამოხტა. ფანჯრიდან გაიხედა „ნაცნობი“ ძაღლი ეზოს კარისკენ გარბოდა. გაბრაზებული მამა კი, უკანიდან ჯოხის ქნევით მისდევდა.

– დაანებე თავი, ძაღლი არ გვყავს, იყოს, ეტყობა უპატრონოა! – სთხოვა ბიჭმა.

– ძაღლი თუ მინდოდა, მოვიყვანდი! – უპასუხა უჟმური ხმით კაცმა. – „მაინც მოვა!“ – გაიფიქრა ბიჭმა.

... საღამოს, ვახშმის დროს, ოჯახს ყეფა შემოესმა.

– მოთრეულა! – ბოღმიანი ხმით ჩაილაპარაკა კაცმა და წამოდგა.

– იყოს, არ გააგდო! – სთხოვა ცოლმა. ბიჭი დაიძაბა, მამის პასუხს ელოდა...

– იყოს არა და!.. – შეუბუხუნა ცოლს და გარეთ გავიდა.

– გოგიავ! რამდენს გეძახდი, ძაღლს რომ ყეფა არ აეტეხა, ვერ გაგაგებინებდი! – მოისმა მეზობელი კაცის ხმა, რომელიც ძაღლის გასაგდებად გარეთ გასულ გოგიასთან ერთად, სახლში შემოვიდა.

– „მაინც გავაგდებ!“ – გაიფიქრა ოჯახის უფროსმა. ბიჭი გარეთ გავიდა. კუდის ქიცინით შეგებებულ ძაღლს პურის ნატეხი დაუგდო. – იყავი ჩემთან, შე საცოდაო, ეტყობა, პატრონი არ გყავს. მე ვიქნები შენი პატრონი... როგორც ადამიანს ისე დაელაპარაკა და თავზე ხელი გადაუსვა.

მეორე დღეს, ბიჭი სახლიდან გასული რომ დაიგულა, გოგიამ ძაღლს პურის ნატეხი გადაუგდო. მადლიერი თვალებით შეხედა ძაღლმა კაცს... პურის ნატეხი ჰაერშივე დაიჭირა...

– ფუი, შენი! – ტომარაში ჩაგდებულ ძაღლს მიაფურთხა და აფართხალებული ტომარა მანქანის საბარგულში ჩააგდო.

... მანქანა დიდხანს ატარა, ტყის ნაპირზე გააჩერა... ტომარა საბარგულიდან გადმოიღო... მანქანაში ჩაჯდა... წკავწკავმა, რაღაცნაირად, გული შეუტოკა... გადმოვიდა... პირმოკრულ ტომარას თავი გაუხსნა... ძაღლი ტომრიდან ამოხტა... გაიქცა.... კაცმა მანქანა დაძრა... სარკიდან უკანა მხარეს გადაიხედა... ძაღლი თათებზე წამოყუნცულიყო და მადლიერი თვალებით მანქანას უყურებდა...

ორი დღის შემდეგ, ცოლმა მორიდებით უთხრა: – გოგი, ზამთარი კარს მოგვადგა. შეშა რომ აღარ გვაქვს, რა ვქნათ, კაცო! ვიყიდოთ თუ...

– ვიყიდოთ არა! ხვალ ბილეთს ავიღებ, ტყეში წავალ და ურმით მოვიტან.

– მეორე დღეს კაცმა ურემში შეაბა ცხენი... ტყეში შევიდა. დანომრილი ხე მოჭრა, აკაფა, ურემზე დაუდო და იგრძნო, შარვლის ტოტზე რაღაც ექაჩებოდა. დაიხედა, ძაღლი იყო... ხელში ნაჯახი შეათამაშა და... ძაღლის უკან, ყალყზე შემდგარ, მისკენ საკბენად გამზადებულ გველს თავზე დაუშვა...

გაძვალტყავებული ძაღლი კუდს აქიცინებდა და თბილი თვალებით უქცერდა გადარჩენილ გოგიას...

– ჭამე! – პარკიდან ამოღებული პურის ნატეხი, ჰაერშივე დაიჭირა ძაღლმა.

კაცი ურემზე ავიდა... კოფოზე დაჯდა... „ცოდოა, ფეხით როგორ უნდა მდიოს!“ – გაიფიქრა...

– მოდი, ძაღლო! – უთხრა და კოფოზე ხელი დაატყაპუნა. თითქოს მიპატიჟებას ელოდაო, ძაღლი ურემზე ახტა და კოფოზე წამოწვა. კაცმა ზურგზე ხელი გადაუსვა, დაფხანა...

საღამოთი, სამსახურიდან დაბრუნებულ ბიჭს ძაღლი კუდის ქნევით შეეგება, მკერდზე შეახტა.

– ვიცოდი, რომ მოხვიდოდი! – უთხრა და თავზე ხელი გადაუსვა.

სახლში შესულმა, მაგიდასთან მჯდარ მამას სთხოვა: – იყოს, რა მამა, კარგი ძაღლია, რას დაგვიშავებს?!..

– იყოს! – უთხრა კაცმა და ლუკმა ჩაყლაპა. „იყოს,, მართლაც, კარგის მეტს რას გაგვიკეთებს!“ – გაიფიქრა... მერე პურის ნატეხი აიღო სუფრიდან, შვილს მიაწოდა და უთხრა:

– მიდი, ძაღლს დაუგდე!

გახარებული ბიჭი გარეთ გავიდა...

– კარადიდან ჯამი გამოიღე, ძაღლისათვის, საჭმელი რომ ჩავუსხათ ხოლმე! – უთხრა კაცმა ცოლს...

გაოცებული ქალი სკამიდან წამოხტა... ბიჭი ოთახში შევიდა... რაღაც სითბო იგრძნო... სახლში განსხვავებული სითბო ტრიალებდა...

მამა მადიანად ილუკმებოდა და თან ჩუმად ღიღინებდა...

დედას ხელში ჯამი ეჭირა და ღიმილით შეცქეროდა აღიღინებულ ქმარს.

**იზოლდა იოსებიანი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86